საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყაზბეგი
ეროვნული
ბიბლიოთეკა

№235
(12 305)

5 ოქტომბერი პარასკევი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი



უეფაზე მხოლოდ ასათიანი დაგვრჩა



ქართული ამბები 5

მეორე რაუნდის საპასუხო მატჩები 16

სეგრტმა შემადგენლობა ჩამოწერა

ახალგაზრდული ყაზახეთისთვის 3

ქართველები უცხოურ პრესაში

ემპოლიმ ქართველი ვარსკვლავი შეიძინა

ლევან მჭედლიძეს ბაიერნიც აკვირდებოდაო 3

მსოფლიო თასი

არა მარტო სიყვარული, არამედ პროფესიონალიზმიც

ინტერვიუ ბიძინა სამხარაძესთან 12

სიურპრიზი დღიანის მემორიალზე

მაკაბიმ აზოტს სძლია 10

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com www.pfl.ge

საქართველოს XIX ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა. VIII ტური. წინათქმა

გლდანი და ლიდერის შეცვლის შანსი

ამ სეზონში ჯერ არ გვიხილავს ისეთი პრინციპული და ბევრის გადამწყვეტი ჯახი, როგორსაც ხვალ გლდანი უმასპინძლებს. "ამერს" უკანდასახევი გზა მოჭრილი აქვს, "დინამოს" კი თუ ივარგა, ერთ-ერთი კონკურენტის საჩემპიონო გზიდან ჩამოცილება ხვალვე შეუძლია. "ზესტაფონი" კი გლდანელებს უქომაგებს, "ამერის" წარმატებისა და ცხადია, "ბორჯომის" ძლევის შემთხვევაში, სატურნირო ცხრილს სათავეში ფეროელები მოექცევიან.

შეაჩერებს ამერი მერებაშვილსა (ბურთით) და დინამოს?

მესხეთი–მერანი

5 ოქტომბერი. ახალციხე.
მ. იაძე. 15:00

სავარაუდო შემადგენლობები

მესხეთი: სომხიშვილი, ჟვანია, კობესაშვილი, ნადირაშვილი, ლეკიშვილი, გ. თურმანიძე, ძამსაშვილი, ზ. ჩხეტიანი, გვირჯიშვილი, ჰ. აკოფიანი, კაიდარაშვილი

მერანი: თევდორაძე, ა. კალაძე, თ. კობიაშვილი, გიგაური, სარალიძე, ლომაშვილი, ბ. ნოზაძე, ჯანგიძე, ტყეშელაშვილი, ბ. ჟღენტი, გოჩაშვილი

არბიტრი: გ. ვადაჭკორია

"მერანს" ახალციხეში ქულის მოპოვების არცთუ დიდი შანსი აქვს, მაგრამ მძიმე სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, **დავით ეჯიბიშვილის** ფეხბურთელებმა შესაძლებლობათა მაქსიმუმი უნდა გაიღონ. "მესხეთმა" ჩემპიონატის ბოლო მატჩებში ბევრი ქულა დაკარგა და თასზე "ამერთან" უიმედოდ განადგურდა, მაგრამ სამცხელთა კრიზისზე საუბარი ჯერ ნაადრევია. "მერანთან" საშინაო შეხვედრა **კობა თედიაშვილისა** და მისი შეგირდებისთვის საკუთარი ქომაგის თვალში რეაბილიტაციის საუკეთესო საშუალებაა.

ამერი–დინამო

6 ოქტომბერი. თბილისი.
ამერი. 15:00

სავარაუდო შემადგენლობები

ამერი: ქვაჩახია, მესხი, დიდავა, დავითნიძე, ელბაქიძე, დოლიძე, ბოლქვაძე, დობროვოლსკი, დეკანოსიძე, დავითაშვილი, ტატანაშვილი (რ. გოცირიძე)

დინამო: ოვონო, შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, დობეში, ხმალაძე, დილმელაშვილი, გ. მერებაშვილი, ხუციშვილი, სპასოევიჩი, აკირემი

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

მატჩი, რომელსაც დიდხანს ველოდით და რომელიც ერთ-ერთი საკვანძოა არამარტო მერვე ტურში, არამედ მთლიანად ჩემპიონატში. "დინამოს" ჩემპიონატში ჯერ არც ერთ უშუალო კონკურენტთან არ უთამაშია და თამამად შეიძლება ითქვას, რომ მრავალგზის ჩემპიონები დღეს სეზონის პირველ მკაცრ გამოცდას ჩააბარებენ.

თუკი "დინამოსთვის" არც ფრე იქნება კატასტროფული შედეგი, "ამერმა" მხოლოდ გამარჯვებაზე უნდა იფიქროს. სხვა შედეგი თასის მფლობელებს ოქროს მედლების მოპოვების შანსს მკვეთრად შეუმცირებს. **გიორგი ჩიხრაძის** გუნდმა მიმდინარე პირველობაზე უკვე არაერთი გაუთვალისწინებელი ქულა დაკარგა და დაკარგულის ანაზღაურება მხოლოდ ზეპრინციპული მატჩების მოგებით შეუძლია.

ორი სიტყვით მათი შარშანდელი ურთიერთშეხვედრები გავიხსენოთ: ჩემპიონატში ორივემ საკუთარ მოედანზე მოიგო, თასის მეოთხედფინალში კი "ამერმა" იმარჯვა, შემდეგ ნახევარფინალსა და ფინალშიც იძალა და ზედიზედ მეორედ დაეუფლა დავით ყიფიანის თასს.

ხვალინდელი შეხვედრის პირდაპირ ტელერეპორტაჟს საზოგადოებრივი მაუწყებელი გადასცემს, კარგა ხნის წინ დაშავებულ ფეხბურთელებს თუ არ ჩავთვლით, ორივე გუნდი ოპტიმალური შემადგენლობით ითამაშებს.

დილა–ოლიმპი

6 ოქტომბერი. გორი.
თ. ბურჯანაძე. 15:00

სავარაუდო შემადგენლობები

დილა: ილურიძე, ბალაშვილი, ბალიაშვილი, დ. ხანიშვილი, ლაცაბიძე, მასურაშვილი, ტლაშაძე, ნ. ნოზაძე, სადალაშვილი, სამადაშვილი, ბ. ჩიტაია

ოლიმპი: მერლანი, ორბელაძე, მახვილაძე, აკუასაგა, სილაგაძე, ნავალოვსკი, დვალიშვილი, ქებაძე, გეწაძე, კახელიშვილი, რ. ჯიქია

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი

"ოლიმპი" შარშანდელივით ძლიერი ვერაა, მაგრამ ჯერ კიდევ აქვს ლიდერებთან მიახლოების შანსი და ამ მიზნის მისაღწევად, მსგავს მატჩებში ქულების დაკარგვის ფუფუნება არა აქვს. "დილა" კი თავის პრობლემებს შეუწუხებია. ჩემპიონატის პირველ ტურში მოპოვებული გამარჯვების შემდეგ, გორელები ზედიზედ ექვს შეხვედრაში დამარცხდნენ და უმაღლესში დარჩენის შანსები საგრძნობლად გაიუარესეს. ამას "დილას" მთავარი მწვრთნელის, **მამუკა ვარდოსანიძის** განცხადება მოჰყვა გადადგომის თაობაზე, მაგრამ როგორც შევიტყვეთ, მან პირვანდელი გადაწყვეტილება შეცვალა და გუნდს მინიმუმ პირველი წრის დასრულებამდე უხელმძღვანელებს.

მგლები–ბათუმი

6 ოქტომბერი. ზუგდიდი.
ცენტრალური. 15:00

სავარაუდო შემადგენლობები

მგლები: ივარდავა, ექონია, ფარულავა, მაჭავარიანი, კაკაბაძე, ხუბუა, ქირია, ვართაგავა, კრასოვსკი, ბაკარანძე, ჭედია

დისკვალიფიკაცია: ჯოჯუა

ბათუმი: თოთლაძე, თედორაძე, გალოგრე, კუნჭულია, დემურაძე, ცანავა, ლ. მახარაძე, ზ. ჭელიძე, დარჩიძე, ბეჟანიძე, გ. მოდებაძე

დისკვალიფიკაცია: კანტიძე (მწვრთნელი)

არბიტრი: პ. დოგრაშვილი

ძნელი წარმოსადგენია, დემორალიზებულმა "ბათუმმა" ზუგდიდელთათვის ღირსეული წინააღმდეგობის გაწევა შეძლონ, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ "დინამოსთან" 0:7 განადგურების შემდეგ, აჭარულმა კლუბმა თასზე სტუმრად "მერანს" სძლია. თუმცა, "მგლები" ამ ორივეზე ძლიერი გუნდია და ლოგიკურად, ხვალ სამი ქულა უნდა მოიპოვოს. ზუგდიდელთა ნახევარმცველის, **ვლადიმერ ჯოჯუას** დისკვალიფიკაცია გრძელდება. შეგახსენებთ, იგი დინამოელ **აკირემისთან** ჩადენილი არასპორტული საქციელისთვისაა დასჯილი.

ზესტაფონი–ბორჯომი

7 ოქტომბერი. ზესტაფონი.
ცენტრალური. 15:00

სავარაუდო შემადგენლობები

ზესტაფონი: ჭანტურია, საჯაია, ს. თოდუა, ლობჟანიძე, კ. ჩხეტიანი, რ. ონიანი, კესანი, ჟონატასი, ვიეირა, ბიტოო (ბ. გოცირიძე), გ. ნოდ. ჭელიძე

ბორჯომი: შეყრილაძე, თ. ლონლაძე, ლ. მერებაშვილი, ლ. ჭელიძე, აკობია, მემარნიშვილი, ბაბუნაშვილი, ნერგაძე, შ. გრიგალაშვილი, კ. ხანიშვილი, ყველაშვილი

არბიტრი: ა. კრიჟაშვილი

"ამერი"-"დინამოს" დაპირისპირების შემდეგ, ყველაზე დიდ ინტერესს ეს შეხვედრა იწვევს. ერთმანეთს მეორე-მესამეადგილოსნები შეებრძოლებიან და მათი ამბიციების მართებულობა კვირას კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდება. ფეროელებს პირველ ადგილზე გადანაცვლების შანსი აქვთ და საამისოდ მხოლოდ და მხოლოდ სამი ქულა აძლევთ ხელს. "ბორჯომი" კი ლიდერთა უმრავლესობას გააფთრებით ებრძვის და **ხაჩიძის** გუნდი "ზესტაფონის" დამუხრუჭებასაც მთელი ძალებით შეეცდება. ერთი სიტყვით, ეს ტურის ერთ-ერთი საკვანძო მატჩია.

ვიტ ჯორჯია–სპარტაკი

7 ოქტომბერი. მცხეთა.
არმაზი. 15:00

სავარაუდო შემადგენლობები

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, ლომაია, ბეჟვაია, გ. დათუნაიშვილი, რაზმაძე, კლიმიაშვილი, მელქაძე, სახოკია, გელაშვილი

სპარტაკი: კოდალაევი, ქემოკლიძე, მამუკაშვილი, თარხნიშვილი, ხაჭიპერაძე, ძარია, გოგოხია, ბახტურიძე, კუპრეიშვილი, ხიდეშელი, ჯანელიძე

არბიტრი: ლ. ფანიაშვილი

ბოლოდროინდელი არასტაბილურობის მიუხედავად, "ვიტ ჯორჯია" ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდად რჩება და "სპარტაკის" დასამარცხებლად ოპტიმალური შემადგენლობით ემზადება. უშანსოდ არც სტუმრები იქნებიან, **კობა ჟორჟიკაშვილის** გუნდი ხომ ნებისმიერ მეტოქეს მედგარ ბრძოლას უმართავს. წესით, მცხეთური მატჩი ურიგო სანახავი არ უნდა გამოდგეს.

ლოკომოტივი–სიონი

7 ოქტომბერი. თბილისი.
მ. მესხი. 15:00

სავარაუდო შემადგენლობები

ლოკომოტივი: გვარამაძე, დ. ფოფხაძე, გუშარაშვილი, ქუხილავა, ხოხონიშვილი, გულორდავა, მალიჩავა, ლალაძე, სამხარაძე, ბარბაქაძე (მ. ჟღენტი), გ. მიქაძე

სიონი: სტურუა, მენთესაშვილი, ბოიომო, ვაშაკიძე, რაქვიაშვილი, ქურასბედიანი, ბაჯელიძე, ნადირაძე, სანიკიძე, ჩასემი, ქარდავა

არბიტრი: ო. ხეცაძე

როგორც იქნა, "ლოკომოტივი" ძლიერი შემადგენლობით ითამაშებს. შეგახსენებთ, ბოლო მატჩებში რკინიგზელებს არაერთი დისკვალიფიცირებული აკლდათ. **გიორგი კიკნაძის** გუნდს არც ჩემპიონატში მისდის საქმეები კარგად და ოთხშაბათს თასზეც განადგურდა "მალაროელთან" - 0:3. ერთი სიტყვით, კრიზისიდან გამოსვლის იმედი ლოკომოტიველებს მხოლოდ "სიონის" ძლევის შემთხვევაში გაუჩნდებათ. "სიონი" თავისი დღევანდელი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ურიგოდ არ ასპარეზობს და გარკვეული საკადრო პრობლემების მიუხედავათ, სატურნირო მონაგარის შევსება ამ ტურშიც შეუძლია.

ლევან ჯანეზაშვილი

სატურნირო მდგომარეობა

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. დინამო	7	7	0	0	22-2	21
2. ზესტაფონი	7	6	1	0	16-3	19
3. ბორჯომი	7	4	2	1	10-4	14
4. ვიტ ჯორჯია	7	4	1	2	10-7	13
5. ამერი	7	4	0	3	14-8	12
6. მგლები	7	4	0	3	8-6	12
7. მესხეთი	7	3	2	2	8-8	11
8. ოლიმპი	7	3	1	3	5-6	10
9. სიონი	7	2	2	3	7-11	8
10. სპარტაკი	7	2	2	3	3-7	8
11. ლოკომოტივი	7	2	0	5	5-12	6
12. დილა	7	1	0	6	5-12	3
13. მერანი	7	1	0	6	2-17	3
14. ბათუმი	7	0	1	6	2-14	1

ბომბარდირები

ხუციშვილი (დინამო)	5
აკირემი (დინამო)	5
გ. მერებაშვილი (დინამო)	4
გ. ნოდ. ჭელიძე (ზესტაფონი)	4
სპასოევიჩი (დინამო)	4
შ. ჯიქია (ბორჯომი)	4
ტატანაშვილი (ამერი)	4
გელაშვილი (ვიტ ჯორჯია)	4
ვიეირა (ზესტაფონი)	3
კაიდარაშვილი (მესხეთი)	3
იონანიძე (ზესტაფონი)	3
ფიფია (ზესტაფონი)	3
ქარდავა (სიონი)	3
რ. ჯიქია (ოლიმპი)	3
შ. გრიგალაშვილი (ბორჯომი)	3
ჭედია (მგლები)	3

www.kazbegi.com

გაზეთი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge



პეტარ სეგრტი

U21. ევროპის ჩემპიონატი

ახალგაზრდულის შემადგენლობა ცნობილია

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში მორიგ მატჩს, 16 ოქტომბერს, ყაზახეთში გამართავს. **პეტარ სეგრტის** გუნდი ყაზახეთის 21-წლამდელთა კრებულს აკტობეში ეთამაშება. მწვრთნელმა ამ თამაშისთვის ნაკრებში 22 ფეხბურთელი გამოიძახა:

მეკარეები: **გიორგი ლორია (დინამო), მიხეილ ალავიძე (ოლიმპი).**

მცველები: **გიორგი ფოფხაძე (ვიბორგი, დანია), უჩა ლობჟანიძე (ზესტაფონი), გურამ კაშია, გულვერდ თომაშვილი (ორივე დინამო), გიორგი ნავალოვსკი (ოლიმპი), გიორგი თავბერიძე (სიონი), გიორგი ელბაქიძე (ამერი).**

ნახევარმცველები: **შოთა გრიგალაშვილი (ბორჯომი), გიორგი კახელიშვილი (ოლიმპი), გიორგი მერებაშვილი, ალექსანდრე კობახიძე, ნიკოლოზ ფირცხალავა (ყველა დინამო), ირაკლი ჩირიკაშვილი (სპარტაკი ცხინ.), თემურ აფრიამაშვილი (მესხეთი), გიორგი ხიდეშელი (ზესტაფონი), კახა მახარაძე (ბათუმი), ირაკლი კლიმიაშვილი (ვიტ ჯორჯია).**

თავდამსხმელები: **რევაზ ბარაბაძე (კარლ ცაისი, გერმანია), ბექა გოცირიძე (ზესტაფონი), ვლადიმერ დვალიშვილი (ოლიმპი).**

როგორც ხედავთ, პეტარ სეგრტის შემადგენლობაში ორი ახალწვეულია – "ვიტ ჯორჯიის" ნახევარმცველი **ირაკლი კლიმიაშვილი** და "ოლიმპის" მეკარე **მიხეილ ალავიძე**. კლიმიაშვილი წლეულს საკმაოდ კარგად თამაშობს და არაერთხელ მოხვდა ტურის სიმბოლურ ნაკრებში "ლელოს" ვერსიით.

ყაზახებთან გასვლითი მატჩისთვის მზადებას ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები ორშაბათს, 8 ოქტომბერს დაიწყებს. პეტარ სეგრტი ტექნიკურ ცენტრ "ბასაში" შეკრებს გუნდს. სეგრტის შემადგენლობაში ამჟამად 22 ფეხბურთელია, ყაზახეთში კი 20 ფეხბურთელი გაემგზავრება. ჩვენი ნაკრები ყაზახეთში 15 ოქტომბერს გაეგზავრება.

16 ოქტომბერს ყაზახეთ-საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებების მატჩი აკტობეში ადგილობრივი დროით 19 საათზე (თბილისის დროით 17 საათზე) დაიწყება. შეხვედრას ჩერნოგორიელი მსაჯები მოემსახურებიან. მატჩის არბიტრი **გორან მიხაილევიჩია**, თანამსაჯები კი **დრაგან ვუიოვიჩი** და **ნიკოლა რაზიჩი**. მეოთხე მსაჯი **პაველ რადოვანოვიჩი** გახლავთ. იმავე 16 ოქტომბერს, ჩვენს ჯგუფში კიდევ ერთი მატჩი გაიმართება, პოლონეთი რუსეთს უმასპინძლებს.

დავით ცაბაძე



ერთი კვირის ათასი წვრილმანი

ამბავი, რომელიც რამდენიმე თვის წინათ დაიწყო, დასრულდა - წუხელ 16 წლის ლევან ყენია გერმანიაში გაემგზავრა, რათა 19-წლამდელთა ბუნდესლიგაში თამაშოს, როგორც გელზენკირხენის "შალკე 04-ის" ფეხბურთელმა.

ეს არ უნდა იყოს პატარა ამბავი - ყენია უკვე საქართველოს იმედია და მისი თვით ეროვნულ, ნაკრების თავკაც კლაუს ტოპმიოლერსაც ეიმედება.

ინდივიდუალური მომენტია - ზოგისთვის სჯობს, ამ ასაკში საქართველოში დარჩენა, მომძლავრება და მერე წასვლა უცხოეთში; ზოგისთვის კი უმჯობესია, აქაურობას გაეცალოს - ცუდ მოედნებს, ცუდ სპეციალისტებს, ცუდ გუნდებს და საერთოდ, ცუდ გარემოს.

ყენია მეშვიდე კლასში იყო, სკოლაში სიარულს რომ შეეშვა და ფეხბურთისთვის გადადო თავი. ასეთი ჭაბუკისთვის კი ალბათ, უმჯობესი იყო გერმანიაში წასვლა.

თავის დროზე გიორგი ქინქლაძეც ისე წავიდა უცხოეთში, რომ მყის დიდ სარბიელზე არ გასულა - გერმანიის მეორე ბუნდესლიგის "საარბრიუკენში" გადავიდა, მერე "დინამოში" დაბრუნდა, შემდეგ "სიტიში" წავიდა...

ყენია ქინქლაძეზე უფრო შეუპოვარი ჩანს და ვნახოთ, იქნებ ისე გაიბრწყინოს გერმანიაში, როგორც ქინქლაძემ მოახერხა ეს პირველ სიტურ სეზონში.

ამასობაში სანაკრებო კვირეული მოახლოვდა. 13 და 17 ოტომბერს ჩვენს უპირველეს გუნდს იტალიაში და მერე შინ შოტლანდიასთან ელის შეხლა. ტოპიმაც საამმატჩო სია გამოაზეურა და...

ეროვნულ ნაკრებს მიღმა დარჩა კარლსრუელი ალექსანდრე იაშვილი, ჯერ არ არის განმარტება, თუ რატომ არ არის ის მიწვეული იტალია-შოტლანდიასთან მატჩებისთვის. თუმცა მწვრთნელს ყოველთვის შეუძლია, რამე თქვას არგამოძახებულ ფეხბურთელზე, მით უმეტეს ისეთ მწვრთნელს, ვისაც ამ ეტაპზე ფეხბურთის ფედერაცია შედეგს არ სთხოვს. თუნდაც ამიტომაც არის ცუდი ის, რომ მიუხედავად ამ შესარჩევში ნაჩვენები შედეგებისა, ფედერაცია ტოპმიოლერთან მაინც გააგრძელებს ხელშეკრულებას.

გამოძახებულთა შორის ორი უგუნდო ფეხბურთელია, ერთიც თავისი გუნდის სამატჩო განაცხადშიც ვერ ხვდება, ხოლო ბევრ ნაკრებელს რომ სათამაშო პრაქტიკა აკლია ან ფაქტობრივად არ აქვს, ეს უკვე არახალია.

ისევ არ არის გამოძახებული ნაკრებში რამენსკოეს "სატურნის" შუახაზელი გოგიტა გოგუა, ვინც ტრავმიანობის შემდეგ უკვე მომჯობინდა. უკვე მეოთხე სანაკრებო მატჩია, რაც მას არ იძახებენ, როგორც დისციპლინის დამრღვევს. ტოპმიოლერი საჯაროდ არ ამბობს, თუ რა კონკრეტული საქციელის გამო არ იძახებს გოგუას ნაკრებში, გუნდის შიდასამზარეულოს ამბები გარეთ არ გააქვს, მაგრამ ის კი უნდა გვითხრას, თუ კიდევ რამდენი ხანი არ აპირებს გოგუას არგამოძახებას. არ შეიძლება, რომ მწვრთნელის დისციპლინარული სასჯელი უსასრულო იყოს, ხოლო თუ ტოპის ვერდიქტი მართლაც ასეთია, მაშინ ეს მაინც დაგვიდასტუროს.

გასულ კვირაში საქართველოს თასის გათამაშების ჯგუფური ეტაპის მეორე ტურის მატჩები გაიმართა. ვერ არის კარგი საცქერი ასეთი თამაშები და ზადი ალბათ, ნებისმიერ სატურნირო ფორმატს აქვს. თუმცა ქართულმა გუნდებმა თასის ჯგუფურ ეტაპსაც გამოუძებნეს სარგებელი - ეროვნული ჩემპიონატის მატჩებში ზოგიერთი გუნდის ზოგიერთი ფეხბურთელი განზრახ იღებს ყვითელ ბარათს, რათა დისკვალიფიკაცია სათასო მატჩებისთვის მოიხადოს და ჩემპიონატში არ მოუწიოს განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი მატჩის გამოტოვება ყვითელი ბარათების გამო.

ფორმატის შეცვლა კი პრობლემა არ უნდა იყოს. აი, გერმანიაში არც ჯგუფებია და არც ორი მატჩის ჯამში წყდება თასის შემდეგ ეტაპზე გამსვლელი - ყველაფერი ერთ თამაშში ირკვევა, ერთ თამაშში კი ყველაფერი შეიძლება მოხდეს და მეტია დაძაბულობა, მეტია იმის შანსი, რომ სუსტმა და ღარიბმა ძლიერი და მდიდარი დაამარცხოს, 90 წუთში ყველაფერი თავდაყირა დააყენოს, ფეხბურთს ფეხბურთის ხიბლი გაუღვივოს - მოულოდნელობის ფაქტორი.

ხვალ კი "ამერი"-"დინამოა". დუშან უჭრინის გუნდი სეზონში პირველ მატჩს ითამაშებს ტიტულებისთვის ბრძოლაში უშუალო კონკურენტთან. გლდანში 900-კაციანი ტრიბუნა უეჭველად გაივსება, ფეხბურთის ხმები გადაფარავენ სხვა ხმებს.

იყო დრო, თბილისის "დინამოს" ხორვატი თავკაცი ამბობდა, "დინამო"-"ტორპედო" დერბიაო, "დინამო"-"ვიტ ჯორჯიაცო", "დინამო"-"ლოკომოტივიცო", "დინამო"-"თბილისიცო"...

შუშაკს იქნებ ზედმეტიც მოუვიდა დერბების დათვლაში, მაგრამ ეროვნული ჩემპიონატის დაძაბული და მჭექი თამაშები მართლაც ისეთი გემრიელია, რომ...

მოკლედ, ხვალ "ამერი"-"დინამოა".

დავით თავართქილაძე

ემპოლიმ ქართველი ვარსკვლავი შეიძინაო

რას წერს იტალიური მედია მჭედლიძეზე

კლაუს ტოპმიოლერი ნაკრებში ბოლო დროს სისტემატურად იწვევს **ლევან მჭედლიძეს**. ბოლო ერთი წელია გულშემატკივარს ამ ბიჭის თამაშის ხილვა სურს. რას წარმოადგენს ეს 17 წლის თავდამსხმელი, ასეთი რა ტალანტია, ეროვნულ ნაკრებში რომ მიიწვიეს და იტალიის "ემპოლიმ" რომ აიყვანა?

ლევანის ხილვის საშუალება გასულ წელს 17-წლამდელთა ნაკრებში გვქონდა. თბილისში შესარჩევი ეტაპი ჩატარდა და ეს ტანმაღალი თავდამსხმელი, **ლევან ყენიასთან** ერთად, გუნდის სული და გული იყო.

თუმცა დასამალი არაა - მჭედლიძის "ემპოლიში" ჩარიცხვა და საერთოდ, მისი იტალიაში ყოფნის საკითხი დიდი გაურკვევლობის საფუძველი გახდა. გუნდის ვებგვერდზე ერთი ინფორმაციაც ვერ ვიპოვეთ, რომელიც ქართველი თავდამსხმელის კლუბში ყოფნას დაადასტურებდა.

ორი აზრი არ არის - **კარლო მჭედლიძე** (რომლის ვაუიც არის ლევანი) წარსულში "დინამოს" მეკარე და საფეხბურთო სკოლა "ოლიმპიკის" დამფუძნებელი წესიერი კაცია და ტყუილი საფუძველშივე გამოვრიცხეთ. თბილისში ჩამოსულმა "ემპოლის" წარმომადგენლებმა შარშან ლევანის პერსპექტივაზე აღტაცებით ისაუბრეს და ა.შ.

ის კი არა და, არ ჩანდა არც ერთ ოფიციალურ უსტარში. საინფორმაციო სააგენტოებმა დუმილი ახლახან დაარღვიეს.

"ტუტომერკატო" წერს:

"ემპოლიმ" ქართველი ვარსკვლავი დაიმატა"

"ემპოლიმ" მზარდი ქართველი თავდამსხმელი ლევან მჭედლიძე დაიმატა. ის უკვე თავისი ქვეყნის ეროვნული ნაკრების კანდიდატია. ქართველი იუნიორის აყვანა, იტალიელების გარდა, მიუნხენის "ბაიერნს" სურდა".

"ემპოლიში" ქართველის გადასვლა ESPN-ის ოფიციალურ ინტერნეტგვერდზეც დასტურდება - ლევანი "ემპოლის" მოთამაშეთა სიაშია.

ვებგვერდი "გოლი" იტალიურენოვან გვერდზე იტალია-საქართველოს მომავალი შეხვედრის შესახებ მცირე ინფორმაციას აქვეყნებს.

შესავალში ქართველთა ბანაკის ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლეებია ჩამოთვლილი - კახა კალაძის და ლევან კობიაშვილის არყოფნით წარმოქმნილი პრობლემები და მჭედლიძის თემით დამთავრებული: *"ჩვენ ვსაუბრობთ. ახალგაზრდა ლევან მჭედლიძეზე, რომელიც "ემპოლის" ახალგაზრდულ გუნდში ძალებს იკრებს."*

ლევან მჭედლიძე

მერაბ მამულაშვილი

დონადონი საქართველოსთვის ემზადება

გაზეთი "ტუტოსპორტი" იტალიის ნაკრების მთავარ მწვრთნელ **რობერტო დონადონის** ესაუბრა. მთავარი თემა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მომავალი შეხვედრები იყო.

დონადონის თქმით, საქართველოს ნაკრებთან მომავალ დაპირისპირებას სრული სერიოზულობით ეკიდება და ქართველებს ძირითად შემადგენლობას დაუპირისპირებს.

"არ გამოვრიცხავ, გუნდი ორ ნაწილად გავყო. არის იდეა, რომ 13 ოქტომბერს საქართველოსთან ძირითადი გუნდით ვითამაშოთ, მეორე, გასასინჯი ნაწილით კი სიენაში, ამხანაგური თამაში ჩავატაროთ. ქართველებთან ოფიციალურ შეხვედრაში ექსპერიმენტების დრო არაა."

მერაბ მამულაშვილი

www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ვიტალი დარასელია 50

კაცი, რომელმაც დაჭოვა დიდი სიხარული და დიდი ჭკვილი

თენგიზ სულაქველიძე

4 ოქტომბერი. თბილისი.
ეროვნული სტადიონი. 5 000 მაყურებელი.

დინამო-მეგობართა ნაკრები 5:5 (8:8 პენალტებით)

1:0 ცაავა, 1:1 ბელანოვი (13), 2:1 რ. არველაძე, 3:1 ჩივაძე (24), 4:1 სულაქველიძე (26), 4:2 ბელანოვი (29), 4:3 ოჰანესიანი (30), 4:4 ხლუსი (42), დარასელია, 5:5 კონოვალოვი (53).

პენალტების სერია: დარასელია – 0:0, კოსოვსკი – 0:1, კორლალიძე – 0:1, კანიშევი - 0:2, ლ. ნოდია – 1:2, ხლუსი - 1:3, ჩელებაძე – 2:3, მოროზი - 2:3, გურული - 3:3, ბელანოვი - 3:3.

დინამო: გაბელია, მუჯირი, ჩივაძე, ხიზანიშვილი, ჯოხაძე, სულაქველიძე, მ. მაჩაიძე (კაპ.), ქორიძე, კაკილაშვილი, ცაავა, შენგელია.

შეცვლაზე შევიდნენ: ჩიქოვანი, არზიანი, ჩელებაძე, გურული. რ. არველაძე, ლ. ნოდია, თავაძე, კორლალიძე, ფირცხალავა, დარასელია.

მთ. მწვრთნელი: სერგო კუტივაძე

ვიტალი დარასელიას მეგობრების ნაკრები: პრუდნიკოვი, ლაზინსკი, ბოროვსკი, კუზნეცოვი, შოვეიკო, ხიდიატულინი (კაპ.), კონიშევი, აჰანესიანი, კოსოვსკი, ბელანოვი, ჯავადოვი.

შეცვლაზე შევიდნენ: კოვტუნი, კონოვალოვი, ხლუსი, მოროზი, დურმიშევი, აბდულაევი, მამედოვი.

მწვრთნელები: ბორის ვოსკრესენსკი, ანდრეი ბიბა.

არბიტრი: ანატოლი მილჩენკო

თანამსაჯები: ადიკ დურსუნიში, თამაზ ლაცაბიძე

ეროვნულ სტადიონზე გუშინ გამართული მატჩი ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელის **ვიტალი დარასელიას** იუბილეს უკავშირდებოდა. რომ არა 1982 წლის 13 დეკემბრის ტრაგიკული დღე, 1981 წლის 13 მაისს თასების თასის ფინალში გამარჯვების გოლის ავტორი ვიტალი დარასელია 50 წლისა შესრულდებოდა.

ვეტერანთა ამხანაგურ მატჩამდე ტრიბუნაზე მოთავსებულ გულშემატკივარს **ნოდარ ახალკაცმა, გიორგი გაბაშვილმა,** ვიტალი დარასელიას მეუღლე **მარინა მამალაძემ** და სხვებმა მიმართეს. მერე კი 30 წუთიანი ტაიმებისგან შემდგარი მატჩი ვიხილეთ თბილისის "დინამოს" ვეტერანებისა და ვიტალი დარასელიას მეგობართა ნაკრების მონაწილეობით. ვიხილეთ ქართული ფეხბურთის ძველი ვარსკვლავების ტექნიკური ილეთები, მეკარე **ოთარ გაბელიას** ნახტომები... ფრედ დამთავრებული მატჩის შემდეგ თერთმეტმეტრიანების სერია... **რევაზ ჩელებაძის** საფირმო პენალტი. იუბილეს მონაწილეები, ვიტალი დარასელიას თანაგუნდელები, თუ რიგით ადამიანები ემოციებს ვერ მალავდნენ. მათ სიტყვებში სიხარულიც იყო და მწუხარებაც:

"ვიტალი დარასელიას სახელი ქართველი გულშემატკივრისათვის უდიდეს სიხარულს უკავშირდება. თუმცა სიხარულთან ერთად დარასელიას ხსენებას დიდი გულისტკივილიც თან ახლავს. დასანანია, რომ იმ ავადსახსენებელმა ტრაგედიამ ვიტალი დარასელია სრულიად ახალგაზრდა გამოგვაცალა ხელიდან... მიუხედავად ამისა ეჭვგარეშეა, დღეს პოზიტიური ემოციები სჭარბობს. ტრიბუნაზე შეკრებილ გულშემატკივრებსა და მათ გაბრწყინებულ სახეებს რომ ვუყურებთ, ეს ყველაფერზე მეტყველებს. ბედნიერი ვარ, რომ ამ მატჩს არა მხოლოდ ძველი თაობის ქომაგები, არამედ ახალგაზრდებიც ესწრებიან. ისინი, რომელთაც მხოლოდ და მხოლოდ გადმოცემით თუ იციან ვიტალი დარასელიას შესახებ. ისინი, რომლებიც ასაკის მიხედვით შვილიშვილად ეკუთვნიან დარასელიას.

ვიტალი დარასელია ის ადამიანია, რომელმაც ქართული ფეხბურთის სახელსა და იმიჯს ყველაფერი შესწირა. ამასთან დარასელიასა და მის თაობას არ ხვდათ ეროვნულ ნაკრებში ასპარეზობის პატივი. ეს ფეხბურთელები უნდა დავაფასოთ, წასულებს კი პატივი ვცეთ და მათი სახელის უკვდავსაყოფად ყველაფერი გავაკეთოთ. ამ საღამოს ორგანიზების ყველა მონაწილეს მადლობა მინდა ვუთხრა. იუბილეს აღნიშვნაში თავისი წვლილი შეიტანეს თბილისის მერიამ, "ეროვნულმა სტადიონმა", სპორტსაზოგადოება "დინამომ", სპორტის დეპარტამენტმა, თბილისის "დინამომ", კულტურისა და სპორტის სამინისტრომ, აფხაზეთის მთავრობამ, ჩვენი ფეხბურთის დიდმა მეცენატმა ელგუჯა ბუბუტეიშვილმა. მადლიერი ვარ იმ ქომაგებისა, რომლებიც მატჩს დაესწრნენ და ქართული ფეხბურთის ვარსკვლავები გაიხსენეს", - აღნიშნა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა.

ალექსანდრე ჩივაძე: *"ვიტალი დიდი კაცი იყო. ჩინებული ფეხბურთელი და დიდებული ადამიანი. ის ყველას უყვარდა... მადლობა მინდა ვუთხრა ამ იუბილეს ორგანიზატორებს."*

რამაზ შენგელია: *"იმ ავადსახსენებელმა ავტოკატასტროფამ დიდი კაცი წაგვართვა. სხვა რაღა დაგვრჩენია, ვიტალი დარასელიასა და მის დარ ფეხბურთელებს, მის დარ ადამიანებს პატივი უნდა მივაგოთ".*

თენგიზ სულაქველიძე: *"ვიტალი დარასელია კარგი ფეხბურთელი და თავმდაბალი პიროვნება იყო. დიდთან დიდი იყო, პატარასთან - პატარა. ყველას ფასი იცოდა. ბედნიერი ვარ მის სახელს სათანადო პატივი რომ მივაგეთ. მან ეს დაიმსახურა".*

დავით ცაბაძე

ალექსანდრე ჩივაძე

ინტერვიუ
ვიტალი დარასელიასთან

მადლიერი ვარ მამაჩემის დაფასებისთვის

დარასელია პრემიერლიგაში ითამაშებს?

გუშინ ჩატარებულ მატჩში უმცროსმა ვიტალი დარასელიამაც ითამაშა. მამის იუბილის აღსანიშნავი ღონისძიებისთვის ის საგანგებოდ ჩამოვიდა მოლდოვიდან. "დაჩიას" ქართველ ლეგიონერს გუშინდელი თამაშის შემდეგ გავესაუბრეთ არაერთ საკითხზე.

- ძალიან გახარებული ვარ და მამაჩემის იუბილეს ყველა ორგანიზატორს მადლობა მინდა ვუთხრა. უფრო ბედნიერი ვიქნებოდი მამაჩემი ცოცხალი რომ იყოს და თავად მიეღო მონაწილეობა იუბილეში... მამაჩემის ყოველი ასეთი გახსენება კიდევ ერთხელ მარწმუნებს, თუ რაოდენ დიდი ფეხბურთელი და მნიშვნელოვანი გოლის ავტორი იყო ის. მეამაყება, რომ ის ასეთი დიდი ფიგურა იყო ქართულ ფეხბურთში...

სამწუხაროდ, მამაჩემი რომ დაიღუპა 4 წლის გახლდით და კარგად არც კი მახსოვს. ერთადერთი რაც ჩემს მეხსიერებას შემორჩა, ერთი ლამაზი დღეა, როცა მან თავის ავტომობილში ჩამსვა, დიღმის საწვრთნელ ბაზაზე მიმიყვანა და თანაგუნდელები მაჩვენა.

- მამაშენის მეგობრებს შენი ნახვა ძალიან გაუხარდათ და ბევრს გესაუბრნენ. ახლო ურთიერთობა ვისთან გაკავშირებს?

- ყველამ თბილად მოგვიკითხა მეც, დედაჩემიც და ჩემი დაც. რაც შეეხება ახლო ურთიერთობას, კარგად ვიცნობ ლაზინსკის, ბელანოვს, ხიდიატულინს, ოვანესიანს... ერთი პერიოდი, უკრაინაში თამაშისას ლაზინსკი ჩემი მწვრთნელიც კი იყო.

- ახლა შენს საკლუბო კარიერაზეც ვთქვათ. "დაჩიაში" როგორ მიდის შენი საქმეები?

- კარგად. სტაბილურად ვთამაშობ ჩემს პოზიციაზე და გოლებიც გამაქვს.. ამჟამად მესამე ადგილზე ვართ, საპრიზო ადგილებისთვის ვიბრძვით. იმედი მაქვს გამოგვივა კიდეც.

- "დაჩიაში" კიდევ ერთი ქართველია – ჯაბა დვალი. მისი საქმეები როგორაა?

- კარგად. ჯაბაც ჩვენი გუნდის ნამყვანი ფიგურაა. დიდი ძალაა და კარგად იციან მისი შესაძლებლობები.

- "დაჩიაში" თქვენამდე ლადო ახალაია ასპარეზობდა...

- კი და მოლდოვურ "რაპიდში" გადავიდა და იქაც გუნდის ერთ-ერთი ლიდერია.

- მოლდოვურ ჩემპიონატზე რა წარმოდგენა შეგექმნა?

- ნორმალური დონეა. საქართველოს ჩემპიონატზე უკეთესი დონის ჩემპიონატია. იქაურ კლუბებს უფრო კარგი პირობები აქვთ...

- "დაჩიასთან" რა ხანგრძლიობის კონტრაქტი გაკავშირებს?

- კონტრაქტი ნოემბრის ბოლოს მიმთავრდება.

- მერე რას აპირებ ხელშეკრულებას გააგრძელებ თუ კლუბს შეიცვლი?

- კლუბს შევიცვლი. ერთ-ერთ რუსულ კლუბში გადავალ და პრემიერლიგაში ვიასპარეზებ. მათგან არის ინტერესი და მოლაპარაკებებიც მალე განახლდება.

- რომელ გუნდზეა საუბარი?

- არა, კლუბს ჯერ ვერ დავასახელებ. 5-6 კვირაში ყველაფერი გაცხადდება.

დავით ცაბაძე

ახალგაზრდა ვეტერანებს გაზაფხულზე გააცილებენ

ფეხბურთის ფედერაციის მიერ აქამდე ორგანიზებული ღონისძიებები უმთავრესად 60, 70 და 80-იან წლებში მოსაპარეზე ფეხბურთელების იუბილეებს უკავშირდებოდა. თუმცა ფედერაციას არც ახალგაზრდა თაობის ვეტერნებიც დავიწყნია. **ნოდარ ახალკაცის** სურვილია ბოლო თაობის ვეტერანები სათანადოდ დაიფასოს. ამ საკითხთან დაკავშირებით თავად ფედერაციის პრეზიდენტს მივმართეთ:

"გვინდა ახალი თაობის ვეტერანები, რომელთაც დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიის საწყის ფურცლები შექმნეს, სათანადოდ დავაფასოთ. ჩვენ მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ სხვადასხვა ფედერაციებთან და გვინდა გაზაფხულზე საერთაშორისო ამხანაგური მატჩი ჩავატაროთ, რომლითაც ამ მოთამაშეებს დიდი ფეხბურთიდან გავაცილებთ", - აღნიშნა ნოდარ ახალკაცმა.

ჩანაფიქრი, ახალგაზრდა ვეტერანებს, **თემურ ქეცბაიას, ძმებ არველაძეებს მურთაზ შელიას, კახა ცხადაძეს, მიხეილ ყაველაშვუილს, გოჩა ჯამარაულს, გიორგი ნემსაძეს, კახა გოგიჩაიშვილს** და ამ თაობის სხვა მოთამაშეთა სახელებს უკავშირდება.

დავით ცაბაძე

www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლიტველებს არ უნდა მოვუგოთ

ლიტვის ჩემპიონ "კაუნასში" მესამე სეზონი გია კვარაცხელიასთვის ბოლო უნდა ყოფილიყო. მას ჯერ კიდევ ზამთარში, თანამეგობრობის ტურნირამდე სურდა გუნდის შეცვლა. თუმცა ვითარება დღემდე არ შეცვლილა. პირიქით, "კაუნასთან" ხელშეკრულება გააგრძელა.

ჩვენი საუბარიც ამას შეეხო.

- გია, კარგია, რომ ბოლო დროს "კაუნასში" ბევრი გაგაქვს, მაგრამ როდემდე რჩები ლიტვაში?

- დარჩენა მეც არ მინდა. იყო კიდეც წინადადებები რუსეთიდან. "კრილიაში", ნალჩიკის "სპარტაკსა" და "ტომში" კონტრაქტს მთავაზობდნენ.

- და მაინც "კაუნასში" დარჩი?!

- სხვანაირად ვერ მოვიქცეოდი.

- რატომ? ხელს რა გიშლიდა, კონტრაქტი ხომ იანვარში დაგიმთავრდა?

- ჩვენმა პრეზიდენტმა რომანოვმა მთხოვა, სეზონის ბოლომდე დავხმარებოდი. ჩემპიონობის დიდი შანსი გვაქვს და შენი წასვლით პრობლემები შეგვექმნებაო. უარი არ გამოდიოდა და ახალი, ერთწლიანი კონტრაქტი გავაფორმე. თუმცა სიტყვიერად შევთანხმდით, რომ მიწვევის შემთხვევაში, ხელს არ შემიშლის.

- მეტი რაღა უნდა შეგიშალოს, ლიტვიდან რუსეთის პრემიერლიგაში არ გაგიშვა. ხომ არ დაგაპატიმრებს.

- ეს კაცი სიტყვის გატეხვას მიჩვეული არაა და მჯერა, მეც არ მომატყუებს.

- "კაუნასი" ბოლო სეზონში მწვრთნელს წინდებივით რატომ იცვლის?

- რომანოვს მხოლოდ ლიტვის ჩემპიონობა არ სურს. მოდიან, მუშაობენ, შედეგიც არის, მაგრამ გუნდი იმ თამაშს მაინც ვერ აჩვენებს, ევროტურნირზე ორი-სამი წრე მაინც რომ გავიაროთ. აგერ, ჰოლანდიელი ჩამოიყვანა და 9 დღეში გაუშვა. მიხვდა, რომ ის ყველა გაშვებულზე უარესი იყო და "კაუნასის" დეგრადაციის საშუალება არ მისცა.

- ბალტიის თასი ჩვენთვის საინტერესოა გარკვეული თვალსაზრისით. გაამართლა ტურნირმა?

- თავიდან ძალიან კარგად დაიწყო და მერე ასე ვთქვათ "გაბანძდა". გუნდებმა რეზერვისტების გასინჯვა დაიწყეს. თუმცა ფინალური ეტაპი საინტერესო იქნება. თან, ხომ იცით, ძეზობლებს ერთმანეთისთვის სულ სურთ იმის დამტკიცება, რომ სჯობიან.

სხვათა შორის, "ვენტსპილსის" თამაში ვნახე და მენთეშაშვილმა გამაოცა. ძალიან მოუმატებია.

- ლიტვა-საქართველოს ძველ მატჩზე შენ არ გისაუბრია. მალე თბილისში ხელმეორედ შევხვდებით. შენ რას ფიქრობ, რეალურად მათ შეუძლიათ თბილისშიც შემოგვთავაზონ სიურპრიზი?

- ერთი შეხედვით, ეს წარმოუდგენელია, მაგრამ ლიტვაში ისეთი მონდომებით ითამაშეს, გამიკვირდა. უფრო სწორედ, ჩვენზე მონდომებულები იყვნენ, თორემ ბევრი არაფერი გუნდია. არც ის შეხვედრა უნდა წაგვეგო და თბილისშიც აუცილებლად უნდა მოვიგოთ. თქვენ არ იცით, როგორ გაიხარეს. ხუთი კაცი ლიტვის ჩემპიონატიდან ჰყავდათ და რატომ არ გაუხარდებოდათ. მარტო კალაძის ფასი არაა ამათი მთელი ნაკრები. გვაჯობეს ისევე, როგორც გუშინ "სელტიკმა" "მილანს" - მონდომებით, თავდადებით.

- ლიტვაში ბევრი ქართველი შეიყარეთ. ვინმე ახალი ხომ არა?

- ძალიან გამიხარდა, "ვეტრაში" ჩემი მოგვარე ვახო კვარაცხელია რომ აღმოვაჩინე. ისეთი ჯანიანი და ძალისმიერი სტილისაა, აქაურებს რომ მოსწონთ.

მერაბ მამულაშვილი

ჯგუფში მხოლოდ ასათიანია

მალხაზ ასათიანი

უეფას თასზე გუშინ ჯგუფურ ეტაპზე გასული ყველა გუნდი გაირკვა. ტურნირის ძირითად სტადიაზე მოხვედრას ხუთი "ქართული" კლუბი ლამობდა, საიდანაც მიზანს მხოლოდ "ლოკომოტივმა" მიაღწია.

მოსკოველი რკინიგზელები ჯგუფში ცალი ფეხით მას შემდეგ იყვნენ, რაც დანიაში "მიდტიულანდს" 3:1 მოუგეს. განმეორებითი შეხვედრაც **ანატოლი ბიშოვეცის** გუნდის აშკარა უპირატესობით წარიმართა. **ბილიალეტდინოვმა** და **მამინოვმა** პირველ ტაიმში გაიტანეს და "ლოკომოტოვმა" 2:0 გაიმარჯვა. **მალხაზ ასათიანმა** სრულად ითამაშა.

გათამაშებას გამოეთიშა "დნეპრი", რომელმაც სტუმრად 0:0 ითამაშა შოტლანდიურ "აბერდინთან", შინ კი 1:1-ზე მეტს ვერ მიაღწია. ანგარიში მატჩის პირველ ნახევარში სტუმრებმა გახსნეს, უკრაინელებმა 76-ე წუთზე გაათანაბრეს, მაგრამ მეტი ველარ შეძლეს. **ჯაბა კანკავა** 59-ე წუთზე შეცვალეს.

ლაშა ჯაკობია და მისი თანაგუნდელები ინგლისურ "ევერტონს" მედგრად ებრძოლნენ, მაგრამ ძალამ აღმართი მაინც მოხნა და "მეტალისტი" შინ 2:3 დამარცხდა (არადა, ორჯერ იგებდა). ჯაკობიას გოლი არ გაუტანია, იგი 75-ე წუთზე შეცვალეს.

"ბლექბერნმა" საშუალო ბერძნულ "ლარისას" განმეორებით დაპირისპირებაშიც ვერაფერი დააკლო. ინგლისელებმა 2:1 კი მოიგეს, მაგრამ სტუმრად 0:2 ჰქონდათ წაგებული და გათამაშებას გამოეთიშნენ. **ზურაბ ხიზანიშვილმა** თამაშს სათადარიგოთა სკამიდან უცქირა.

თემურ ქეცბაიას "ანორთოსისმა" ჯგუფში გასვლის იმედები ლონდონში გადაიწურა, როცა "ტოტენჰემთან" 1:6 იწვნია. გუშინ კვიპროსელებმა ბოლომდე იბრძოლეს, დაწინაურდნენ კიდეც, საბოლოოდ კი 1:1-ს დასჯერდნენ.

ლევან ჯანეზაშვილი

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
გადაიხადე სახლიდან გაუსვლელად
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ეროვნული სტადიონი ქუჩის ფეხბურთს უმასპინძლებს

ეროვნული სტადიონის დირექციამ ქუჩის ფეხბურთის ტურნირი საქართველო-უკრაინის მატჩამდე ჩაატარა. გამარჯვებული ბოლნისის "ყვინჩილა" გახდა.

სტადიონის დირექცია კიდევ აპირებს შეჯიბრების გამართვას, ამჯერად 10 წლამდე ბავშვებში. სტადიონის სპორტისა და მასობრივი ღონისძიებების სამსახურის უფროსი მალხაზ ნორაკიძე ამბობს: "ჩვენ საგანგებოდ შევიძინეთ ქუჩის ფეხბურთის ტურნირის ჩასატარებლად მცირე ზომის (22X10) მოედანი. შეჯიბრება 10-14 ოქტომბერს გაიმართება, განცხადებებს კი 8 ოქტომბრის ჩათვლით მივიღებთ. მსურველებმა მონაწილეთა დაბადების მოწმობები და მოსწავლეთა ბარათები უნდა წარმოადგინონ. განაცხადში 7 ფეხბურთელის შეყვანა შეიძლება."

ტურნირში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ
მალხაზ ნორაკიძეს - 898 31 77 72

ქართველ ფეხბურთელთა უმაღლეს დონეზე მომზადება არგენტინაში

მარადონას სამშობლოში

ქართველ ფეხბურთელებს მოამზადებენ შემდეგი კვალიფიციური სპეციალისტები:

მთავარი მწვრთნელი: ედუარდო ემილიო დელგადო, "ველეს სარსფილდის", "სან ლორენსოსა" და "როსარიო სენტრალის" ყოფილი ფეხბურთელი.

მწვრთნელი: რაულ დე ლა კრუს ჩაპარო, "რივერ პლეიტის" ყოფილი ფეხბურთელი;

მწვრთნელი: ოსკარ ოლივერა, ლა პლატის "გიმნასია და ესგრიმას" ყოფილი ფეხბურთელი;

ფიზმომზადების სპეციალისტი: კარლოს გონსალესი.

16-დან 20 წლამდე ასაკის პერსპექტიულ ფეხბურთელებს, რომელთაც სურთ, ჯერ აიმაღლონ საფეხბურთო დონე, ხოლო შემდეგ გარკვეული პერიოდი ითამაშონ არგენტინის საფეხბურთო გუნდებში, მიმდინარე წლის ოქტომბერში გაემგზავრებიან არგენტინის დედაქალაქ ბუენოს-აირესში, სადაც პროვინციებთან ერთად 300-ზე მეტი საფეხბურთო კლუბი ფუნქციონირებს.

არგენტინაა ერთადერთი ქვეყანა, სადაც ახალგაზრდულ საფეხბურთო გუნდებს შორის, სხვა ქვეყნებთან შედარებით, უფრო მეტი შეჯიბრებები იმართება, რაც ქართველ ფეხბურთელებს საშუალებას მისცემს, გაიუმჯობესონ ტექნიკა და გამოავლინონ თავისი შესაძლებლობები.

მომზადების პერიოდი 6 თვიდან ერთ წლამდეა. მომზადების პერიოდში ფეხბურთელებზე მოხდება დაკვირვება. მომზადების შემდეგ, ისინი მივლენილნი იქნებიან არგენტინის კლუბებში და ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს.

ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური მომზადების, ავიაბილეთების, ბინის, კვების, შიდა ტრანსპორტის და არგენტინის ვიზის ხარჯებს არგენტინის მხარე არ უზრუნველყოფს და გაღებულ უნდა იქნას მსურველთა, ან მათი სპონსორების მიერ.

დაწვრილებითი ცნობებისთვის მსურველები უნდა გამოცხადნენ არგენტინის წარმომადგენელთან, მისამართზე: ლეონიძის ქ №4 (ყოფილი კიროვის ქ. თავისუფლების მოედანთან, ეროვნული ბანკის მოპირდაპირედ). მიღება იწარმოებს ყოველდღე 13-დან 14 საათამდე არგენტინის წარმომადგენელთან საქართველოში, მხოლოდ წინასწარ ჩაწერით, შემდეგ ტელეფონზე: 899 23-55-20. ტელეფონის საშუალებით დაწვრილებითი ცნობები არ მიიღება! საბუთების გასაფორმებლად და არგენტინის ვიზების მისაღებად მსურველები უნდა გამოცხადდნენ სასწრაფოდ!!!

მაიკლ ქერიკი

ინგლისი

ქერიკის იდაყვი და ექვსი კვირა

ფერგიუსონისა და მაკლარენის ახალი პრობლემები. ნაკრებს ვერც ბექჰემი დაეხმარება, ოუენზე კი გადაწყვეტილებას ელერდაისი მიიღებს

"მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველი **მაიკლ ქერიკი** ფეხბურთის 6 კვირით ჩამოშორდა. "რომასთან" ოთხშაბათის საჩემპიონთაალიგო მატჩში მან იდაყვის ძვალი გაიტეხა. თავიდან, ტრავმა თითქოს არ ჩანდა სერიოზული, მაგრამ დეტალური გამოკვლევის შემდეგ გაირკვა, რომ 26 წლის მოთამაშეს დასვენება დიდი ხნით მოუწევდა.

ქერიკის ტრავმა მძიმე დანაკლისია პირველ რიგში "მანჩესტერ იუნაიტედისთვის", რომელსაც შუა ხაზში **ოუენ ჰარგრივსი** და **დარენ ფლეტჩერიც** დაშავებული ჰყავს. უკეთეს შემთხვევაში, ქერიკი 24 ნოემბერს, "ბოლტონთან" მატჩისთვის უნდა დაუბრუნდეს "მენიუს" ძირითად შემადგენლობას. მანამდე კი მას ჩემპიონთა ლიგის ორი მატჩი (ორივე კიევის "დინამოსთან") გაუცდება.

ცხადია, ქერიკის არყოფნა პრობლემებს უქმნის ინგლისის ნაკრების მწვრთნელ **სტივ მაკლარენსაც**. გარდა იმისა, რომ მანჩესტერელი მონაწილეობას ვერ მიიღებს ინგლისის ნაკრების ორ უახლოეს საოქტომბრო შესარჩევ შეხვედრაში (ესტონეთთან და რუსეთთან), დიდი ალბათობით, ის გუნდს ვერც ხორვატიასთან 16 ნოემბრის მატჩში დაეხმარება.

მაკლარენს დამამშვიდებელი ინფორმაცია არც ლოს-ანჯელესიდან აქვს. "გალაქსის" მწვრთნელი **ფრენკ იალოპი** აცხადებს, რომ ესტონეთთან და რუსეთთან მატჩებისთვის მზად ვერ იქნება **დეივიდ ბექჰემიც**. თავად ფეხბურთელი კი სიტუაციას ასე აფასებს: *"საქმე თითქოს უკეთ მიდის, მაგრამ ჯერ ნუ ვიჩქარებთ. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ამ ეტაპზე ბევრი რამით ვარ შეზღუდული. დიდი სურვილი მაქვს, სეზონის დასრულებამდე- როგორმე MLS-ში თამაშიც მოვასწრო".*

ამასობაში, მაკლარენს ნიუკასლიდანაც უტმევენ. "ჯორდების" მწვრთნელმა **სემ ელერდაისმა** გასაგებად თქვა, რომ მზად იქნება თუ არა **მაიკლ ოუენი** ინგლისის ნაკრებში სათამაშოდ, ამას კლუბი გადაწყვეტს და არა მაკლარენი. ეს-ესაა ოუენმა საზარდულზე ორმაგი ოპერაცია გაიკეთა. შესაძლოა, მან ესტონეთთან და რუსეთთან მატჩებისთვის გამოჯანმრთელება მოასწროს. თუმცა "დეილი ტელეგრაფთან" ინტერვიუში ელერდაისის მკაცრი ტონი გვაფიქრებინებს, რომ მაკლარენს ოუენის მაინცდამაინც დიდი იმედი არ უნდა ჰქონდეს:

"ვერც ინგლისის საფეხბურთო ასოციაცია და ვერც ნაკრების მწვრთნელი სტივ მაკლარენი ვერ მიიღებენ იმ გადაწყვეტილებას, რაც კლუბის პროგრამატივაა. თუ სად და როდის ითამაშებს ოუენი, ეს "ნიუკასლის" საქმეა. სხვა კომპეტენტური სუბიექტი მე არ მეგულება. ჩემი სურვილია, მაიკლი რაც შეიძლება დროულად დაუბრუნდეს "ნიუკასლს". თუ ეს მოხერხდა, მაშინ არც ნაკრებში თამაშზე ექნება პრობლემა".

ევრო 2008. საფრანგეთი

დომენეკი: უარი ტრეზეგეს!

B ჯგუფში საქართველოს ნაკრებთან ერთად მოასპარეზე საფრანგეთის ეროვნული გუნდი ორ უახლოეს შესარჩევ შეხვედრას ფარერებთან და ლიტვასთან ჩაატარებს. შოტლანდიასთან საკუთარ მოედანზე მარცხით, ფრანგებმა თავი მძიმე მდგომარეობაში ჩაიგდეს. მომდევნო მატჩებში მათ ქულათა მაქსიმუმი სჭირდებათ, რაც რთულ ამოცანად არ უნდა ჩაითვალოს.

რაიმონ დომენეკმა ნაკრებში დააბრუნა მანჩესტერელი ფორვარდი **ლუის საა**, რომელმაც ეროვნულ გუნდში ბოლოს გასული წლის ნოემბერში (ამხანაგური მატჩი საბერძნეთთან, 1:0) ითამაშა. ტრავმის შემდეგ "იუნაიტედს" ის ახლახან დაუბრუნდა. ამ ფონზე, უცნაურია **დავიდ ტრეზეგეს** იგნორირება. შეგახსენებთ, რომ "იუვენტუსის" თავდამსხმელის მიმდინარე გათამაშების ექვს ტურში 7 გოლი აქვს გატანილი. კიდევ უფრო უცნაურია ის, რომ დომენეკმა ნაკრებში უხმო ბოლომდე ტრავმამოუშუშებელ **უილიამ გალასს**, რომელიც "არსენალთან" ერთად ვარჯიშს მხოლოდ დღეიდან შეუდგება. მოკლედ, საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობა ასე გამოიყურება:

მეკარეები - **სებასტიან ფრეი** (ფიორენტინა), **მიკაელ ლანდრო** (პსჟ), **ულრიხ რამე** (ბორდო);

მცველები - **ერიკ აბიდალი** (ბარსელონა), **ჟულიენ ესკუდე** (სევილია), **პატრის ევრა** (მანჩესტერ იუნ), **უილიამ გალასი, ბაკარი სანია** (ორივე არსენალი), **ფილიპ მექსე** (რომა), **ლილიან ტურამი** (ბარსელონა);

ნახევარმცველები - **აბუ დიაბი, ლასანა დიარა, მეტიუ ფლამინი** (ყველა არსენალი), **კლოდ მაკელელე** (ჩელსი), **ჟერომ როტენი** (პსჟ), **ჟერემი ტულალანი** (ლიონი);

თავდამსხმელები - **ნიკოლა ანელკა** (ბოლტონი), **ქარიმ ბენზემა, სიდნი გოვუ** (ორივე ლიონი), **ტიერი ანრი** (ბარსელონა), **ფლორან მალუდა** (ჩელსი), **ფრანკ რიბერი** (ბაიერნი), **ლუის საა** (მანჩესტერ იუნ).

დომენეკი ტრეზეგეს ისევ ანვალებს



ჰენკ ტენ კეიტი

ჩელსი

ახალი მწვრთნელი სტემფორდ ბრიჯზე

ჰენკ ტენ კეიტი თანახმაა, მოთამაშეებს კი აბრაამს უჩივიან

აბრაამ გრანტი "ჩელსის" პრობლემებს მარტო ვერ უმკლავდება. **რომან აბრამოვიჩიც** ხედავს, რომ მისი რჩეულისთვის "სტემფორდ ბრიჯზე" მუშაობა ზედმეტად მძიმე ტვირთია. შესაძლოა, გავიდეს დრო და გრანტი შეეჩვიოს მისთვის ახალ გარემოს, მაგრამ ეს დრო დაკარგული იქნება. "ჩელსი" პრემიერლიგაში კვლავ ვერ იგებს. გრანტის ხელმძღვანელობით ჩატარებულ ორ შეხვედრაში "არისტოკრატებმა" მხოლოდ ერთი ქულა აიღეს და გოლიც ვერ გაიტანეს. როგორც ჩანს, "ფულჰემთან" საკუთარ მოედანზე ფრედ დამთავრებული მატჩის შემდეგ, მატჩისა, რომელშიც "ჩელსი" სულაც წაგებას გადაურჩა, რომანს თვალები აეხილა...

ერთი სიტყვით, გრანტს გვერდით საიმედო და გამოცდილი კაცი სჭირდება. და ვინ შეიძლება იყოს ეს კაცი? პოპულარული ტაბლოიდი "სანი" აქვეყნებს "ჩელსის" ერთ-ერთი ინკოგნიტო წარმომადგენლის კომენტარს, რომელშიც დასტურდება, რომ ლონდონში დღედღეზე ჰოლანდიელ **ჰენკ ტენ კეიტს** ელოდებიან. ტენ კეიტი მხოლოდ ორი წელია, რაც დამოუკიდებელ სამწვრთნელო სამუშაოს ეწევა. ის "აიაქსის" დამრიგებელი გახლავთ, თუმც ამ ხნის განმავლობაში სერიოზული წარმატებისთვის არ მიუღწევია. ამსტერდამული კლუბი მისი საქმიანობით ისედაც უკმაყოფილოა და წასვლაში ხელს არ შეუშლის. ჰოლანდიური ფეხბურთის გრანდი წელს ზედიზედ მეორედ ვერ მოხვდა ჩემპიონთა ლიგაში. ტენ კეიტი ძირითადად "მეორე კაცის" როლითაა ცნობილი. "აიაქსში" დანიშვნამდე ის "ბარსელონაში" **ფრანკ რიიკაარდის** ასისტენტი იყო და გარკვეული წილიც მიუძღვის კატალონიელთა წარმატებებში.

"ჩელსის" სამზარეულოში კი, თურმე, ტენ კეიტის შესაძლებლობებს კარგად იცნობენ და აფასებენ. მას რეკომენდაცია "სტემფორდ ბრიჯის" აკადემიის დირექტორმა **ფრენკ არნესენმა** გაუწია. ბატონი ჰენკი შემტევი სტილის მიმდევრად მიიჩნევა. ინკოგნიტო წარმომადგენელი დარწმუნებულია, რომ ჰოლანდიელი სპეციალისტი შეძლებს ფეხბურთელების მოტივირებას იმ დონეზე, როგორც ამას **ჟოზე მოურინიო** ახერხებდა და რაც გრანტისთვის, ჯერჯერობით, მიუღწეველი აღმოჩნდა. ტენ კეიტის მთავარი ამოცანა სწორედ გრანტსა და ფეხბურთელებს შორის არსებული ბზარების ამოვსებაა. დღევანდელი დამრიგებლის პრეროგატივად დარჩება სელექცია და ტაქტიკის შერჩევა, "შავ" სამუშაოს კი, ანუ საწვრთნელ პროცესს, ძირითადად ჰოლანდიელი მიხედავს.

შესაძლოა, "ჩელსის" მესვეურთა ეს ნაბიჯი მოთამაშეთა განწყობას ეხმაურებოდეს. გაჟონა ინფორმაციამ, რომ ფეხბურთელთა დიდი ნაწილი გრანტის სამწვრთნელო მეთოდებით უკმაყოფილოა. ისინი თვლიან, რომ ამ მეთოდებით მხოლოდ მოყვარულებს ავარჯიშებენ. მოურინიოს დროს წვრთნა უფრო ინტენსიური და შინაარსიანი იყოო, ნოსტალგია არ ასვენებთ "ჩელსის" მოთამაშეებს...

ჰოლანდიელი "ჩელსისთან" სამწლიან კონტრაქტს გააფორმებს და სეზონურად 1.2 მილიონ გირვანქას მიიღებს. აქვე შეგახსენებთ, ორიოდ დღით უკან პრესა "ჩელსიში" **მარჩელო ლიპის** დანიშვნას წინასწარმეტყველებდა. ისიც ითქვა, რომ ლიპის მოსვლამდე "არისტოკრატებში" უნდა დაბრუნებულიყო **ჯანფრანკო ძოლა**, რომელიც დიდი მაესტროს თანაშემწე გახდებოდა. როგორც ჩანს, აბრამოვიჩმა გეგმები შეცვალა. მაგრამ ბრიტანული მედია თითქმის 100 პროცენტითაა დარწმუნებული, რომ ოლიგარქი მწვრთნელის თემას კიდევ მიუბრუნდება...

იუვენტუსი

ფლორიან კრინგეს ჭურინში უხმესო...

ლეგროტალიეს ახალი კონტრაქტი, პალადინოსა და კიელინის მომატებული ხელფასი

გერმანული საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, "იუვენტუსი" დორტმუნდის "ბორუსიის" ნახევარმცველ **ფლორიან კრინგეთი** დაინტერესდა. კრინგე 25 წლისაა. "ბებერი ქალბატონის" ხელმძღვანელები მას უნივერსალიზმით მოუხიბლავს. ის ორივე ფეხით კარგად თამაშობს და წარმატებით უმკლავდება როგორც მცველის, ასევე ნახევარმცველის (ნებისმიერ ფლანგზე და ცენტრშიც) ფუნქციებს.

კრინგეს ვესტფალიურ კლუბთან კონტრაქტი მიმდინარე სეზონის ბოლოს ეწურება, რაც იმას ნიშნავს, რომ "იუვენტუსს" მისი გადაბირება ერთი ცენტიც არ დაუჯდება. "იუვეს" სპორტული დირექტორი **ალესიო სეკო**, თურმე, რეგულარულად აგზავნის გერმანიაში სკაუტებს, რომლებიც ყველაზე ხშირად სწორედ კრინგეს თამაშს აკვირდებიან.

ამასობაში, "იუვენტუსი" **ნიკოლა ლეგროტალიესთვის** კონტრაქტის გაგრძელებაზეც დაფიქრდა. ამ უკანასკნელმა ტრავმირებული **ჟორჟე ანდრადე** შეცვალა და როგორც სპეციალისტები ამბობენ, საკმაოდ წარმატებითაც. საგულისხმოა, რომ ბოლო ორ მატჩში ტურინულ გრანდს არც ერთი გოლი არ გაუშვია, რაც დიდწილად "ლეგროს" დამსახურებად მიიჩნევა. პლუს ამას, "რეჯინასთან" მატჩში მან მნიშვნელოვანი გოლიც გაიტანა. არადა, ბოლო ხანებში ნიკოლას სათვალავში არავინ აგდებდა. **მარჩელო ლიპიმ** ის 2003 წელს, "კიევოდან" გადაიბირა. იმხანად, ლეგროტალიე იტალიური ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად ითვლებოდა. თუმცა მაშინ იმედები ვერ გაამართლა და "იუვემ" ჯერ "ბოლონიაში", მერე კი "სიენაში" გაანათხოვრა.

"ბოლო მატჩებში ლეგროტალიემ დაამტკიცა, რომ დიდი ფეხბურთიდან მისი ჩამოწერა ნაადრევი იყო. ვფიქრობ, თუ ასე გააგრძელებს, ზამთარში ახალი მცველის ძებნა არ დაგვჭირდება" - ეს სეკოს სიტყვები გახლავთ.

შობამდე, "იუვენტუსთან" ახალ კონტრაქტებს (2012 წლამდე) მცველი **ჯორჯო კიელინი** და ფორვარდი **რაფაელე პალადინოც** გააფორმებენ. მაგრამ აქ მნიშვნელოვანია ის, რომ ორივე ფეხბურთელს ხელფასი ემატება. ახალი ხელშეკრულების ძალით, კიელინი და პალადინო წლიურად 1.6 მილიონ ევროს მიიღებენ. როგორც კლუბის მესვეურები აცხადებენ, ეს ნაბიჯი ახალგაზრდა, პერსპექტიული მოთამაშეების შენარჩუნების სურვილითაა ნაკარნახევი. ეტყობა, ამიტომაც ფერხდება ასაკოვანი **ალესანდრო დელ პიეროსთვის** ჯამაგირის გაზრდა. ბევრისთვის, ალექსი უკვე წარმავალი ფიგურაა. და მართლაცაა.



ფლორიან კრინგე

მოკლე ამბავი

"ბარსელონის" საკუთარი "ემპოლის" 20 წლის თავდამსხმელ სებასტიან ჯოვინკოსა და 22 წლის მცველ ანდრეა რაჯის დააკვირდებიან. ისინი გუშინ "ციურიხისა" და "ემპოლის" საუფასთასო მატჩს უნდა დასწრებოდნენ. ჯოვინკო "იუვენტუსის" საკუთრებაა და ამ შემთხვევაში, "ბარსას" სწორედ მასთან ექნება საქმე. სხვათა შორის, მოსკოვის ცსკა ჯოვინკოს პირდაპირ კონტრაქტს სთავაზობს.

■ ■ ■

"არსენალის" მეკარე იენს ლემანი გამოკეთდა და ვარჯიშს შეუდა. როგორც ვარაუდობენ, ლემანს შეეძლება, გერმანიის ნაკრებს უკვე უახლოეს შესარჩევ შეხვედრებში დაეხმაროს.

■ ■ ■

"ტოტენჰემი" მშობლიურ "უაით ჰართ ლეინს" დატოვებს და ახალ არენაზე გადაბარგდება. მშენებლობის ადგილს ერთი თვის განმავლობაში შეარჩევენ. სავარაუდოდ, ახალი სტადიონი ლონდონის ენფილდის რაინოში წამოიჭიმება და 60 ათას მაყურებელზე იქნება გათვლილი. ცნობისთვის, ამჟამინდელი არენა 36 ათას ქომაგს იტევს.

■ ■ ■

იტალიური სააგენტოების ცნობით, კიევის "დინამოს" მწვრთნელად, შეიძლება, ალბერტო ძაკერონი დაინიშნოს. იდეა ეკუთვნის უკრაინულ გრანდში ახლახან დანიშნულ გენერალურ მენეჯერს რევაზ ჭოხონელიძეს, რომელიც "უდინეზეს", "მილანის", "ლაციოსა" და "ინტერის" ყოფილ დამრიგებელთან მოლაპარაკებებს პირადად წარუძღვება. ასეთ შემთხვევაში, იოჟეფ საბო სპორტული დირექტორის თანამდებობაზე გადაინაცვლებს.

■ ■ ■

"ფიორენტინა" მოსკოვის ცსკა-ს ბრაზილიელი ფორვარდით ვაგნერ ლავით დაინტერესდა. "იები" მას 4-წლიან კონტრაქტსა და სეზონურად 1.5 მილიონ ევროს ჯამაგირის სახით სთავაზობენ.

■ ■ ■

"შტუტგარტთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩში მიღებული ტრავმის გამო, "ბარსელონის" მექსიკელი მცველი რაფაელ მარკესი ერთ თვეს დაისვენებს. ხსენებულ შეხვედრაში ის მე-7 წუთზე კარლეს პუიოლმა შეცვალა. მარკესის გარდა, ტრავმების გამო "ატლეტიკოსთან" უახლოეს მატჩს ჯანლუკა ძამბროტა, გაბრიელ მილიტო და იაია ტურეც გამოტოვებენ.

■ ■ ■

იტალიური სააგენტო "ჩენელ 4-ის" ცნობით, "ატლეტიკოს" თავდამსხმელი სერხიო აგუერო ამ ზამთარს, შეიძლება, "ინტერში" ან "იუვენტუსში" გადავიდეს. არგენტინელის სატრანსფერო ფასი 15 მილიონი გირვანქაა. ტურინელები მას თურმე ალესანდრო დელ პიეროს ალტერნატივად მოიაზრებენ. თავად აგუეროს კი "ბარსელონაში" ლეოს მესისთან ერთად სურს თამაში.

■ ■ ■

"სქაი სპორტის" ინფორმაციით, "სარაგოსა" "მანჩესტერ იუნაიტედისგან" მცველ ჟერარ პიკეს ტრანსფერის გამოსყიდვას აპირებს. 20 წლის ფეხბურთელმა გასულ სეზონში არაგონელთა შორის არენდით ითამაშა. მას ესპანეთში დარჩენა სურდა, რადგან "იუნაიტედში" ნემანია ვიდიჩსა და რიო ფერდინანდს, ჯერჯერობით, კონკურენციას ვერ უწევს.

■ ■ ■

"ნიუკასლის" ნახევარმცველი ჯო ბარტონი 22 ნოემბერს სამეფო სასამართლოს წინაშე წარსდგება. მას ბრალად ედება "მანჩესტერ სიტის" ნახევარმცველისა და ყოფილი თანაგუნდელის უსმან დაბოს ფიზიკური შეურაცხყოფა. ინციდენტი 1 მაისს, "სიტის" ბაზაზე მოხდა. დაბომ დაზიანება მიიღო და ჰოლიციას მიმართა. ვნახოთ, რა სასჯელს მიიღებს ბარტონი.

■ ■ ■

არგენტინაში დაბადებული პაბლო დანიელ ოსვალდო, რომელსაც იტალიური პასპორტი აქვს, პიერლუიჯი კაზირაგიმ "სკუადრა აძურრის" ახალგაზრდულ გუნდში მიიწვია. იტალიელი 21-წლამდელები 12 ოქტომბერს ხორვატიას ეთამაშებიან. ცნობისთვის, ოსვალდო "ფიორენტინის" ღირსებას იცავს. გასულ შაბათს მან "ლივორნოსთან" სადებიუტო მატჩში დუბლიც გაახერხა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმედგაცრუებული შტუტგარტელები: პაველ პარდო და მარიო გომესი

როცა "შტუტგარტი", ყველასთვის მოულოდნელად, გერმანიის ჩემპიონი გახდა, საფეხბურთო გერმანიას მაშინვე ეჭვი შეეპარა იმაში, რომ შვაბური კლუბი ჩემპიონთა ლიგაში გერმანიის სახელს ღირსეულად გაიტანდა. ბუნდესლიგა ბუნდესლიგაა - როცა " "ბაიერნი" ვერ თამაშობს, იქ ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ ჩემპიონთა ლიგა სულ სხვა კალიბრია და ამიტომაც იყო, საფეხბურთო გერმანიას ამ "შტუტგარტისა" ძალიან რომ ეშინოდა. შიში უსაფუძვლო ნამდვილად არ გამოდგა. დაიწყო ევროპის ელიტარული საკლუბო ლიგის გათამაშება და ორი ტურის შემდეგ, პირველი შედეგი უკვე სახეზეა: გერმანიის ჩემპიონს 0 ქულა აქვს.

VFB-ს გენერალური მენეჯერი **ჰორსტ ჰელდტი** "ბარსელონასთან" განცდილი მარცხის შემდეგ, კატალონიური გრანდის სიდიადეზე ლაპარაკობდა, ის კი ვეღარ გაითვალისწინა, რომ **რონალდინიოს, მესისა** და **ანრის** ქება შვაბური კლუბის ფანებისთვის წყლის ნაყვაა. ჰელდტს, პირველ რიგში, თავის გუნდზე უნდა ელაპარაკა - მართლებიც არიან, რადგან "ბარსა" რომ დიდი გუნდია, ეს შვაბენლანდში (და არა მარტო იქ), ასე ვთქვათ, ბავშვმაც კი იცის. თავისი მოსაზრება ყველაზე გულახდილად **მარიო გომესმა** გამოთქვა, 90 წუთის განმავლობაში გულის რევის შეგრძნება მქონდაო.

ასეა თუ ისე, გერმანიის ჩემპიონი ჩემპიონთა ლიგაში, ჯერჯერობით, კარგი სათამაშოა. "ბარსელონასთან" ნაგების გამო "შტუტგარტს" ვერავინ გაკიცხავს, მაგრამ ანგარიშმა (0:2) და კიდევ იმან, რომ მთელ რიგ მომენტებში კატალონიელებმა **არმინ ფეეს** ბიჭები მაგრად აბურთავებს, შვაბ ქომაგებს ძალიან დასწყვიტა გული. ჰელდტი თავს იმშვიდებს, გომესის დარტყმის შემდეგ ბურთი ძელს რომ არ მოხვედროდა, დავწინაურდებოდით და კაცმა არ იცის, მერე როგორი თამაში წავიდოდაო. კაპიტანმა **ფერნანდო მეირამ** კი, საფინალო სასტვენის შემდეგ განაცხადა, ჩვენთვის ჯერ არაფერი დასრულებულა, მერვედფინალში გასვლა კიდევ შეგვიძლიაო. 0 ქულით ორი თამაშიდან? ასეთი გამონათქვამებითა და ასეთი შემართებით "შტუტგარტი" ვერაფერს მიაღწევს.

ამიტომაცაა, ამ თამაშის შემდეგ გერმანიაში რომ დაეჭვდნენ, ნუთუ "შტუტგარტი" გერმანიის ყველა დროის ყველაზე სამარცვხინო ჩემპიონი იქნება ჩემპიონთა ლიგაშიო. ფაქტებით ვილაპარაკოთ: "შტუტგარტი" ბუნდესლიგის პირველი გამარჯვებულია, რომელმაც ევროპის ელიტარული საკლუბო ლიგის ჯგუფური ეტაპი ორი წაგებით დაიწყო და იმისთვის, რომ გერმანიის ჩემპიონებიდან ყველაზე ნეგატიური მაჩვენებელი არ ჰქონდეს, დარჩენილ ოთხ შეხვედრაში მინიმუმ 8 ქულას უნდა მოუყაროს თავი. არადა, დარჩენილი ოთხიდან, შვაბურ კლუბს ორი მატჩი ბარსელონასა და ლიონში ექნება. ფაქტია ისიც, რომ ბოლო 13 წელიწადში, გერმანიის ჩემპიონი ყოველთვის გადიოდა ჯგუფიდან. ბუნდესლიგის უკანასკნელი გამარჯვებული, რომელმაც ჯგუფური ეტაპი ვერ გადალახა, "ვერდერი" იყო - 1993/94 წლების სეზონში ბრემენელებმა ქვეჯგუფში "მილანთან", "პორტუსთან" და ანდერლეხტთან შეირცხვინეს თავი. თუმცა აქ ისიც აღსანიშნავია, რომ იმ დროს ჯგუფური ეტაპი მხოლოდ 8 გუნდისგან (ორ ჯგუფად) შედგებოდა. ახლა კი, "შტუტგარტს" იმის შანსი აქვს, რომ ყველაზე ნეგატიური რეკორდი დაამყაროს.

არა მხოლოდ ჩემპიონის სახელით, შვაბებს იმის საფრთხეც ემუქრებათ, რომ ყველაზე სუსტი გერმანული კლუბის სახელი დაიმკვიდრონ. 2002/03 წლების სეზონში "ბაიერნმა" შეირცხვინა თავი და ჯგუფურ ეტაპზე მხოლოდ და მხოლოდ 2 ქულას მოუყარა თავი (მაშინ რეკორდმაისტერი ლიგაზე ჩემპიონის სტატუსით არ გამოდიოდა). და ეს ანტირეკორდი დღემდე სწორედ მიუნხენურ გიგანტს ეკუთვნის. ფაქტია ისიც, რომ ფეე მერვედფინალზე აღარ საუბრობს - ახლა "შტუტგარტს" "ლიონთან" ელის ორი დაპირისპირება, გუნდთან, რომელსაც ორ თამაშში ასევე ორი წაგება აქვს. ანუ, შვაბები აქედანვე იმაზე იწყებენ ზრუნავს, რომ მესამე ადგილზე მაინც გავიდნენ და უეფას თასზე გადასვლა მოახერხონ?

გადავხედოთ ისტორიას. ისევე, როგორც ყველაზე სამარცხვინო გუნდი, გერმანიის ყველაზე სამარცხვინო ჩემპიონიც "ბაიერნია". 1994/95 წლების სეზონში რეკორდმაისტერმა ჯგუფში მხოლოდ 8 ქულა მოიპოვა (მაშინ მოგებისთვის 2 ქულა იყო, მაგრამ ამ შემთხვევაში ქულები თანამედროვე წესით დავითვალეთ).

გოტფრიდ ლენცი

გერმანიის ჩემპიონები ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე

სეზონი	გუნდი	ქულა
1994/95	ბაიერნი	8
1995/96	დორტმუნდი	9
1999/00	ბაიერნი	9
2003/04	ბაიერნი	9
2002/03	დორტმუნდი	10
2000/01	ბაიერნი	11
1997/98	ბაიერნი	12
2006/07	ბაიერნი	12
1996/97	დორტმუნდი	13
1998/99	კაიზერი	13

გერმანული გუნდები ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე

სეზონი	გუნდი	ქულა
2002/03	ბაიერნი	2
2006/07	ჰამბურგი	3
2001/02	შალკე	6
2000/01	ჰამბურგი	6
1999/00	დორტმუნდი	6

შტუტგარტი

ყველა დროის ყველაზე სამარცხვინო ჩემპიონი?

VFB გერმანიის პირველი ჩემპიონია, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი ორი წაგებით დაიწყო...

სკოლარის სასჯელი შეუმცირეს

უეფას სადისციპლინო კომიტეტმა პორტუგალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის, **ლუიშ ფელიპე სკოლარის** აპელაცია დააკმაყოფილა და სპეციალისტს სასჯელი შეუმსუბუქა. დისკვალიფიკაცია 4-იდან 3 მატჩამდე შემცირდა. როგორც იცით, სკოლარი იმის გამო დასაჯეს, რომ მან სერბეთის ნაკრების მცველ **ივიცა დრაგუტინოვიჩისთვის** ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება სცადა.

სკოლარის დისკვალიფიკაცია ახლა ორთვიანია და ამ ხნის მანძილზე, ის უეფას ეგიდით გამართულ ვერცერთ შეხვედრას ვერ დაესწრება. იმ შემთხვევაში, თუ დისკვალიფიკაციის მოხდის შემდეგ სკოლარი კვლავ იქნება შემჩნეული ფეარ-პლეის პრინციპების დარღვევაში, კიდევ ერთი თვით დაისჯება.

რუსეთ-ინგლისზე ბუმია

რუსეთის საფეხბურთო კავშირმა ორშაბათიდან რუსეთისა და ინგლისის ეროვნული ნაკრებების მატჩზე დასასწრები ბილეთების მსურველთა რეგისტრაცია დაიწყო. რეგისტრაციის დაწყებიდან ჯერ ერთი კვირაც არ გასულა და ბილეთების მყიდველთა რიცხვი უკვე წარმოუდგენლად დიდია. განაცხადი უკვე წარმოადგინა 570 000-მა მსურველმა (!), რომელთაგანაც ყველა ფიზიკური ან იურიდიული პირია. ეს ინფორმაცია საფეხბურთო კავშირის პრეს-ატაშე **ანდრეი მალოსოლოვმა** გააგრცელა. მისივე თქმით, პრიორიტეტი იმ გულშემატკივრებს მიენიჭებათ, რომლებმაც რეგისტრაცია ყველაზე ადრე გაიარეს. ამასთან, მალოსოლოვმა განაცხადა, რომ პარასკევიდან ბილეთებს მოსკოვური კლუბებისა და "ზენიტის" ორგანიზებული ფან-კლუბები მიიღებენ. ინგლისთან მატჩზე დასასწრები ბილეთები მხოლოდ ცალობით გაიყიდება და თითოეულ ბილეთს პირადი მეპატრონე ეყოლება, რათა გამორიცხულ იქნას გადამყიდველთა აქტივობა და არ იარსებოს შავმა ბაზარმა.

იოზილი შალკედან წასვლით იმუქრება

"შალკეს" ტალანტი **მესუთ იოზილი** უკმაყოფილოა იმით, რომ გელზენკირხენული კლუბის მთავარი მწვრთნელი **მირკო სლომკა** ძირითად შემადგენლობაში არ ათამაშებს. გერმანიის ახალგაზრდული ნაკრების წევრი ამბობს, რომ მას სათამაშო პრაქტიკა სჭირდება და თუ ამას ვერ მიიღებს, გუნდიდან წავა. *"გელზენკირხენელი ვარ, მაგრამ როცა ყველაფერი ნესრიგში ვერ არის, ფეხბურთელმა მშობლიური გუნდის დატოვებაზეც უნდა იფიქროს. სამწუხაროდ, "შალკეში" ჯერჯერობით, გამოცდილების მიღების პერსპექტივას ვერ ვხედავ,"* - ჩვენის იოზილი.

მის კონტრაქტს ვადა 2009 წელს ეწურება. "შალკეს" ბოსებმა მესუთს ახალი ხელშეკრულების გაფორმება შესთავაზეს, მაგრამ 18 წლის ფეხბურთელი ჯერჯერობით, უარზეა. შეგახსენებთ, რომ მის პოზიციაზე (გამთამაშებელი), "შალკეს" **ივან რაკიტიჩი** ჰყავს.

ბუფონს მილანთან კონტრაქტი გაუფორმებია...

"მილანის" ერთ-ერთმა წარმომადგენელმა აღიარა, რომ გასულ წელს **ჯანლუიჯი ბუფონის** "როსონერიში" გადასვლა თითქმის გადაწყვეტილი იყო, მაგრამ გარიგება ბოლო მომენტში ჩაიშალა. როგორც ირკვევა, ჯიჯის "მილანთან" წინასწარი კონტრაქტი ჰქონია გაფორმებული, მაგრამ "იუვენტუსის" მოთხოვნა, 25 მილიონი ევრო, ვერ დააკმაყოფილა.

რაც შეეხება დღევანდელ ამბებს. "მილანი" მზადაა, "ტორინოს" ახალგაზრდა გარემარბ **ალესანდრო როზინას** "სან სიროზე" უკრას თავი. "როსონერი" ჩასაფრებულია და სარგებლობს იმით, რომ ხელფასის თაობაზე როზინას კლუბთან უთანხმოება აქვს. "ტორო" მას წლიურად 400 000 ევროს უხდის, ფეხბურთელი კი ორჯერ მეტს ითხოვს. როზინას კონტრაქტში კიდევ ორი წელიწადი აქვს დარჩენილი. "მილანის" პროექტი ამ ორი წლის გამოსყიდვას ითვალისწინებს. ამას გარდა, **ადრიანო გალიანი** უფრო შორს მიდის და ფეხბურთელს მოთხოვნილზე მეტს, წლიურად ერთ მილიონ ევროს ჰპირდება.

თომას დოლი სასოწარკვეთილია

ბუნდესლიგის მორიგი, მე-9 ტური დღეს, რურის მცირე დერბით იხსნება - კრიზისში მყოფი დორტმუნდის "ბორუსია" "ბოხუმს" მასპინძლობს. იმ შემთხვევაში, თუ BVB ზედიზედ მეოთხე თამაშს წააგებს, ვესტფალიელებს გასავარდნ ზონაში დაქვეითების სერიოზული საფრთხე დაემუქრებათ, მთავარ მწვრთნელ **თომას დოლს** კი, შესაძლოა, "ბორუსიის" თავკაცის რანგში უკანასკნელად მოუხდეს თავის მართლება. დიდი შანსია, რომ მორიგი წაგება, "დორტმუნდის" ხელმძღვანელთა მოთმინების ფიალაში უკანასკნელი წვეთი აღმოჩნდეს. ერთი სიტყვით, დოლი დენთის კასრზე ზის.

თომასი ძალიან ფრთხილად უნდა იყოს, რადგან "ბოხუმი" ის გუნდია, რომელმაც მისი წინამორბედი **იურგენ რიობერი** შეიწირა. 10 მარტს "ბორუსიამ" სწორედ ბოხუმში წააგო (0:2, ორივე გოლი **გეკასმა** გაიტანა), რის შემდეგაც რიობერი პოსტიდან გაათავისუფლეს. ესეც არ იყოს, **მარსელ კოლერის** გუნდი გასულ სეზონში მწვრთნელების უპირველესი საფრთხე გახლდათ. "ბოხუმთან" მატჩის შემდეგ არა მარტო რიობერმა დაკარგა სამსახური, არამედ "ბაიერნის" ყოფილმა დამრიგებელმა **ფელიქს მაგათმა** და მიონხენგლადბახის "ბორუსიის" მწვრთნელმა **იუპ ჰაინკესმაც**. იქნება თომას დოლი შემდეგი?

"ბოხუმთან" ბოლო დაპირისპირებიდან "დორტმუნდის" ამჟამინდელ თავკაცსაც უსიამოვნო მოგონებები აკავშირებს. 2006 წლის 12 დეკემბერს დოლის "ჰამბურგმა" კოლერის "ბოხუმთან" 1:2 წააგო. ამ მატჩის შემდეგ HSV-მ ორი ფრე ითამაშა, რასაც დოლის გათავისუფლება მოჰყვა.

თანაც, დღევანდელ შეხვედრას BVB სერიოზული საკადრო პრობლემებით ხვდება. თავად განსაჯეთ, პირველი გუნდის თავდამსხმელებიდან ჯანმრთელი მხოლოდ არგენტინელი **დიეგო კლიმოვიჩია**. **ნელსონ ვალდესი** ვარშავის "ლეგიასთან" ტესტ-მატჩში დაშავდა, **ალექსანდერ ფრაი** დიდი ხნის ტრავმირებულია, ლაზარეთშია **მლადენ პეტრიჩიც**, ისევე, როგორც **დელრონ ბაკლი**. ასე რომ, დოლის განკარგულებაში მხოლოდ კლიმოვიჩია. ჯერ კიდევ არის იმედი, რომ პეტრიჩი დღეს საღამომდე გამოჯანმრთელდება, მაგრამ ასეც რომ მოხდეს, ფაქტია, რომ ეს უკანასკნელი მოედანზე 90 წუთს ვერ გაძლებს.

ბუნდესლიგა. დორტმუნდი-ბოხუმი

ფრთხილად, პერ დოლ!

ბოხუმმა გასულ სეზონში სამი მწვრთნელი შეიწირა, მათ შორის თომასის წინამორბედი იურგენ რიობერიც...

ანუ, დოლი იძულებულია, რომ მოყვარულთა გუნდს გადახედოს. იქ კი, ყველაზე სანდო ფორვარდი 19 ნლის **კრისტოფერ ნიოთე** გახლავთ. თომასმა ეს ფეხბურთელი წინა ტურშიც ათამაშა, მერე კი, მოედანზე "ლეგიასთანაც" შეუშვა და ნიოთემ სწორედ იმ შეხვედრაში დაამტკიცა, რომ გოლების გატანა ეხერხება - "ბორუსია" პოლონურ კლუბთან 0:2-ს აგებდა და ვალდესის შეცვლის შემდეგ, ნიოთემ დუბლი შეასრულა და BVB მარცხისგან იხსნა. მოყვარულთა რიგებში ნიოთეს 9 თამაშში 3 გოლი აქვს, ახლა კი იმის შანსი ეძლევა, რომ პროფესიონალებშიც გამოიჩინოს თავი. "ბორუსიის" მენეჯერი **მიხაელ ცორკი** ამბობს, ამ ბიჭმა ძალიან დაგვაინტერესაო. სხვათა შორის, რურის მცირე დერბის საკადრო პრობლემების გარეშე არც "ბოხუმი" ხვდება - კოლერი დღეს **ჯოელ ეპალეს** ვერ დაიხმარს. კითხვის ნიშნის ქვეშაა ფორვარდ **მარჩინ მიჩიელის** თამაშიც...

გოტფრიდ ლენცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ტურნირი. II ტური

პირველი ფრანგული გამარჯვება ენფილდზე

ჩელსი დაბრუნდა! რამდენხანს გაჰყვებათ არისტოკრატებს ჯონ ტერის მიერ დანთებული ცეცხლი...

ვალენსია-ჩელსი. გამარჯვების გოლი დიდიე დროგბამ გაიტანა

A ჯგუფი

ბეშიქთაში-პორტუ 0:1

ბეშიქთაში: ჰაქან არიქანი, სერდარ ქურთულუში (71. ალი თანდოგანი), გიოქჰან ზანი, იბრაჰიმ თორამანი, იბრაჰიმ უზულმეზი, სერდარ ოზქანი, ედუარდ სისე, ტელო, მატიას დელგადო, ბობო (27. მარსიო ნობრე), იბრაჰიმ აქინი (67. ფედერიკო იგუაინი).

პორტუ: ჰელტონი, ბოსინგვა, ბრუნო ალვეში, სტეპანოვი, ფუჩილე, ლუჩო გონსალესი, პაულო ასუნსაო, რაულ მეირელესი (84. ლეანდრო ლიმა), კუარეშმა, სექტიუი (66. ჩეხი), ლისანდრო ლოპესი (75. ადრიანო).

გოლი: კუარეშმა (90+2)

მაყურებელი: 30 000

არბიტრი: პიტერ ფინკი (ჰოლანდია)

რიკარდო კვარეშმამ გადამწყვეტი გოლი მსაჯისაგან დამატებულ დროში გაიტანა. "პორტუმ" "ბეშიქთაშს" ამ ბურთის წყალობით მოუგო. პორტუგალიელებს სამი ქულა დიდი ენერგიის ფასად დაუჯდათ. პირველი და მეორე ტაიმების მიწურულს თურქები განსაკუთრებული მონდომებით უტევდნენ. მათ რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენეს. სტუმრებს კი შანსი ხელიდან არ გაუშვიათ. კვარეშმამ "ბეშიქთაშის" მეკარე **ჰაქან არიქანს** ახლო მანძილიდან შეუგდო. ამ გამარჯვებით "პორტუ" მეორე ადგილზე გადავიდა. მან ორ თამაშში ოთხ ქულას მოუყარა თავი. სტამბოლელებს ჯერ ერთი ქულაც არ მოეპოვებათ. "ბეშიქთაშს" უიღბლო დღეები ჰქონდა. გასულ უქმეებზე მან "გალათასარაისთან" წააგო. მთავარმა მწვრთნელმა **ერთუგრულ საგლამმა** "პორტუსთან" მარცხი უიღბლობას მიაწერა, მეტოქემ არაფრით გვჯობდა, წაგება ამიტომაც არის გულდასაწყვეტიო. თურქების დამრიგებელს არ დაუმალავს, რომ ორი წაგების შემდეგ "ლომთალომებს" ფლეი ოფში გასვლის მიზერული შანსი დარჩათ.

შეხვედრა ორივე გუნდმა ფრთხილად დაიწყო. დაზვერვამ თითქმის 15 წუთს გასტანა. ამის შემდეგ უპირატესობას "ბეშიქთაში" დაეუფლა და მეტოქე საკუთარ საჯარიმოს მიაჯაჭვა. "პორტუ" თავს კარგად იცავდა. 25-ე წუთზე სტუმრები მეკარე **ელტონმა** გადაარჩინა. მან ბრაზილიელი თავდამსხმელის, **ბობოს** თავური დარტყმა უკუაგდო. ორ წუთში მასპინძლებმა კიდევ ერთი მომენტი შექმნეს: **იბრაჰიმ თორმანმა** ოდნავ ააცილა. "პორტუ" კონტრშეტევების განხორციელებას ცდილობდა. კვარეშმა და **რაულ მეირელესმა** კარში ორჯერ დაარტყეს, მაგრამ მათ იერიშებს მეკარე ჰაქანისათვის პრობლემები არ შეუქმნია. პირველი ტაიმის მიწურულს "ბეშიქთაშის" ფრანგმა ნახევარმცველმა **ედუარ სისემაც** სცადა გოლის გატანა, მაგრამ ელტონმა მისი დარტყმაც მოიგერია. თამაშის მიმდინარეობა არც მეორე ნახევარში შეცვლილა. ბურთს უმეტესად თურქები აკონტროლებდნენ, მაგრამ მთელი 45 წუთის განმავლობაში ერთადერთი 100-პროცენტიანი მომენტი შეიქმნა და კვარეშმამ უმალ გოლი შეაგდო.

ლიფერპული-მარსელი 0:1

ლივერპული: რეინა, ფინენი, კარაგერი, ჰიიპია, ფაბიო აურელიო (70. ვორონინი), ბენაიუნი, ჯერარდი, სისოკო, ლეტო (52. რიისე), ფერნანდო ტორესი, კრაუჩი (75. კუიტი).

მარსელი: მანდანდა, ბონარი, როდრიგესი, ჟივე, ტაივო, ვალბუენა (84. ორუმა), კანა, შეირუ, ზენდენი (88. არაში), ზიანი, ნიანგი (70. ჯიბრილ სისე).

გოლი: 0:1 ვალბუენა (77)

მაყურებელი: 45 000

არბიტრი: კონრად პლაუტცი (ავსტრია)

ამას ვერავინ წარმოიდგენდა: "მარსელმა" "ენფილდ როუდიდან" სამი ქულა წაიღო. "ლივერპული" **მატიო ვალბუენამ** დაამწუხრა. 76-ე წუთზე მან **ბუდევიინ ზენდენის** (მერსისაიდელებმა ის ზაფხულის ტრანსფერებისას გაუშვეს) პასი მიიღო და 25 მეტრიდან კარში ჩაახვია. თამაშის შემდეგ ვალბუენა სიხარულს ვერ მალავდა. ჩემპიონთა ლიგაში ეს მისი პირველი გოლი იყო. ამ გოლმა "ოლიმპიკს" უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოუტანა. ეს გამარჯვება ისტორიული მნიშვნელობისა გახლდათ: ფრანგულმა კლუბმა "ენფილდ როუდზე" პირველად მოიგო.

ერიკ გერეტსი უკეთეს დასაწყისს ვერ ინატრებდა. ბელგიელი სპეციალისტი მარსელელთა მთავარ მწვრთნელად ორშაბათს დანიშნეს. კლუბმა, რომელმაც საფრანგეთის ჩემპიონატის ცხრა მატჩიდან მხოლოდ ერთი მოიგო, ჩემპიონთა ლიგაში ზედიზედ მეორედ გაიმარჯვა მოიპოვა. ის A ჯგუფის ერთპიროვნული ლიდერია.

ლივერპულელები მოგებას არ იმსახურებდნენ. ასეთი ინერტული "ეშმაკები", დიდი ხანია, არავის უნახავს. მასპინძლებმა მეტოქის კარს თამაშის მიწურულსღა შეუტიეს. **ფერნანდო ტორესმა** ძელი შეაზანზარა. არც "მარსელს" გამოუდია თავი, მაგრამ ერთიორი გოლის გატანა კიდევ შეეძლო. მასპინძელთაგან სუსტად ითამაშეს **მომო სისოკომ** და **პიტერ კრაუჩმა**. "ლივერპულს" პრემიერლიგაშიც პრობლემები აქვს. "მარსელმა" პირიქით, დაამტკიცა, რომ ორი კვირის წინ "ბეშიქთაშისათვის" 2:0 შემთხვევით არ მოუგია. ფრანგები ფლეიო ოფში თამაშზე აცხადებენ პრეტენზიას.

სტუმრებს ანგარიშის გახსნა დასაწყისშივე შეეძლოთ. **კარიმ ზიანიმ ფაბიო აურელიოს** ბურთი მოპარა და **მამადუ ნიანგს** გაუკეთა პასი. ნიანგი მეტოქის საჯარიმოში შეიჭრა. **პეპე რეინამ** მისი იერიში მუხლით მოიგერია.

21-ე წუთზე "მარსელის" კაპიტანმა **ლორიკ კანიამ ლორან ბონარის** პასით ისარგებლა და თავით ძლიერად დასცხო. ბურთმა ხარიხას გადაუფრინა. მთელი ამ დროის განმავლობაში ლივერპულელები სტატისტის როლში იმყოფებოდნენ. ვითარება არც მეორე ტაიმში შეცვლილა. ნიანგმა რეინა კიდევ ერთხელ შეაწუხა. ვალბუენას გოლი საამო სანახავი იყო. ამ გოლზე ნებისმიერი თავდამსხმელი მოაწერდა ხელს.

გოლმა მასპინძლები ოდნავ გამოაფხიზლა. კუთხურისას **სემი ჰიიპიამ** ბურთს თავი შეუშვირა, მაგრამ მიზანს ააცილა. **იოსი ბენაიუნის** იერიში მცველებმა მოიგერიეს, ხოლო ტორესმა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბურთი ძელს გაარტყა. **რაფა ბენიტესის** შეგირდები გამაყაიმებელ გოლს არ იმსახურებდნენ და აკი, არც გაუტანიათ.

ნამატჩევს გერეტსმა ასეთი კომენტარი გააკეთა: *"ჩემი ფეხბურთელებით ძალიან ვამაყობ. მათ რამდენიმე ტექნიკური შეცდომა დაუშვეს, მაგრამ ტაქტიკური თვალსაზრისით, ბადალი არ ჰყავდათ. ბიჭებმა მწვრთნელის მითითებები ზედმიწევნით ზუსტად შეასრულეს. იმედია, ასე გავაგრძელებთ."*

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. მარსელი	2	2	0	0	3-0	6
2. პორტუ	2	1	1	0	2-1	4
3. ლივერპული	2	0	1	1	1-2	1
4. ბეშიქთაში	2	0	0	2	0-3	0

B ჯგუფი

რუსენბორგი-შალკე 0:2

რუსენბორგი: ჰირშფელდი, სტრანდი, ბასმა, კოპინენი, დორსინი (79. კონან ია), სკიელბრედი (68. კონე), საპარა, რიზეტი, ტეტეი, ტრაორე, ივერსენი.

შალკე: ნოიერი, რაფინია, ვესტერმანი, ბორდონი, ჰოვედესი, ჯონსი (84. ვარელა), ერნსტი, ბაირამოვიჩი, რაკიტიჩი (74. როსმიულერი), კურანი, ლოვენკრანდსი (64. ასამოა).

გოლები: 0:1 ჯონსი (62), 0:2 კურანი (89)

მაყურებელი: 20 000

არბიტრი: გრუჟგორუ გილევსკი (პოლონეთი)

ორი კვირის წინ ნორვეგიელებმა სენსაციურ შედეგს გამოკრეს ხელი. მათ "ჩელსისთან" მატჩი ფრედ, 1:1 დაასრულეს. ის ანგარიში ბოლო წვეთი აღმოჩნდა ლონდონელი ბოსების მოთმინების ფიალაში. **ჟოზე მოურინიოს** მაშინვე კარისკენ მიუთითეს. "რუსენბორგმა" ორი კვირისწინანდელი გმირობა ვეღარ გაიმეორა. გერმანელმა სტუმრებმა მეტოქემ თავისი ადგილი მიუჩინეს.

"შალკემ" ორივე გოლი მეორე ტაიმში გაიტანა. ანგარიში 62-ე წუთზე გაიხსნა. **ჯერმეინ ჯოუნსმა ივან რაკიტიჩის** პასით ისარგებლა. თამაშის მიწურულს **კევინ კურანი** ნორვეგიელ მცველ **კრისტერ ბასმას** დაუსხლტა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

პირველ ტურში გერმანელებმა "ვალენსიასთან" წააგეს. მათ ქულების განაავების უფლება აღარ ჰქონდათ. ამიტომ მეტოქეს მსაჯის სასტვენისთანავე შეუტიეს. ათ წუთში "შალკემ" ოთხი კუთხური მოაწოდა. მეექვსე წუთზე კურანიმ თავით ძლიერად დასცხო. ბურთმა ხარიხას გადაუფრინა. "რუსენბორგის" პასუხმა არ დააყოვნა. **სტეფან ივერსენმა** მცველი **ჰაიკო ვესტერმანი** ისე შეავიწროვა, რომ ამ უკანასკნელმა ბურთი საკუთარი კარისაკენ გაგზავნა. მეკარე **მანუელ ნოიერი** მას აკრობატული ნახტომით მისწვდა. ბურთი ჯერ ძელს შეეხო, შემდეგ კი სამშვიდობოს გავიდა.

იქვე "შალკემ" მორიგი შეტევა წამოიწყო. **როარ სტრანდს** ფეხი დაუსხლტა, კურანი მეკარე **ლარს ჰირშფელდთან** პირისპირ დარჩა. გოლი თითქოს გარდაუვალი იყო, მაგრამ ჰირშფელდმა მდგომარეობა განმუხტა. 30-ე წუთისათვის თამაში ისევ გამოცოცხლდა. ჯოუნსს ბასმამ შეუშალა ხელი. კურანიმ ბურთი მეტოქის საჯარიმოში მიიღო, მაგრამ კარგად ვერ დაარტყა.

მეორე ტაიმი ორი წუთის დაწყებული იყო, როცა "რუსენბორგის" კარს ისევ საფრთხე დაემუქრა. კურანიმ მეტოქის საჯარიმოში გამჭოლი გადაცემა გააკეთა. რაკიტიჩს ბურთამდე რამდენიმე სანტიმეტრი დააკლდა. ორ წუთში "რუსენბორგმა" საპასუხო იერიში განახორციელა. **პერ სილიან სკიელბრედის** პასს **ივერსენი** გამოეხმაურა. მისმა თავურმა ძელს სანტიმეტრებში ჩაუქროლა. ამ ეპიზოდამდე თამაში საკმაოდ გახსნილი იყო. მერე მეტოქეებმა უკან დაიხიეს და კარის უსაფრთხოებაზე დაიწყეს ზრუნვა. უცნაურია, მაგრამ ორი გოლი სწორედ ამის შემდეგ გავიდა. 62-ე წუთზე რაკიტიჩმა მეტოქის მცველებს ბურთი თავზე გადაუგდო. ჯოუნსი მეკარესთან პირისპირ გავიდა და ფეხებს შორის გაუტანა. "რუსენბორგმა" **იუსუფ კონეს** შეტევით უპასუხა. შემდეგ კი კურანის ჯერი დადგა. "შალკეს" თავკაცმა **მირკო სლომკამ** მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად გერმანიის ნაკრების თავდამსხმელი დაასახელა, შეგირდების თამაში კი მოკლედ ასე დაახასიათა: *"უნდა მოგვეგო, მოსაგებად ჩამოვედით და მოვიგეთ კიდეც."*

ვალენსია-ჩელსი 1:2

ვალენსია: ჰილდებრანდი, მიგელი, ალბიოლი, ივან ელგერა, მორტი, ხოაკინი (88. არისმენდი), ალბელდა (75. ბარახა), მარჩენა, სილვა, ვილია, მორიენტესი (69. ჟიგიჩი).

ჩელსი: ჩეხი, პაულო ფერეირა, რიკარდო კარვალიო, ტერი, ე. კოული, ჯო კოული, მაკელელე, ესიენი (84. სიდველი), მალუდა (85. კალუ), ობი მიკელი (89. ალექსი), დროგბა.

გოლები: 1:0 ვილია (9), 1:1 მორტი (21-საკ. კარში), 1:2 დროგბა (71)

მაყურებელი: 48 000

არბიტრი: რობერტო როსეტი (იტალია)

"ადამიანი ნიღბით" - **ჯონ ტერის**, ალბათ, ამაზე უკეთესი მატჩებიც ჰქონია, მაგრამ ოთხშაბათს მისი მინდორზე გასვლა გმირობის ტოლფასი იყო. ლონდონელთა კაპიტანს დამცავი ნიღაბი ეკეთა. გასულ უქმეებზე "ფულჰემთან" შეხვედრისას მას ყვრიმალის ძვალი გაუტეხეს. ორშაბათს ტერი საავადმყოფოში გაემართა და ოპერაცია გაიკეთა, ოთხშაბათს კი უკვე ძირითად შემადგენლობაში იყო. ინგლისის ნაკრების მცველმა შეუცვლელად იასპარეზა. ესპანურმა გაზეთებმა მის თავდადებას ხოტბა შეასხეს. *"ის "ჩელსის" სიმბოლოა. ამიტომ საკუთარ ჯანმრთელობას დაუფიქრებლად განირავდა კლუბის გულისთვის. როცა პენსიაში გავა, ძეგლი უნდა დაუდგან. ეჭვი არ გვეპარება, ლონდონელ ქომაგთაგან ამ გადაწყვეტილებას არავია გააპროტესტებს,"* - ასეთი გახლდათ გაზეთ "მარკას" კომენტარი. *"ის ნიღბით თამაშობდა, ალბათ, სტკიოდა კიდეც, მაგრამ დაუფიქრებლად ერთვებოდა ორთაბრძოლებში და ხისტ თამაშსაც არ ერიდებოდა,"* - ეს უკვე "ასის" შეფასება გახლავთ.

"ჩელსის" თავკაცმა **ავრაამ გრანტმა** კაპიტნის მისამართით თბილი სიტყვები არ დაიშურა: *"ტერი ის ფეხბურთელია, რომელიც თამაშში სულსა და გულს დებს. არ ვიცნობ სხვა ფეხბურთელს, რომელიც ასეთი ტრავმით მინდორზე გასვლას გაბედავდა. ჩემი აზრით, დიდი ფეხბურთელები ყოველმხრივ მისაბაძი ადამიანები უნდა იყვნენ. ტერიზე უკეთესი მაგალითის პოვნა ძალიან ძნელია."*

მისტერ გრანტი გულშემატკივართა გულის მოგებას ცდილობს. ოთხშაბათამდე მის აქტივში ერთადერთი წარმატება იყო: "ჰალ სიტისთან" ლიგის თასზე მოგებული მატჩი. "ვალენსიასთან" გამარჯვებას სულ სხვა ფასი აქვს. ამ შედეგის შემდეგ კრიტიკოსებს მოუწევთ, ისრაელი სპეციალისტის შესაძლებლობებს სხვა თვალით შეხედონ.

ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს. მეცხრე წუთზე **დავიდ ვილიამ** გამოიჩინა თავი. **ემილიანო მორტიმ** პირველსავე ტაიმში გაიტანა ავტოგოლი. შესვენების შემდეგ **დიდიე დროგბამაც** იყოჩაღა და აი, შედეგიც. ორი ტურის შემდეგ ოთხი ქულა ურიგო მონაგარი არ არის. ორი კვირის წინ "არისტოკრატები" "რუსენბორგთან" ვერაფერს გახდნენ. ვალენსიურ მატჩში ფავორიტებად მასპინძლებს მიიჩნევდნენ.

ესპანელებმა წაგება დაცვის სუსტ თამაშს უნდა დააბრალონ. დროგბას განეიტრალება ურთულესი აღმოჩნდა. პირველი გოლის შემოქმედიც კოტდივუარელი თავდამსხმელი იყო. მორტის მისი აქტიურობის შედეგად შეემთხვა ის უსიამოვნება, ზემოთ რომ ვახსენეთ. ვალენსიელებმა პრიმერა დივიზიონსა და ჩემპიონთა ლიგაში შვიდმატჩიანი ნაუგებელი სერია შეწყვიტეს.

"ჩელსი" დაბრუნდა. *დღეს საღამოს გუნდი საოცრად ერთსულოვანი იყო. შეიძლება, რაღაც დავაკელით, მაგრამ დასაწყისისთვის ამასაც არა უშავდა,"* - ასე შეაფასა ვალენსიური მატჩი ჯონ ტერიმ. **კიკე ფლორესი** იმედგაცრუებას ვერ მალავდა: *"დღეს ორი დიდი შეცდომა მოგვივიდა. პირველი: დაგვავინყდა, როგორი საშიში თავდამსხმელია დიდიე დროგბა. და მეორე: საკმარისად არ მოვინდომეთ. ხანდახან დიდ გუნდებს ერთი ბეწო შანსიც ჰყოფნით წარმატების მისაღწევად. "ჩელსის" დღევანდელი გამარჯვება ამის მაგალითია."*

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ჩელსი	2	1	1	0	3-2	4
2. შალკე	2	1	0	1	2-1	3
3. ვალენსია	2	1	0	1	2-2	3
4. რუსენბორგი	2	0	1	1	1-3	1

რუსენბორგი-შალკე. ჯერმეინ ჯოუნსი ანგარიშს ხსნის

სელტიკი-მილანი. დიდა გულშემატკივრის თავდასხმის შემდეგ

C ჯგუფი

ლაციო-რეალი 2:2

ლაციო: ბალოტა, ბეჰრამი (66. სკალონი), სტენდარდო, კრიბარი, ძაური, მუდინგაი, კრისტიან ლედესმა, მუტარელი, მაური (78. დელ ნერო), პანდევი, როკი (66. მაკინვა).

რეალი: კასილიასი, სერხიო რამოსი, კანავარო, ჰაინცე, მარსელო, სნეიდერი (88. დრენტე), დიარა, გუტი, რობენი (78. გონსალო იგუაინი), ვან ნისტელროი, რაული (83. საავიოლა).

გოლები: 0:1 ვან ნისტელროი (8), 1:1 პანდევი (32), 1:2 ვან ნისტელროი (61), 2:2 პანდევი (75)

მაყურებელი: 60 000

არბიტრი: ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)

გორან პანდევმა რუუდ ვან ნისტელროის დუბლს დუბლითვე უპასუხა. მაკედონიელი თავდამსხმელის ორმა გოლმა "ლაციო" ნაგებას გადაარჩინა. პანდევის თამაში შთამბეჭდავი იყო, მაგრამ მას ჰოლანდიელ კოლეგამდე ბევრი უკლია. რომაული დუბლის შემდეგ რუუდმა ჩემპიონთა ლიგაში 56 გოლს მოუყარა თავი. ტურნირის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირთა სიაში ის მხოლოდ **რაულს** ჩამორჩება. გონსალეს ბლანკოს ანგარიშზე 57 გოლია. მესამე ადგილი 55 გოლით ჩელსელ **ანდრეი შევჩენკოს** უკავია.

ოთხშაბათს "რეალმა" გამარჯვებისთვის ყველაფერი გააკეთა, მაგრამ რომაელებს ერთ ქულაზე მეტს ვერ გამორჩა. ვან ნისტელროიმ მერვე წუთზე გახსნა ანგარიში. ის **ვესლის სნეიდერის** საჯარიმოს გამოეხმაურა. პანდევმა 32-ე წუთზე აღადგინა წონასწორობა. მეორე ტაიმში ვან ნისტელროიმ რაულის უზუსტესი პასის შემდეგ მეორე გოლი შეაგდო. 75-ე წუთზე პანდევმა საჯარიმოს კიდესთან მიიღო ბურთი და ეს გოლიც გაქვითა.

"შეუძლებელია, სადაც წახვალ, ყველგან გაიმარჯვო. გახსნილი თამაში იყო და ფრე პოზიტიურ შედეგად მიმაჩნია. მეორე გოლის შემდეგ, შესაძლოა, ნაადრევად ვირწმუნეთ, რომ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩებოდა. "ლაციომ" ფენომენალურად იბრძოლა. რომ ვერ მოვიგეთ, ეს მეტოქის კარგი თამაშის ბრალია," - ასე შეაფასა შეხვედრა მადრიდელთა თავკაცმა **ბერნდ შუსტერმა**.

იტალიელებმა მატჩი აქტიურად დაიწყეს, მაგრამ მეტოქის შევიწროების ნაცვლად, აქეთ გაუშვეს გოლი. მათი კარის სიახლოვეს ჯარიმა დაინიშნა. სნეიდერმა ბურთი საჯარიმოში ჩაჰკიდა. მცველებმა ყურადღება მოადუნეს. ვან ნისტელროიმ ამით უმალ ისარგებლა და დაუბრკოლებლად გაიტანა.

მასპინძლების პირველი გოლიც ჯარიმას მოჰყვა. კომბინაციაში სამი ფეხბურთელი მონაწილეობდა. **ლუჩანო ძაურიმ** ბურთი საჯარიმოს კიდეზე გადააგდო, **გილერმო სტენდარდომ** მას თავი დაჰკრა და მეკარის საჯარიმოში ჩაჰკიდა. პანდევი ჩასაფრებული იყო და ახლო მანძილიდან ძლიერად და ზუსტად დასცხო. ამ გოლამდე პანდევმა ორი საუცხოო მომენტი ვერ გამოიყენა: ჯერ **იკერ კასილიასთან** პირისპირ გასულმა მაღლა დაარტყა, შემდეგ კი უფრო ხელსაყრელ პოზიციაზე მდგარი პარტნიორს არ გადააწოდა ბურთი.

შესვენების შემდეგ "რეალმა" შეუტია. **მარკო ბალოტამ** ვან ნისტელროის ორი იერიში მოიგერია. ბალოტა 43 წლისაა და ყველაზე მხცოვანი ფეხბურთელია მათ შორის, ვისაც ოდესმე ჩემპიონთა ლიგაში უთამაშია. მეორე ტაიმში გატანილი გოლები ზემოთ ვახსენეთ. თამაშის მინურულს ლაციოელ **სტეფან მაკინვას** გადამწყვეტი ბურთის გატანა შეეძლო, მაგრამ ხელსაყრელი პოზიციიდან ბურთი კასილიასს ხელებში მიაწოდა.

დელიომ როსიმ ნამატჩევს ასეთი კომენტარი გააკეთა: *"დასაწყისში ჩემი ფეხბურთელები ძალიან ნერვიულობდნენ. ხუმრობა ხომ არ არის, სავსე სტადიონზე "რეალის" წინააღმდეგ ასპარეზობა. ვფიქრობ, ერთ ქულაზე მეტს ვიმსახურებდით. "ლაციომ" მეტოქეზე მეტი მომენტი შექმნა. დავამტკიცეთ, რომ უმაღლეს დონეზე თამაში ჩვენც შეგვიძლია."*

ვერდერი-ოლიმპიაკოსი 1:3

ვერდერი: ფანდერი, პასანენი, მერტეზაკერი, ნალდო, დ. ტოშიჩი, ფრიტცი (63. ბოროვსკი), ფრინგსი, დიეგო, დ. იენსენი, უგო ალმეიდა, როსენბერგი (77 სანოგო).

ოლიმპიაკოსი: ნიკოპოლიდისი, ტოროსიდისი (86. პანტოსი), ანცასი, რაულ ბრავო, დომი (19. ჟულიო სეზარი), პაცაოგლუ, კრისტიან რაულ ლედესმა, სტოლტიდისი, გალეტი (72. კოვაჩევიჩი), პ. ჯორჯევიჩი, ლუა ლუა.

გოლები: 1:0 უგო ალმეიდა (32), 1:1 სტოლტიდისი (72), 1:2 პაცაოგლუ (82), 1:3 კოვაჩევიჩი (87)

მაყურებელი: 37 000

არბიტრი: კლაუს ბო ლარსენი (დანია)

აი, კიდევ ერთი მოულოდნელი შედეგი: "ოლიმპიაკოსმა" "ვერდერს" ბოლო 17 წუთში სამი გოლი გაუტანა. პიერეოსელებს ჩემპიონთა ლიგაში თამაშის დიდი გამოცდილება აქვთ. მეტოქის მოედანზე კი 32 შეხვედრაში ერთხელაც არ ჰქონდათ მოგებული. ისტორიული შედეგი ბრემენში დაფიქსირდა. "მუსიკოსებმა" იმავე ლიგაში ექვსმატჩიანი წაუგებელი საშინაო სერია დასრულეს.

ბერძნებმა აქცენტი საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე გააკეთეს. "ვერდერი" ტერიტორიულ უპირატესობას დაეუფლა და 32-ე წუთზე დაწინაურდა. გოლი **უგო ალმეიდამ** შეაგდო. საგოლე გადაცემა **დანიელ იანსენმა** მიითვალა. კოკისპირული წვიმის მიუხედავად, "ვეზერშტადიონზე" უკლებლივ ყველა ადგილი შეივსო. ალმეიდას გოლმა 37 500 მაყურებელს ენით აუწერელი სიხარული მოჰგვარა. ბუნდესლიგის ბოლო ტურში მუსიკოსები კარგად გაერთნენ. მათ ბილეფელდის "არმინიას" აბურთავეს - 8:1. ბრემენელები "ოლიმპიაკოსთანაც" ცხვირაწეულნი გავიდნენ, მაგრამ მცდელობის მიუხედავად, **ანტონის ნიკოპოლიდისის** მეორედ დამწუხრება ვერ მოახერხეს.

თამაშის დაწყებიდან ერთი საათის შემდეგ გერმანელთა თავკაცმა **თომას შაფმა ტორსტენ ფრინგსი** შეცვალა. საყრდენი ნახევარმცველი ძირითად შემადგენლობაში სეზონის პირველ მატჩს ატარებდა. ის ივლისში დაშავდა და ტრავმის გამო სამი თვე გამოტოვა. ფრინგსის გასვლა და ბერძნების გააქტიურება ერთი იყო. 73-ე წუთზე **იეროკლის სტოლტიდისმა** წონასწორობა აღადგინა. გოლის ეპიზოდში მეკარე **კრისტიან ფანდერი** უხეშად შეცდა. ის ბრემენელთა სათადარიგო გოლკიპერია. **ტიმ ვიზე** დაშავებული გახლდათ.

ცხრა წუთში მასპინძლებმა მეორე გოლი მიიღეს. **ხრისტოს პაცაოლუმ** შორიდან ძლიერი დარტყმით გაიტანა. 87-ე წუთზე **დარკო კოვაჩევიჩმა** წერტილი დასვა: ფანდერმა ბურთი ისევ ვერ შეიმაგრა, სერბმა თავდამსხმელმა კი დამატებაზე ითამაშა და მეტოქის კარი მესამედ აიღო.

სამმა გაშვებულმა გოლმა "ვერდერი" ცხრილის ბოლო საფეხურზე გაამწესა. ბრემენელებმა ორიდან ორივე შეხვედრა ნააგეს. "ოლიმპიაკოსის" თავკაცმა **პანაგიოტის ლემონისმა** ამაყად განაცხადა, დღეს სანიმუშო გუნდური სულისკვეთებით ვითამაშეთო. შააფს დანა პირს არ უხსნიდა: *"სამწუხაროა, რომ დასახული ამოცანა ვერ შევასრულეთ, ერთი გოლით დავკმაყოფილდით და მეორე და მესამე გოლის გატანაზე აღარ ვიზრუნეთ. როცა ასეთ შეცდომებს უშვებ, უნდა შეეგუო, რომ დიდ საფასურსაც გადაიხდი."*

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ოლიმპიაკოსი	2	1	1	0	4-2	4
2. რეალი	2	1	1	0	4-3	4
3. ლაციო	2	0	2	0	3-3	2
4. ვერდერი	2	0	0	2	2-5	0

D ჯგუფი

ბენფიკა-შახტარი 0:1

ბენფიკა: კუიმი, ნელსონი (46. ნუნუ გომეში), ლუიზაო, ედკარლუში, ლეო, მაქსი პერეირა, კაცურანისი, კრისტიან როდრიგესი, დი მარია (61. ბინია), რუი კოშტა, ოსკარ კარდოსო.

შახტარი: პიატოვი, სრნა, ჩიგრინსკი, კუჩერი, რატი, ილსინიო (79. დულიაი), ლევანდოვსკი (87. ჰუბშმანი), ფერნანდინიო, ჟადსონი (77. კასტილიო), ლუკარელი, ბრანდაო.

გოლი: 0:1 ჟადსონი (42)

მაყურებელი: 47 000

არბიტრი: ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

დონეცკელები D ჯგუფის ლიდერები არიან. "შახტიორებმა" მეორე თამაშიც მოიგეს და პლეიოფში გასვლაზე განაცხადეს პრეტენზია. **მირჩა ლუჩესკუს** გუნდს ჩემპიონთა ლიგის მეორე რაუნდში არასოდეს უთამაშია. სავსებით შესაძლებელია, მან ეს მიმდინარე სეზონში მოახერხოს.

ლისაბონელებს ერთადერთი გოლი ბრაზილიელმა ნახევარმცველმა **უადსონმა** გაუტანა. საგოლე პასი მისი თანამემამულის, **ფერნანდინიოს** ანგარიშზეა. ჟადსონმა გოლი პირველი ტაიმის დასრულებამდე სამი წუთით ადრე შეაგდო. შესვენებამდე "ბენფიკას" ერთი რეალური მომენტი ჰქონდა. არგენტინელმა **ანხელ დი მარიამ** ბურთი ხარიხას დაუმიზნა. **ხოსე ანტონიო კამაჩოს** გუნდი კრიზისშია. "ბენფიკამ" პორტუგალიის პირველობასა და ჩემპიონთა ლიგაში ზედიზედ მეხუთე თამაში ვერ მოიგო.

ნამატჩევს ლუჩესკუმ თქვა, ანგარიში შეიძლებოდა უფრო დიდიც ყოფილიყო: *"ოთხი თუ ხუთი მომენტი გვქონდა. სამწუხაროა, რომ მეტი გოლის გატანა ვერ მოვახერხეთ. "ბენფიკამ" კარგად ითამაშა, მაგრამ დღეს ჩემი შეგირდები უფრო თავდაჯერებულნი და ორგანიზებულნი იყვნენ."*

მეორე ტაიმში კარგი შანსი ვერ გამოიყენა **ნუნუ გომეშმა**. თამაშის მიწურულს ლისაბონელებმა ნამდვილი შტურმი მოაწყვეს. უკრაინელებმა ზეწოლას გაუძლეს და დამსახურებული სამი ქულით გაემგზავრნენ შინ. "ბენფიკა" კი მინდვრიდან სტვენით გააცილეს. თუ ასე გაგრძელდა, კამაჩოს ბარგის ჩალაგება მოუწევს. აი, მისი კომენტარი: *"ფეხბურთში მთავარი გოლებია. ჩვენ შეგვეძლო გოლების გატანა, მაგრამ შანსები ვერ გამოვიყენეთ. მეტოქემ კონტრშეტევებზე ითამაშა და გაიმარჯვა."* მსაჯისგან დამატებულ წუთებზე "შახტარის" სათადარიგო ფეხბურთელი **ნერი კასტილიო** მეკარე **კუიმ სილვასთან** პირისპირ გავიდა, მაგრამ ააცილა. ამ ჯგუფში უკრაინელების დომინანტობა ყველასთვის მოულოდნელი შედეგია.

სელტიკი-მილანი 2:1

სელტიკი: ბორუცი, დუმბე (79. კენდი), გ. კოლდუელი, მაკმანუსი, ნეილორი, დონატი, ჰარტლი, იაროშიკი (85. კილენი), მაკგიდი (85. ნაკამურა), ს. ბრაუნი, მაკდონალდი.

მილანი: დიდა (90+4. კალაჩი), ოდო, ბონერა, ნესტა, იანკულოვსკი, გატუზო, პირლო, ამბროზინი, კაკა, ზეედორფი (55. გურკუფი), ინძაგი (77. ჯილარდინო).

გოლები: 1:0 მაკმანუსი (63), 1:1 კაკა (68-პენ), 2:1 მაკდონალდი (90)

მაყურებელი: 60 832

არბიტრი: მარკუს მერკი (გერმანია)

"სელტიკმა" ევროპის ჩემპიონები დაამარცხა. ავსტრალიელმა თავდამსხმელმა **სკოტ მაკდონალდმა** გამარჯვების გოლი მსაჯისგან დამატებულ დროში შეაგდო. ერთი დღით ადრე შთამბეჭდავად გაიმარჯვა "სელტიკის" თანაქალაქელმა "რეინჯერსმაც". მან სტუმრად "ლიონს" 3:0 მოუგო. ასე რომ, ეს კვირა ჩემპიონთა ლიგაში გლაზგოელების ზეობის კვირა იყო.

კათოლიკე შოტლანდიელები ზეიმობენ. "სელტიკის" ხელმძღვანელობა კი გაფაციცებით ელის უეფას გადაწყვეტილებას. მაკდონალდის გოლისას მინდორზე თავზეხელაღებული გლაზგოელი ფანი შეიჭრა, მილანელთა მეკარე **დიდას** ჩაუქროლა და სახეზე ხელით შეეხო. ზოგიერთი სააგენტოს ინფორმაციაში ვკითხულობთ, რომ დიდას თავს დაესხნენ, რომ მას სახეში ხელი ჩასცხეს და მძიმე ტრავმა მიაყენეს. გამეორებისას არ ჩანდა, რომ დარტყმა ასეთი სერიოზული იყო. ამის მიუხედავად, ბრაზილიელი გოლკიპერი მინდორზე გაიხლართა და დახმარებისთვის ექიმებს უხმო. მოულოდნელი იყო ის, რომ მან თამაშის გაგრძელება ვერ მოახერხა. დიდას სახეზე ცივი კომპრესი დაადეს და საკაცით გაიყვანეს.

"სელტიკის" ბოსებს კარგად ახსოვთ ორი წლის წინანდელი ამბები. 2005 წლის ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში "მილანი" "ინტერს" ეთამაშებოდა. დიდას ტრიბუნიდან ნასროლი მაშხალა მოხვდა. მეკარე მაშინაც უგონოდ დაეცა. "ნერაძურიმ" მომდევნო ოთხი მატჩი ცარიელი ტრიბუნების წინ ჩაატარა.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში დანიისა და შვედეთის ნაკრებ გუნდებს შორის დანიელი ქომაგი მინდორზე შეიჭრა და მსაჯ **ჰერბერტ ფანდელს** დაესხა თავს. მაგრამ ის ნამდვილი თავდასხმა იყო. მთვრალი ქომაგი ფანდელთან ანგარიშით გასწორებას ცდილობდა. კოპენჰაგენის სტადიონს ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიესაჯა. ფეხბურთის ფედერაციას 41 ათასი გირვანქის გადახდაც დააკისრეს.

რა მოხდება ამურად? უეფას დელეგატმა **ანდრეას

** [illegible] ნაცხადა, რომ ინციდენტს მოხსენებით ბარათში შეიტანს. მის მოხსენებაზეა დამოკიდებული, დაიწყებს თუ არა უეფა გამოძიებას. გლაზგოს პოლიცია უეფას არ დაელოდა და გამოძიება უკვე დაიწყო. ფანი, რომელმაც "სელტიკს" თავსატეხი გაუჩინა, ტრიბუნაზე ისე ავიდა და ისე გაუჩინარდა, რომ მის კვალს ჯერ ვერ მიაგნეს. ხულიგანს სტადიონიდან სამუდამო დისკვალიფიკაცია ელის. კლუბს კი იმის გარკვევა მართებს, როგორ აღმოჩნდა გულშემატკივარი მინდორზე და რას აკეთებდნენ ამ დროს უსაფრთხოების თანამშრომლები.

"სელტიკის" თავმჯდომარე **ბრაიან ქუინი** ამბობს, რომ ფანის საქციელს გამართლება არა აქვს, მაგრამ უეფამ დიდას საქციელიც უნდა გამოიძიოს. მას მიაჩნია, რომ ბრაზილიელმა მეკარემ ისიმულიანტა. ამიტომ პასუხი უნდა აგოს: *"მზად ვართ, თვალი გავუსწოროთ ნებისმიერ სასჯელს, რომელსაც უეფა დაგვაკისრებს, მაგრამ უსამართლო იქნება, თუ დიდას ქმედებასაც არ მიექცევა სათანადო ყურადღება. ვიდეოჩანაწერის არაერთგზის ნახვისას დავრწმუნდი, რომ კონტაქტი მინიმალურზე მინიმალური იყო. ამ კონტაქტის შემდეგ დიდა ფანს გამოედევნა, მაგრამ რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ გადაწყვიტა, რომ დაცემა უფრო მომგებიანი იყო. ამიტომ ეს ყველაფერი თეატრალურად გააფორმა. ნუთუ, რამე გამომრჩა? ვერ ვიჯერებ, რომ ის საკაცით გასაყვანი გახდა ლოყაზე ხელის მოთათუნების გამო."*

ახლა ორიოდე სიტყვას თამაშზეც მოგახსენებთ. ანგარიში 63-ე წუთზე **სტივ მაკმანუსმა** გახსნა. ოთხ წუთში გერმანელმა არბიტრმა **მარკუს მერკმა** საკმაოდ საეჭვო 11-მეტრიანი დანიშნა. მან ჩათვალა, რომ "სელტიკის" საჯარიმოში მილანელთა კაპიტან **მასიმო ამბროზინის** ხელით იჭერდნენ. **კაკამ** პენალტი ზუსტად შეასრულა. იმ დროს, როცა საფინალო სასტვენამდე წამები რჩებოდა, **გარი კოლდველმა** დაახლოებით 25 მეტრიდან ძლიერად დასცხო. დიდამ ბურთი წინ მოიგერია, მაკდონალდმა დაამატა და მასპინძლებს უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოუტანა. ნამატჩევს **გორდონ სტრაჩანმა** ასეთი კომენტარი გააკეთა: *"ჩვენმა ფეხბურთელებმა ეს თამაში გულშემატკივრებისათვის მოიგეს. როცა ევროპის ჩემპიონებს ეთამაშები, დრო არ გრჩება იმაზე ფიქრისთვის, რომ ყოველმხრივ გამართული ფეხბურთი ითამაშო და ყველაფერი ისე გააკეთო, როგორც გსურს."*

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. შახტარი	2	2	0	0	3-0	6
2. მილანი	2	1	0	1	3-3	3
3. სელტიკი	2	1	0	1	2-3	3
4. ბენფიკა	2	0	0	2	1-3	0

ვერდერი-ოლიმპიაკოსი. კოვაჩევიჩი მუსიკოსებს მესამე გოლს უტანს

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალისტი

დუდუ დადიანის მემორიალი. პირველი ტური

მაკაბის იპონი და ვითას დაბრუნება

4 ოქტომბერი, რუსთავი

B ჯგუფი

აზოტი–მაკაბი 72:80

16:18, 18:23, 20:19, 18:20

აზოტი: გამყრელიძე (16 ქ. 10 მ. 7 პ. 2 ჩ), დიდია (16 ქ. 4 მ), სტეფანოვი (11 ქ. 6 მ), ლეჟავა (9 ქ), ბოისა (9 ქ. 8 მ), ბაბიაშვილი (8 ქ. 7 მ), გოგობერიშვილი (2 ქ), ჭოჭუა (1 ქ), ცეკვავა, ლიპარტელიანი, დანელიანი, დვალიშვილი.

მაკაბი: გ. შერმადინი (39 ქ. 16 მ. 6 დ), ი. ბერიშვილი (11 ქ. 3 ჩ), დ. ბერიშვილი (9 ქ. 3 პ), სორდია (8 ქ. 6 მ), კოლუაშვილი (4 ქ), ს. შერმადინი (4 ქ), ვაშაკიძე (3 ქ), კორკოტაძე (2 ქ), დოლიძე, იოსელიანი, ახვლედიანი, ხიზანიშვილი.

მსაჯები: მ. კუპატაძე, ხ. გაბედავა

A ჯგუფი

ვითა–დინამო 88:57

23:14, 18:8, 23:23, 24:12

ვითა: მ. ბერიშვილი (18 ქ. 6 მ), მარკოიშვილი (14 ქ. 5 მ. 4 პ), ნოზაძე (12 ქ), ბეჟანიშვილი (11 ქ. 10 მ), მარხვაშვილი (11 ქ), ბ. ნოზაძე (7 ქ. 4 მ. 4 ჩ), ძიძიგური (5 ქ), გვიმრაძე (5 ქ), ბერძენიშვილი (5 ქ. 15 მ), კორძაძე, გასიტაშვილი

დინამო: გულისაბედაშვილი (10 ქ. 4 მ), მაისურაძე (9 ქ. 9 მ), ახალკაცი (9 ქ. 6 მ), ჟღენტი (9 ქ), ფაიქრიძე (7 ქ), ლაფანაშვილი (5 ქ. 5 მ), კუჭავა (4 ქ), ბადრიძე (2 ქ. 4 ჩ), ნანიტაშვილი (2 ქ), წერეთელი, დევიძე, ყველაშვილი.

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, მ. ანდღულაძე

დღეს

დინამო-ავიამშენი, 14:00
თსუ-მაკაბი, 16:00

გუშინ, რუსთავში დუდუ დადიანის სახელობის მეექვსე მემორიალი დაიწყო. მთავარი მოვლენა "ვითას" ხელახალი დაბადება უნდა ყოფილიყო - 7-წლიანი პაუზის შემდეგ გუნდმა პირველი მატჩი ჩაატარა, მაგრამ გაცილებით ხმაურიანად გაიჟღერა "აზოტი"-"მაკაბის" საფინალო სირენამ, რომელმაც ქვეყნის მოქმედი ჩემპიონის მარცხი დააფიქსირა.

წაუვიდა და არ წაუვიდა

ვინც მხოლოდ "აზოტი"-"მაკაბის" მატჩის საბოლოო ანგარიშს გადახედა, გაუჩნდებოდა კითხვა - როგორ წააგეს მასპინძლებმა? პასუხს ახლავე მოგახსენებთ: მაკაბელებმა სახელოვან მეტოქეს პირველ ტაიმშივე აგრძნობინეს, რომ არაფრის დამთმობები არ იყვნენ - საწყისი 10-წუთეული თანაბარ ბრძოლაში მიილია.

მეორე მეოთხედიდან **ჯამლეტ ხუხაშვილის** გუნდმა თავისი თამაში იპოვნა - პერიმეტრიდან "აზოტის" კალათს ტყუპი **ბერიშვილები, ირაკლი სორდიასთან** ერთად, შედეგიანად უტევდნენ, ხოლო ფარქვეშ "მაკაბის" უპირატესობას ძმები **შერმადინების** და **ვიქტორ კოლუაშვილის** ტრიო განაპირობებდა. ამ ექვსეულის ზუსტმა თამაშმა მაკაბელებს დიდი შესვენების წინ 7-ქულიანი უპირატესობა დაუბევა (41:34).

მეორე ტაიმში მატჩის სურათი არ შეცვლილა, მხოლოდ გიორგი შერმადინის აქტიურობა გახდა თვალშისაცემი. მისი შეჩერება **ზვიად ბაბიაშვილსაც** უჭირდა და "აზოტის" სერბ ახალწვეულ **იოვან სტეფანოვსაც** (მასზე ქვემოთ ვისაუბრებთ), რომელმაც ხუთი ფოლი დაიმსახურა. შერმადინი ბოლო წუთებზეც ზუსტად ტყორცნიდა საჯარიმოებსა და ორქულიანებს და თამამად უნდა ითქვას, რომ თანაგუნდელებს დამსახურებული გამარჯვება მოაპოვებინა - 80:72.

საბოლოო ოქმში გიორგის გასწვრივ სტატისტიკური მონაცემები გრაფებში ძლივს ჩაეტია - 39 წუთში 39 ქულა, 16 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა, 6 დაფარება.

როგორც ხედავთ, "აზოტის" მარცხის ერთ-ერთი მიზეზი "მაკაბის" გაძლიერება იყო. ჯამლეტ ხუხაშვილს შარშანდელზე ოთხჯერ უკეთესი გუნდი ჰყავს (ირაკლი და დათო ბერიშვილები, ვიქტორ კოლუაშვილი და ირაკლი სორდია დაიმატა).



ზურაბ ტომარაძე

მასპინძელთა წაგების მეორე მიზეზი ტაქტიკურ სქემებსა, ბურთის ვერჩაგდებაში ან თამაშის არწასვლაში კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ წინა სეზონის შემდეგ წამყვანი კალათბურთელების წასვლაში. "აზოტს", გუშინ აშკარად აკლდნენ **კოტე ტუღუში, გიორგი მარკოიშვილი, ვლადიმერ ბეჟანიშვილი** და **დავით უგრეხელიძე**.

არადა უგრე და სტეფანოვი, ზვიად ბაბიაშვილთან ერთად, რუსთაველთა წინა ხაზს გორის ციხესავით გაამყარებდნენ...

დაპირებისამებრ ორი სიტყვით "აზოტის" სერბ ახალწვეულ იოვან სტეფანოვს დაგიხასიათებთ. მან საბოლოოდ 21 წუთი ითამაშა, 11 ქულა და 6 მოხსნა ჩაიწერა. დილის 6 საათზე ჩამოფრენილი კალათბურთელისთვის ეს ურიგო შედეგი არ არის. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 208 სმ. სიმაღლის სერბს კარგი სისწრაფე და დრიბლინგი აქვს. იგი "აზოტში" ცენტრად ითამაშებს, თუმცა კარგი მძიმე ფორვარდი ჩანს. მიუხედავად იმისა, რომ შერმადინმა 39 ქულა ჩააგდო, მაინც უნდა ითქვას, სტეფანოვის წინააღმდეგ შეტევაში თამაში მისთვის იოლი არ ყოფილა.

ვითამ ძველი დრო გაიხსენა

მასპინძლისა და ხუხაშვილის გუნდების მატჩის მერე შემდეგი წყვილი სადმი ინტერესი ოდნავ კი განელდა, მაგრამ რუსთავის კოხტა დარბაზში შეკრებილ, შერჩენილ გულშემატკივარს ქართული დამოუკიდებელი კალათბურთის ყველაზე ტიტულოვანი გუნდის დაბრუნების, "ვითას" ხილვის სასიამოვნო პერსპექტივა ელოდა.

"ვითამ" **ზაზა ცაგარეიშვილის** "დინამოს" ძალიან იოლად მოუგო, თუმცა თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ გუნდებისთვის ეს პირველი ოფიციალური ტურნირია, შორსმიმავალი დასკვნების გამოტანა, ცოტა რთული იქნება. ეჭვგარეშეა, რომ "ვითაც" მოუმატებს და "დინამოც" ამდენ შეცდომას აღარ დაუშვებს.

სასიამოვნო იყო ფარზე მებრძოლი **დავით ბერძენიშვილის** თავგამოდების ხილვა, რომელმაც 22 წუთში 15 მოხსნა დააგროვა და ლამის მარტომ აჯობა "დინამოს" მეფარეებს.

გიორგი მარხვაშვილს წინა გუნდებში ძირითადი გამთამაშებლობისა და ამასთან ერთად, გუნდის პრემიერ-მოთამაშეებში ყოფნის შანსი არ ჰქონია, "ვითაში" კი **ზურაბ ტომარაძემ** მას ეს მისია მიანდო და მარხვაშვილმაც მშვენივრად ითამაშა. მართალია, მან მატჩი მხოლოდ 2 პასით დაასრულა, მაგრამ დაცვაშიც ღონივრად იდგა და რამდენიმე პირველი შეტევაც ელვისებური გარღვევებით ჩაამთავრა.

"დინამო" კი, როგორღაც, გადაღლილის შთაბეჭდილებას ტოვებდა. გუნდში ბევრი ახალბედაა და პოტენციალით ცაგარეიშვილს საფლეიოფო გუნდი ჰყავს.

გიორგი შერმადინი

ორივე გუნდში ყველაზე მეტი საჯარიმო გამოცდილმა **არჩილ ჟღენტმა** შეასრულა, რომელიც "დინამოში" მოთამაშე-მწვრთნელია. ჟღენტმა 10 თავისუფალი ტყორცნიდან მხოლოდ 3 ვერ გამოიყენა და 15 წუთში ერთი შეცდომაც არ დაუშვია.

მოკლედ, ქართულ კალათბურთს დაუბრუნდა მისი კოლორიტი, რომელსაც ასევე მრავალნაცადი და გამოცდილი ზურაბ ტომარაძე უდგას სათავეში. სოლიდურად გამოიყურება "ვითას" სამწვრთნელო შტაბიც და იმედი ვიქონიოთ, რომ გუნდი 7-წლიან მონატრებას ხარისხიანი თამაშითა და ერთსულოვნებით აგვინაზღაურებს.

"ავიამშენი"? ამ ეტაპზე გუნდი მემორიალის მოგების მთავარ ფავორიტად მოჩანს, თუმცა ყველაფერი შესაძლებელია.

ვაჟა სიმონიშვილი

თეორია

გურამ მოდებაძე. დაიბადა 05.10.-1947, ჭიათურა. რაგბი. თამაშობდა თბილისის "ლოკომოტივში". სსრკ ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1972). მწვრთნელის კარიერა: უნივერსიტეტი, აკადემია, ასკ, რუსთავის "ხარები" (საქართველოს ჩემპიონი, 1993), "გუმარი" (საქართველოს ჩემპიონი, 1996). 1994-97 წლებში იყო საქართველოს ნაკრების მწვრთნელი (7 მატჩი: 4 მოგება, 3 წაგება). 1997-99 წლებში ნაკრებში მუშაობდა კლოდ სორელთან ერთად. 2004 წლიდან წვრთნიდა აზერბაიჯანის ნაკრებს. საქართველოს ნაკრებში თამაშობდა მისი ორი ვაჟი: 2001 წლის ევროპის ერთა თასის მფლობელი შოთა (დაბ. 16.06.1974) და 2003 წლის მსოფლიო თასის გათამაშების მონაწილე ირაკლი (დაბ. 22.11.1979).

ჩოგბურთი

ორ სეტში დამარცხდა

მაკა ჩახნაშვილმა ფრანგულ ნანტში ასპარეზობა საერთაშორისო ტურნირის მერვედფინალში შეწყვიტა. ტურნირში, რომლის საპრიზო ფონდი 25 ათასი ამერიკული დოლარია, მაკა მე-4 ნომრად განთესეს, თუმცა მან ერთეულთა ბადე ნაადრევად დატოვა. პირველ წრეში ქართველმა სამსაათნახევარში დაამარცხა რუმინელი ალექსანდრა დულგერუ. მეორე წრეში მისი მეტოქე მსოფლიოს 230-ე ჩოგანი ბრიტანელი მელანი საუზი იყო. სამწუხაროდ, ჩახნაშვილმა ორ სეტში დათმო - 4:6, 0:6. პირველი სეტი 43 წუთი გაგრძელდა, მეორე კი სულ რაღაც 22. ბრიტანელმა ჩახნაშვილს 5 ეისი ჩაუგდო.



მაკა ჩახნაშვილი

ახალი პროექტი

მე მიყვარს სპორტი

ეს არის ახალი პროექტი, რომელიც ეროვნულმა ფედერაციამ "სპორტი ყველასათვის" სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტს წარუდგინა განსახილველად. პროექტის მიზანია საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობაში სპორტის პოპულარიზაცია, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა, სპორტის ტრადიციული ხალხური სახეობების, სახელოვანი ქართველი სპორტსმენების მიღწევებისა და ამ წარმატებების ამსახველი სამუზეუმო ექსპონატების გაცნობა. პროექტი ითვალისწინებს IV-VI კლასების მოსწავლეებში მათთვის საყვარელი სპორტსმენთა ათეულის გამოვლენას და მათთან შეხვედრებს "სპორტის დიდების მუზეუმში". ბავშვები საჩუქრად მიიღებენ მაისურებს წარწერით "მე მიყვარს სპორტი, მე მიყვარს საქართველო", აგრეთვე კეპებს და სხვა სუვენირებს.

პროექტის ამოქმედება 15 ოქტომბრიდან ივარაუდება.

საქართველო
GEORGIA

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელბურთი

საქართველოს ხელბურთელთა ეროვნულ ნაკრებს ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს. გუშინწინ, ხელბურთის ფედერაციამ ამ თანამდებობაზე დანიშნა "თბილისის" თავკაცი მამუკა მჟავანაძე. მოახლოებულ "ჩელენჯ ტროფიზე" ეროვნულ გუნდს სწორედ ის გაიყვანს. გუშინ, მამუკა მჟავანაძეს თავისი კლუბის ვარჯიშისას ვესტუმრეთ და ეროვნული ნაკრებისა და "ჩელენჯ ტროფის" შესახებ ვრცლად ვესაუბრეთ.

ინტერვიუ მამუკა მჟავანაძესთან

ექსპერიმენტების დრო არ გვაქვს, შედეგი გვინდა!

მამუკა მჟავანაძე (ცენტრში)

- ვერ ვიტყვი, რომ ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშვნა ჩემთვის მოულოდნელობა იყო. როგორც ვიცი, ხელბურთის ფედერაცია ჩემ გარდა, განიხილავდა სტუ-"თელავის" მთავარ მწვრთნელ ირაკლი კეკელიძის კანდიდატურასაც. ორიოდე კვირის წინათ, ორივეს მოგვთხოვეს, რომ ჩამოგვეყალიბებინა ჩვენეული ხედვა ნაკრებთან დაკავშირებით და წერილობით წარგვედგინა. ასეც გავაკეთეთ. ამის შემდეგ, იყო კონსულტაციები უშუალოდ ფედერაციის პრეზიდენტ თამაზ თევზაძესთან. საბოლოოდ, პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, ნაკრები მე ჩამაბარეს.

- როგორია თქვენეული ხედვა და გეგმები ნაკრებთან დაკავშირებით?

- ამაზე დეტალურად საუბარი ძალიან შორს წაგვიყვანს. ახლა მთელი ყურადღება "ჩელენჯ ტროფისკენაა" გადატანილი და როდესაც ამ ტურნირს მოვილევთ, სამომავლო გეგმებზეც მერე ვილაპარაკოთ. რაც შეეხება "ჩელენჯ ტროფის", მაქსიმალურად შეეცდებით, რომ სრულიად ავითვისოთ ჩვენს ხელთ არსებული რესურსები - დაწყებული ახალგაზრდებიდან და ვეტერანებით დამთავრებული. ახლა არაა იმის დრო, რომ ნაკრების გადაახალგაზრდავებაზე, მომავლის გუნდის შენებასა და ექსპერიმენტებზე ვიფიქროთ. ამჟამად, ქართული ხელბურთისთვის უმთავრესია შედეგი. შესაბამისად, მთავარი საზრუნავია "ჩელენჯ ტროფიზე" წარმატებით თამაში.

- სამწვრთნელო შტაბი როგორ დაკომპლექტეთ?

- სანაკრებო კარიერა დაასრულა ლევან გელაშვილმა და იგი ჩემს თანაშემწედ იმუშავებს. კონსულტანტობას გაგვიწევს ცნობილი ვეტერანი ხელბურთელი იმედო ფხაკაძე, რომელიც იდეალური პიროვნებაა, ხელბურთში ბრწყინვალედაა ჩახედული და კარგი რჩევებით დაგვეხმარება. მთლიანობაში, სამწვრთნელო შტაბის თითოეულ წევრს დაახლოებით ერთნაირი ხედვა გვაქვს ნაკრებისა და მთლიანად ქართული ხელბურთის შესახებ, რაც საქმეს ერთიორად გაგვიადვილებს.

ბარემ აქვე ვიტყვი იმასაც, რომ დღეს პირველი სამუშაო დღე მქონდა ნაკრების მთავარი მწვრთნელის რანგში, ვიყავი ხელბურთის ფედერაციაში და ძალიან კმაყოფილი დავრჩი. ყველას განანილებული აქვს თავისი საქმე და ყველა ძალიან მონდომებულია, რომ დავალებას თავი პირნათლად გაართვას.

ადრე ნაკრების მწვრთნელებს, საკუთარი საქმის გარდა, გუნდის ტექნიკური პრობლემების მოგვარებაც უხდებოდათ. ახლა კი ჩვენი საზრუნავი მხოლოდ გუნდის მაქსიმალურად კარგად მომზადებაა. ნაკრების ადმინისტრატორად დაინიშნა გიორგი ბარათაშვილი, გუნდს ჰყავს ახალი ექიმი და მასაჟისტიც. მოკლედ, ჩვენი პირობების კვალობაზე, ნაკრების მწვრთნელებს მშვენიერი სამუშაო ატმოსფერო გვექნება.

- შეკრებას სად და როდის გაივლით?

- 9-11 ოქტომებერს ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრე გაიმართება. 12 ოქტომბერს, აქ მოთამაშე ნაკრების 18 კანდიდატი, სამედიცინო შემოწმებას გაივლის. აღსანიშნავია, რომ ეს 18 ხელბურთელი სტუ-"თელავიდან" და "თბილისიდანაა" არჩეული. 14 ოქტომბრიდან კი გუნდი დღეში ორჯერადი ვარჯიშებით, ათდღიან შეკრებას დაიწყებს "დინამოს" საკალათბურთო ბაზაზე.

- "ჩელენჯ ტროფიმდე" საკონტროლო მატჩის ჩატარებას თუ მოასწრებთ?

- მოლაპარაკებები მიმდინარეობს თურქეთის ხელბურთის ფედერაციასთან, რომ ამ ქვეყნის ეროვნულ ან ახალგაზრდულ ნაკრებს ვეთამაშოთ. ჩვენი სურვილია, რომ თურქები თბილისში ჩამოვიყვანოთ. თუ ასე არ მოხდება, სათამაშოდ ალბათ ავირჩევთ თურქეთის რომელიმე საზღვრისპირა ქალაქს, რომ მოგზაურობით ზედმეტად არ გადავიღალოთ.

სავარაუდოდ, მხოლოდ ერთ საკონტროლო მატჩს ჩავატარებთ, რადგან მეტი ვერ ესწრება. იდეალურ ვარიანტში, ლეგიონერები თბილისში ჩამოვლენ 21 ოქტომბერს. თურქებთან მატჩის სავარაუდო თარიღებია 21, 22 ან 23 ოქტომბერი.

- რომელი ლეგიონერების გამოძახებას აპირებთ?

- ნაკრებში გამოსაძახებლად განვიხილავთ სერგო დათუკიშვილის (გერმანია), რატი მსხვილიძის (ისლანდია), ვლადიმერ რუსიას (რუმინეთი), რეზო ჭანტურიას (მაკედონია), ანდრო ანდრიაშვილის, გიორგი გვაზავას (ორივე ესპანეთი), გარი თურქიას, გიორგი კვერნაძის (ორივე საბერძნეთი) და შოთა გრიშიკაშვილის (თურქეთი) კანდიდატურებს. თუკი გამოჯანმრთელებას მოასწრებს, აუცილებლად ვათამაშებთ რატი მსხვილიძის თანაგუნდელ ტიტე კალანდაძესაც, რომელიც ახლა თბილისშია და ტრავმას მკურნალობს. წინასწარი საუბარი გვქონდა ყველა ლეგიონერთან. ისინი სრულ მზადყოფნას გამოთქვამენ, რომ თბილისში ჩამოვიდნენ და საკუთარი გულშემატკივრის წინაშე ითამაშონ.

- ნატურალიზებულ ბელორუსს - სერგეი კირილოვს არ მოიწვევთ?

- კირილოვს საქართველოს ნაკრებში დებიუტი ჰქონდა იანვარში. ცუდი ხელბურთელი არ ჩანს, მაგრამ ნაკრებთან შესაწყობად სჭირდება დრო. ჩვენ კი, როგორც ზემოთ ვთქვი, ახლა ექსპერიმენტების დრო არ გვაქვს. ეგეც არ იყოს, არ მაქვს იმის საშუალება, რომ ვნახო, როგორ თამაშობს კირილოვი მაკედონიის ჩემპიონატში და რეალურად რა პოტენციალი აქვს.

- არადა, ნაკრების ყველაზე პრობლემური წერტილი ხაზის მოთამაშეა. როგორ აპირებთ ამ საკითხის გადაჭრას?

- ხაზის მოთამაშეებად განვიხილავთ გვაზავას, გრიშიკაშვილისა და დავით ფორაქიშვილის კანდიდატურებს. არა მგონია, რომ ეს პოზიცია განსაკუთრებით პრობლემატური იყოს.

- ნაკრების ძლიერ მხარედ რა მიგაჩნიათ?

- გუნდის ახლო ისტორიაში, ჯერ არ გვყოლია ისეთი ძლიერი უკანა ხაზი, როგორც ახლა. შოთა თევზაძე კი, გვყავს ძალიან მაღალი დონის მეკარეცა. მთლიანობაში, ამ შემადგენლობით შეგვიძლია სხვადასხვა ტაქტიკურ სქემაზე უმტკივნეულოდ გადაწყობა.

- აქამდე, ეროვნული ნაკრების საბაზო გუნდად ითვლებოდა სტუ-"თელავი". ახლა "თბილისი" ხომ არ გახდება ნაკრების მთავარი მომმარაგებელი?

- ის ფაქტი, რომ "თბილისის" მთავარი მწვრთნელი ვარ, არანაირად არ ნიშნავს იმას, რომ სხვა კლუბების ხელბურთელები დაიჩაგრებიან და ჩემს შეგირდებს სხვებზე წინ დავაყენებ. ამა თუ იმ გუნდის და მათ შორის "თბილისის" წევრობა არავისთვის არაა გარანტია, რომ აუცილებლად მოხვდება ნაკრებში. გუნდში ვათამაშებ მხოლოდ და მხოლოდ იმ ხელბურთელებს, რომლებიც კონკრეტულ მომენტში სათანადო ფორმაში და ნაკრებისთვის საჭირონი იქნებიან.

- "ჩელენჯ ტროფიზე" ჩვენს მეტოქეებზე რას იტყვით?

- როგორც მეტოქეს, სომხეთს პატივს ვცემ, მაგრამ იგი დანარჩენ სამ გუნდთან შედარებით, აუტსაიდერია. მოლდოვასა და აზერბაიჯანს კი დაახლოებით ერთი დონის გუნდები ჰყავთ. ჩვენი მთავარი კონკურენტები იქნებიან აზერბაიჯანი და მოლდოვა. თუმცა თუკი რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა და ოპტიმალური შემადგენლობა გვეყოლება, ფინალში გასვლის დიდი შანსი გვაქვს. საკუთარ კედლებში თამაშის უპირატესობა აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ და ქართველი გულშემატკივარი არ უნდა გავაწბილოთ.

- შესაძლოა, ახლა ამაზე საუბარი ნაადრევია, მაგრამ მეორე ჯგუფზე რას იტყვით?

- თუკი ჩვენი ჯგუფიდან გავალთ, ფინალში ვხვდებით ლუქსემბურგის ჯგუფის გამარჯვებულს, სადაც საკმაოდ საინტერესო შემადგენლობაა თავმოყრილი. მასპინძლებს ბოლო ხანს პროგრესი აქვთ, როგორც საკლუბო, ასევე სანაკრებო დონეზე. იმავეს თქმა შეიძლება ფარერებზე, რომელსაც დანიაში ჰყავს ლეგიონერები. არც სხვა გუნდები არიან ხელწამოსაკრავები, მაგრამ მაინც მგონია, რომ ლუქსემბურგი ფინალის საგზურს არავის გაატანს.

კობა ხატისაშვილი

ჭადრაკი

ავართვათ მიკას თასი!

თურქეთის ქალაქ ქემერში ორი დღის წინ დაიწყო ევროპის საკლუბო ჩემპიონატი, რომელიც მამაკაცთათვის რიგით 23-ეა, ქალთათვის კი - მეთორმეტე. წელს კაცთა შორის უპრეცედენტოდ ბევრი, 56 კლუბია თავმოყრილი, ქალებში კი - 18. სამწუხაროდ, კაცთა შორის ქართულ კლუბს ვერ ვხედავთ, - წელს საჭადრაკო კლუბმა ნტნ-მა ვერ მოახერხა გუნდის შეკრება და ტურნირზე მივლინება. მხოლოდ ქალებში გვყავს საქომაგო და წელს ქართულ გუნდს "ინტერპლასტ-თბილისი" ჰქვია.

ეს გუნდი პირდაპირი მემკვიდრეა შარშანდელი "ენერჯი-ინვესტისა", რომელმაც გასული წლის ევროპის ჩემპიონატზე მეორე ადგილი დაიკავა და პირველობა სომხურ "მიკას" გადაულოცა. იქამდე ზედიზედ ორი წელი ჩემპიონობა ქართველების სარგო იყო - ტნტ-მა იმარჯვა ორივეჯერ და მის შემადგენლობაშიც ძირითადად დღევანდელი "ინტერპლასტ-თბილისის" წევრები თამაშობდნენ...

ქართული კლუბი წელსაც ფავორიტია, მაგრამ მონინააღმდეგენიც სერიოზულად გაძლიერებულან. საშუალო რეიტინგით პირველი გუნდი "მონტე-კარლოა", რომლის რიგებში ინდოელი **კონერუ ჰუმპი** ზის. პირველ დაფაზე. მისი დღევანდელი რეიტინგი კაცთა შორისაც კი კარგ მაჩვენებლად ითვლება - 2606. ჰუმპი მხოლოდ 19 წლისაა და არაა გამორიცხული, რომ მან **იუდით პოლგარის** საჭადრაკო სიმაღლეებს მიაღწიოს... "მონტე-კარლოს" სხვა წევრებიც უძლიერესები ჰყავს: შვედი **პია კრამლინგი** (2531); ყატარელი **ჭუ ჩენი** (2531); პოლონელი **მონიკა სოცკო** (2473) და ფრანგი **ალმირა სკრიპჩენკო** (2438).

ქართველთა შემადგენლობა ასეთია: დაფების მიხედვით: **ლელა ჯავახიშვილი** (2474); **ქეთევან არახამია-გრანტი** (2432); **სოფიო გვეტაძე** (2362); **ნანა ძაგნიძე** (2416) და **მაია ლომინეიშვილი** (2409). ცოტა უცნაურია გვეტაძის მესამე დაფაზე თამაში, რადგანაც მისი რეიტინგი ძაგნიძისა და ლომინეიშვილისას ბევრად ჩამორჩება და არც რაიმე წარმატებით არის ნაკარნახევი - ბოლო დროს გვეტაძეს თვალსაჩინო შედეგებისთვის არ მიულწევია. შესაძლოა, ეს გუნდური სტრატეგიით იყოს ნაკარნახევი, - არსებობს შეხედულება, რომ გუნდური ტურნირები მეოთხე დაფამ უნდა მოიგოს და აქ შედარებით ძლიერებს სვამენ ხოლმე. ძაგნიძე, მიუხედავად იმისა, რომ საუკეთესო ფორმაში ვერ იყო, სათამაშო პრაქტიკის უქონლობას არ უჩივის და, როგორც წესი, გუნდში ყოველთვის კარგად თამაშობს; ბოლო დაფაზე ლომინეიშვილსაც შეუძლია სარგებლის მოტანა - მართალია მას გუნდში თამაში ოლიმპიადებზე არ გამოსდის, მაგრამ ევროპის ჩემპიონატებზე - გუნდურზე თუ საკლუბოზე კარგად თამაშობს.

არახამიას სიძლიერე ცნობილია და მისი მეორე დაფაზე ყოფნა სავსებით ლოგიკურია, ისევე როგორც - ლელა ჯავახიშვილს ლიდერობა.

ქართული ჭადრაკის ლეგენდა **მაია ჩიბურდანიძე** სომხურ "მიკაში" ირიცხება, ისევე როგორც **ნინო ხურციძე**. მაია პირველ დაფაზეა, ნინო კი - მესამეზე. ამ განლაგებით ისხდნენ შარშანაც და იპირველეს. ვნახოთ, რას იზამენ ამჯერად.

უკვე გაიმართა პირველი ტური. "თბილისი" თურქულ "ჰავა იოლარს" შეხვდა. შეგახსენებთ, თამაში ოთხ დაფაზე მიმდინარეობს. ლელა ჯავახიშვილმა პირველ ტურში დაისვენა - მეტოქე სუსტი იყო და ლიდერები ხშირად ასე იქცევიან. მის ნაცვლად ლიდერობა არახამიამ იტვირთა, მეორეზე გვეტაძე, მესამეზე ძაგნიძე და მეოთხეზე ლომინეიშვილი ვიხილეთ. გვეტაძის გარდა ყველამ იმარჯვა - სოფომ **კემრე ილდიზთან** წააგო თეთრებით. საბოლოოდ - 3:1.

ნახევარი ქულა დაკარგა "მიკამ" - ჩიბურდანიძემ შავებით ვერ აჯობა გერმანული გუნდის, "უტრეხტის" წევრ **მარლის ბენსდორფს** (2263). სხვებმა მოიგეს და სომხებმა 3.5:0.5 გაიმარჯვეს. მაქსიმალური ანგარიშით, 4:0, სამმა რუსულმა გუნდებმა "კრასნოტურინსკმა", "ჩრდილოეთმა ურალმა" და "ეკონომისტ-სარატოვმა" მშრალზე დაამარცხეს მეტოქეები.

მეორე ტურში წილისყრამ ქართველები რუსულ "ეკონომისტ სარატოვს" შეახვედრა. რუსებს მშვენიერი შემადგენლობა ჰყავთ: **ჭაო სიუ** (2530), **ელიზაბეტ პეჰცი** (2452); **ირინა ვასილევიჩი** (2383); **მარია კურსოვა** (2358); **ბაირა კოვანოვა** (2346). ქართველებიდან გვეტაძე ისვენებს, რუსებიდან - კოვანოვა.

მამაკაცებში ქართული გუნდი არ თამაშობს, მაგრამ ქართველი მოჭადრაკე კი ილებს მონაწილეობას - **ბაადურ ჯობავა** ზაგრების საჭადრაკო კლუბში ირიცხება. იგი მეორე დაფაზეა და პირველ ტურში საკუთარი პარტია მოიგო. "ზაგრების" ლიდერად ინდოელი **კრიშნან შაშიკირანი** (2661) ითვლება. სტარტი ინდოელსაც წარმატებული ჰქონდა; არც გუნდს უთამაშია ცუდად და 5.5:0.5 გაიმარჯვა. მამაკაცებში შეხვედრები ექვს დაფაზე იმართება.

ევროპის ჩემპიონატი შვიდ ტურად იმართება და გამარჯვებისთვის ორი ქულა ინერება აქტივში, ყაიმისთვის - 1. თუმც პარტიათა მიხედვით დაგროვილ ქულებს მნიშვნელობა მაინც ენიჭება: საბოლოო ადგილთა განაწილების დროს, თუკი რამდენიმე გუნდმა ერთნაირი ქულები დააგროვა, ანგარიშში ეს მაჩვენებლები მიიღება.

ზვიად შათირიშვილი

ინტერვიუ ბიძინა სამხარაძესთან

მარტო სიყვარული არა, პროფესიონალიზმიც



საქართველო-ირლანდია

საფრანგეთში მიმდინარე მსოფლიო თასის გათამაშება საქართველოს მორაგბეთა ნაკრებისთვის უკვე ისტორიის საკუთრებაა. ამ გათამაშებით ჩვენი ეროვნული ნაკრების გარკვეული ნაწილი გუნდს გამოეთხოვა, ნაწილს კი, რომლებსაც ჯერაც ყველაფერი წინ აქვთ, მიღწეულის შესანარჩუნებლად და კიდევ უფრო წინსვლისათვის თავდაუზოგავი შრომა და ბრძოლა მართებს. ამათ შორისაა ბორჯღალოსანთა 9 ნომერი ბიძინა სამხარაძეც, რომელმაც ფრანგული კლუბებიდან წინადადებების მიუხედვად, ისევ რუმინეთში თამაში არჩია.

- სერიოზული გუნდებიდან არავინ შემხმიანებია. ფედერალ დივიზიონების რამდენიმე კლუბი და ესპანეთის ჩემპიონი იყო. ისევ რუმინეთში, კონსტანცის "ფარულში" ვარჩიე თამაში. რუმინელებმა ძალიან კარგი საკონტრაქტო პირობები შემომთავაზეს. ჩემ გარდა იქ კიდევ ოთხი ქართველია -კახა უჩავა, ირაკლი ნატრიაშვილი, გიორგი ხოსიტაშვილი და ლაშა თავართქილაძე. ახლახან ოთხი ნამიბიელი გადმოიყვანეს, უნდათ წელს რუმინეთის ჩემპიონატი მოიგონ. ხვალ უკვე რუმინეთში მივემგზავრები. ზეგ პრინციპული თამაში გვაქვს "იაშისთან". თვითონ კლუბის პრეზიდენტმა დამირეკა, მითხრა - მესმის რომ დაღლილი იქნები, მაგრამ გთხოვთ, ჩამოხვიდე და დაგვეხმაროო. რა ვქნა, აუცილებლად უნდა წავიდე.

- ახალი რა შეგძინათ მსოფლიო თასზე თამაშმა?

- ეს ყველა ჩვენი მორაგბისათვის დიდი გამოცდა იყო. საქართველოს ნაკრების კარგმა თამაშმა საყოველთაო მოწონება და ამასთან გაოცებაც გამოიწვია. ცხადია, ირლანდიასთან თამაში ცალკე აღნიშვნის ღირსია. სამწუხაროდ გამარჯვების მიღწევის შესაძლებლობა ბოლოსკენ ვირწმუნეთ, მაგრამ უკვე გვიან იყო. არადა ეს იქნებოდა ერთ-ერთი უდიდესი სენსაცია რაგბის ისტორიაში. ამ მსოფლიო თასმა საკუთარი ძალების რწმენა შეგვმატა. და თუ საქმეს უფრო პროფესიულად მივუდგებით, ირლანდიას და მის დარ გუნდებს აღბათ მალე მოვუგებთ.

- საქმისადმი უფრო პროფესიულად მიდგომაში რას გულისხმობთ?

- რაგბი საქართველოში პროფესიული უნდა გახდეს. რაგბს მარტო სიყვარულის გამო არ უნდა თამაშობდნენ. საჭიროა სტადიონები, სათანადო საწვრთნელი პირობები, რომლებზეც კარგი თაობები გაიზრდება. ცუდი თაობა არც ახლა მოდის, მაგრამ როცა არჩევანის წინ დგებიან, სწავლა თუ რაგბი, უმრავლესობა სწავლას ამჯობინებს, რადგან რაგბიში მომავალს ვერ ხედავენ. ასე იკარგება ძალიან ბევრი ნიჭიერი მოთამაშე.

რაც შეიძლება მეტი უნდა ვითამაშოთ ირლანდიის, საფრანგეთისა და არგენტინის დონის გუნდებთან. ერთ-ერთი მიზეზი, რატომ ვერ მოვუგეთ ირლანდიას, სწორედ ასეთ გუნდებთან თამაშის გამოუცდელობა იყო.

- არადა, ირლანდიასთან სათამაშოდ, ნამიბიისგან განსხვავებით, მოსაგებად არ გასულხართ.

- შინაგანად ჩვენ ყველა თამაშზე მოსაგებად გავდივართ. ისე თამაში შეუძლებელია. გვინდოდა, ირლანდიელებთან მაქსიმალურად კარგად გვეთამაშა. დასაწყისში მოგებაზე არ გვიფიქრია, მაგრამ მერე და მერე გამოჩნდა, რომ მოგებაც შეიძლებოდა. ძალიან გულდასაწყვეტია, ეს რომ ვერ შევძელით. ბურთის ფლობა, სათამაშო უპირატესობა ჩვენს მხარეზე იყო. 25 ათასმა ირლანდიელმა გულშემატკივარმა მატჩის შემდეგ ფეხზე მდგომმა ოვაციები გაგვიმართა. სასტუმროში მოდიოდნენ, გვილოცავდნენ კარგ თამაშს, გვაქებდნენ და გვამხნევებდნენ.

ასეთი დამარცხებები თუ არ ვიწვნიეთ, ისე დიდ გამარჯვებებს ვერ მივაღწევთ. ჩვენ ახლა სწავლის პროცესში ვართ, ნელ-ნელა ვიზრდებით.

- ყველაზე მეტად რამ მოახდინა თქვენზე შთაბეჭდილება მსოფლიო თასზე?

- ყველაზე მეტად რაც დამამახსოვრდა, ეს ნამიბიის ნაკრებთან თამაშისწინა ვითარება იყო. საფრანგეთში მამა ილია ნასიძე ჩამოვიდა, რომელმაც ხატი ჩამოასვენა და სასტუმროში მატჩის წინა დღეებში ბევრს ვლოცულობდით. ჩვენზე ამით იმხელა მადლი გადმოვიდა, რომ თამაშზე გასულებს ერთი წამითაც არ გვეპარებოდა ეჭვი გამარჯვებაში. ეს განწყობა, იქ შექმნილი აურა არასოდეს დამავიწყდება.

- ადგილობრივი გულშემატკივრები საკმაოდ აქტიურად ქომაგობდნენ ჩვენს ნაკრებს. რატომ?

- თავიდან რომ ჩავედით, ბევრისთვის საქართველო უცნობი ქვეყანა იყო. ზოგი რუსეთთან გვაკავშირებდა, ზოგიც სომხეთთან. ირლანდიისა და არგენტინის ნაკრებებთან თამაშის შემდეგ, ვითარება რადიკალურად შეიცვალა. ფრანგებმა ძალიან დიდი სითბო და სიყვარული გამოიჩინეს ჩვენს მიმართ. მათი ყურადღება ხანდახან შემაწუხებელიც იყო, მაგრამ ძალიან სასიამოვნოც, მათი დამოკიდებულება, ინტერესი დამატებით სტიმულს გვაძლევდა.

- მსოფლიო რაგბის მამები მომდევნო მსოფლიო თასისთვის გუნდების რაოდენობის შემცირებას აპირებენ. რა დამატებით სირთულეებს შეუქმნის ეს ჩვენს ნაკრებს?

- თუ გუნდების რაოდენობა შემცირდა, ჩვენი დონის გუნდებისთვის ეს ძალიან ცუდი იქნება. ამიტომ ახლავე, დღეიდანვე უნდა შემუშავდეს მომდევნო ოთხი წლის პროგრამა, თორემ მსოფლიო თასზე მოხვედრა ძალზედ გაგვიჭირდება. ძალიან ბევრი თამაშის გამართვა მოგვიწევს, სადაც ყოველთვის თანაბრად ძლიერი შემადგენლობით უნდა ვითამაშოთ, ამისთვის კი სათანადოდ გრძელი სკამია საჭირო.

საფრანგეთის მსოფლიო თასის შემდეგ რამდენიმე მორაგბემ ნაკრებიდან წასვლა გადაწყვიტა. ილია ზედგინიძე, ილია მაისურაძე, გია ლაბაძე, პალიკო ჯიმშელაძე, ვიქტორ დიდებულიძე და ზურაბ მჭედლიშვილი ძალიან დიდი ძალა ჩვენი გუნდისთვის. ამათ სასწრაფოდ სრულფასოვანი შემცვლელები სჭირდებათ. ზედგინიძის სახით კი უდიდესი კაპიტანი დავკარგეთ. ის ჩემთვის შეუცვლელი იქნება.

- რაგბის მიმართ ყურადღებას უკვე სახელმწიფოც სერიოზულად იჩენს, დაგეგმილია რამდენიმე პროექტის განხორციელება...

- ჩემთვის ეს ძალიან სასიხარულო ამბავია. თუმცა სახელმწიფომ პირველ რიგში, ჯერ საქმე უნდა გვიჩვენოს. ათი სტადიონი თუ არა, 4-5 მოედანიც რომ გაკეთდეს, დასაწყისისთვის ცუდი ნამდვილად არ იქნება. რაც მთავარია უდიდესი ყურადღება სჭირდება შიდა ჩემპიონატს. აქ უნდა გაიზარდოს ახალგაზრდობა, ეს იქნება ბაზა საიდანაც ეროვნული ნაკრები შეივსება. სხვა გზა უბრალოდ არ არსებობს.

ბესიკ ჯანგავაძე

საქართველო-საფრანგეთი

ფიჯელები მარსელში

ოთხი მეოთხედი

მეოთხედფინალი

6 ოქტ, 17:00, მარსელი
ავსტრალია-ინგლისი

6 ოქტ, 23:00, კარდიფი
ზელანდია-საფრანგეთი

7 ოქტ, 17:00, მარსელი
სამხ.აფრიკა-ფიჯი

7 ოქტ, 23:00, სენ დენი
არგენტინა-შოტლანდია

ხვალ პირველი ორი მეოთხედფინალია, მარსელსა და კარდიფში. ყველაზე საინტერესო ორი მეოთხედფინალი. გუშინ მეოთხე გუნდმა, ავსტრალიამაც გამოაქვეყნა შემადგენლობა, ინგლისს კი უკვე გამოცხადებულ გუნდში ერთი კაცი გამოსაცვლელი გაუხდა.

გუშინდელი ვარჯიშზე **ენდი ფარელმა** ფეხის კუნთი დაიჭიმა და ვერ ითამაშებს. წესით, ფარელი 12 ნომრად **ოლი ბარკლის** უნდა შეეცვალა, მაგრამ ხმა დაირხა, რომ ბარკლისაც ფეხი სტკივა. მორაგბემ დაადასტურა, რომ ოთხშაბათის ვარჯიშის შემდეგ ფეხს მართლა ვერ ხმარობდა, მაგრამ ხუთშაბათს სრულიად ჯანსაღი იყო და სიარული თავისუფლად შეეძლო. - ძალიან მეწყინება, თუ შემადგენლობაში ვერ მოვხვდებიო, თქვა ბარკლიმ, ხოლო მწვრთნელმა **ბრაიან ეშტონმა** შემცვლელის ვინაობა დღეს, ნაშუადღევს დანიშნულ პრესკონფერენციაზე უნდა გამოაცხადოს. არჩევანი ასეთია - ბარკლი, 36 წლის **მაიკ ქეთი** და **ჯონი ვილკინსონის** თანაკლუბელი, **ტობი ფლუდი**. ფარელისა და ბარკლის ტრავმა ამ მსოფლიო თასზე მეექვსეა ინგლისის უკანახაზელთათვის - ამ ორამდე ვილკინსონი, **ჯეიმი ნუნი, მარკ კუეტო** და **ჯეისონ რობინსონი** იყვნენ დაშავებულთა სიაში. რობინსონი მოკეთდა და ავსტრალიასთან ფულბეკად იდგება, ფლუდი საფრანგეთში ჯეიმი ნუნის შემცვლელად ჩამოვიდა და ჯერ არ უთამაშია, ქეთი კი სამხრეთ აფრიკასთან 0:36 განადგურების შემდეგ აღარ გამოჩენილა 22 კაცში.

ავსტრალიელთა მწვრთნელმა **ჯონ კონოლიმ** ჩემპიონატის საუკეთესო მელელოვე დრიუ მიჩელი სკამზე დასვა და მას **ადამ ეშლი-კუპერი** ამჯობინა. შემადგენლობა ასეთია:

ავს: 15. ქრის ლეითემი 14. ადამ ეშლი-კუპერი 13. სტირლინგ მორტლოკი (კაპ) 12. მეტ გიტო 11. ლოტე ტუკირი 10. ბერიკ ბარნსი 9. ჯორჯ გრეგანი; 1. მეტ დანინგი 2. სტივენ მური 3. გაი შეპერდსონი 4. ნეითან შარპი 5. დან ვიკერმანი 6. როკი ელსომი 7. ჯორჯ სმითი 8. ვაიკლიფ პალუ / 16. ადამ ფრეიერი 17. ალ ბაქსტერი 18. ჰიუ მაკმენიმენი 19. სტივენ ჰოილზი 20. ფილ ვოო; 21. ჯულიან ჰაქსული 22. დრიუ მიჩელი.

კონოლიმ ბრძანა, რომ ლელოს გატანა **ეშლი-კუპერსაც** კარგად შეუძლია (ამ მსოფლიო თასზე მან ფიჯი და იაპონია დაალელოვა), მასსა და მიჩელს შორის დიდ განსხვავებას ვერ ხედავს და ამიტომ არჩევანის გაკეთება გაუჭირდა კიდეც. თვითონ ეშლი-კუპერი გაკვირვებულიც კი დარჩა, რომ მიჩელის ადგილი დაიკავა. დაბრუნდა კაპიტანი **სტირლინგ მორტლოკი**, რომელმაც მხრის ტრავმის გამო ჯგუფურ სტადიაზე მხოლოდ ორჯერ ითამაშა, 10 ნომრად კი რჩება 21 წლის **ბერიკ ბარნსი** - ეს კაცი მწვრთნელმა 30 მოთამაშეს შორის ყველაზე ბოლოს აირჩია და ახლა კმაყოფილია, რომ ახალბედამ იმედი გაუმართლა - ბარნსმა იაპონიას 2 ლელო გაუტანა და თითო არეკნი შეუგდო უელსსა და ფიჯის.

საფრანგეთი კარდიფში მიემგზავრება "ოლ ბლექსის" დასახვედრად. ყველა გააკვირვა **ბერნარ ლაპორტის** გადაწყვეტილებამ 15 ნომრად **დამიენ ტრაის** არჩევის გამო. გასაკვირი უფრო ის იყო, რომ მწვრთნელს 30 კაცში სულ ერთი სპეციალისტი ფულბეკი, **კლემან პუატრენო** ჰყავდა. არგენტინასთან ამ ადგილზე გარემარში **სედრიკ ემონსი** იდგა, მომდევნო სამი მატში - პუატრენო. ტრაის ნაკრებში რამდენჯერმე დაუყენებიათ 10 ნომრად, ფულბეკად კი არც ნაკრებში და არც "ბიარიცში" არასოდეს უთამაშია. თუმცა მისი წინა კლუბი იყო "პო", სადაც, ახალგაზრდობისას მოუსინჯავს კიდეც 15 ნომერზე თამაში. მწვრთნელს მისი პოზიციური ალღოს, ძალიან ძლიერი ფეხისა და დიდი გამოცდილების იმედი აქვს. ტრაის აქამდე ხუთჯერ უთამაშია "ოლ ბლექსის" წინააღმდეგ, თუმცა, ერთი ფრედ ნათამაშევის გარდა, ოთხჯერ - ნაგებულ თამაშში.

22 წლის **ლიონელ ბოსი** კი პირველად ითამაშებს ზელანდიური გუნდის წინააღმდეგ. ჭაბუკთა და ახალგაზრდულ ნაკრებებში ამის შანსი კი ჰქონდა, მაგრამ ორივეჯერ ტრავმირებული იყო. ბოსი 2006 წლის საუკეთესო 21-წლამდელი მოთამაშეა, თუმცა შარშან ვერც წარმოიდგენდა, რომ მსოფლიო თასზე "ოლ ბლექსის" წინააღმდეგ მოუწევდა თამაში. ბოსიმ ძირითადში მოხვედრა ქართველების წინააღმდეგ ბრწყინვალე თამაშის შემდეგ დაიმსახურა, ჩვენთან 2 ლელოს გამტანმა **ქრისტოფ დომინისიმ** კი მხოლოდ სკამზე იშოვა ადგილი.

ფრანგების 10 და 15 ნომრებზე კაცზე დიდად იქნება დამოკიდებული მეოთხედფინალის ბედი. მწვრთნელის ტაქტიკა ნათელია - ტრაიმ და ბოსიმ რაც შეიძლება ხშირად და ღრმად უნდა გადაკიდონ ბურთი ზელანდიელთა ნახევარზე, რათა ჩემპიონატის მთავარმა ფავორიტმა უმეტესი დრო საკუთარ ნახევარზე გაატაროს და იძულებული გახდეს, იქიდან შეუტიოს.

კვირას მოთამაშე ოთხი გუნდიდან ჯერ არცერთის შემადგენლობა არ ვიცით. სამხრეთი აფრიკა, რა თქმა უნდა, ფავორიტია ფიჯელებთან, რომლებიც, ამის მიუხედავად, არხეინად არიან და მარსელის ხედებით ტკბებიან (ფოტოზე).

ფავორიტია არგენტინაც, თუმცა "პუმები" ძალიან უფრთხიან **ქრის პატერსონს**. შოტლანდიელს ასპროცენტიანი მაჩვენებელი აქვს ამ მსოფლიო თასზე - 15 დაარტყა, 15 გაიტანა და უამისოდაც მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო დამრტყმელია. მის წინააღმდეგ ერთადერთი ტაქტიკა შეიძლება არსებობდეს - მაქსიმალურად წესიერი თამაში დაცვაში და მინიმალურად დაჯარიმება. არანაკლები ბომბარდირი ჰყავს არგენტინასაც - **ფელიპე კონტეპომი**, მაგრამ მას გრიპი აქვს და გუშინ საღამომდე არავის დაუდასტურებია, რომ შოტლანდიასთან თამაშს შეძლებს.

ნიკოლოზ აბაშიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1. ერთი საქმის ისტორია

გამოძიება დასრულდა, დაივიწყეთ სენა...

"ფორმულა1"-ის ბოლიდი წარწერით Rothmans არანორმალური სიჩქარით მიიწევს წინ. ერთი წრე, მეორე, მესამე... მეშვიდე წრეზე ბოლიდს რაღა უცნაური რამ ემართება: იმის ნაცვლად, რომ მოსახვევში შევიდეს, პირდაპირ სვლას აგრძელებს და დიდი სიჩქარით ასკდება ბეტონის კედელს...

ბოლონიის გენერალური პროკურორი **მაურიციო პასარინი** გარკვეული დროის განმავლობაში ეკრანზე მეტალის უაზრო გორას აკვირდება, რომელიც მომხიბვლელი ბოლიდისგან წარმოიშვა. შემდეგ "პაუზას" კლავიშს აჭერს თითს. მსხვილი ხედით აღებული პილოტი სიცოცხლის ნიშანწყალს არ იძლევა. ორწლიანი გამოძიების განმავლობაში, მაურიციომ ამ ფირის ყველა კადრი ზედმიწევნით შეისწავლა - ხუთი წუთის შემდეგ ტრასაზე "სასწრაფო დახმარების" ვერტმფრენი დაეშვება, დაზარალებულს ფრთხილად ამოიყვანენ მანქანიდან და უახლოეს კლინიკაში გადაიყვანენ. რამდენიმე წუთის შემდეგ რბოლა გაგრძელდება და 4.20 საათზე დასრულდება; პირველ ფინიშზე **შუმახერი** მივა, თუმც განსაკუთრებულ სიხარულს გერმანელი პილოტი არ გამოხატავს. 6.40-ზე კლინიკიდან **აირტონ სენას** დაღუპვის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია მოვა. ეს მოკლე ტრაგიკული ცნობა მთელს მსოფლიოს მოივლის და დღის მთავარი სიახლე გახდება. დაილუპა პლანეტის ყველაზე ცნობილი და ნიჭიერი ავტომრბოლი. მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, "ბრაზილიელი ჯადოქარი", რომლის სახელიც კარგა ხნის წინათ იქცა სავაჭრო მარკად.

როცა პასარინის იტალიის პატარა ქალაქ იმოლაში მომხდარი ამ ავარიის გამოძიება დაავალეს. მან უარის თქმა დააპირა და ამისთვის ათასგვარ მიზეზს ეძებდა. მაგრამ მიზეზის მოძებნა არც ისე ადვილი იყო. სენას საქმე, რომელიც არანგანზრახ მკვლელობის კატეგორიას მიაკუთვნეს, წლის მოვლენად იქცა, ხოლო იმის გამო, რომ ეს ყველაფერი მაურიციოს ტერიტორიაზე მოხდა, საქმეც სწორედ მას უნდა წარემართა.

მკვლელობა? როცა მაურიციოს პირველად მიუტანეს საქმის მასალები, მან საკუთარ ყურებს არ დაუჯერა. სადაური მკვლელობაა ის, რომ პილოტი რბოლის დროს დაიმტვრა? ხომ შეიძლებოდა, მას შეცდომა დაეშვა? ვერ გათვალა სიჩქარე, რისკზე წავიდა - ეს ხომ შეჯიბრია, რბოლა არანორმალური სიჩქარით! ჩვეულებრივი უბედური შემთხვევაა და სხვა არაფერი. მაგრამ მაურიციოს თანაშემწემ, ახალგაზრდა იურისტმა, რომელიც ტელევიზიით ფორმულა 1-ის არცერთ რბოლას არ აცდენდა, უცებ აუხსნა შეფს, რომ უბედური შემთხვევა ტრასაზე შეიძლებოდა ყველას მოსვლოდა, ოღონდ არა სენას.

- იცით რაშია საქმე, აირტონი საუკეთესო პილოტი იყო, - აღგზნებული ლაპარაკობდა იურისტი.- სენა შეცდომას არ უშვებდა. არასდროს! ის ამ ტრასას დაწვრილებით იცნობდა. იმის წარმოდგენაც კი შეუძლებელია, რომ ამ მოსახვევში სენა შეცდომას დაუშვებდა. აქ რაღაც არ არის წესრიგში. დამიჯერეთ!

ჩაფიქრებულმა მაურიციომ კეფა მოიფხანა: მართლაც გამოძიება არც ისე იოლი იქნება, როგორც თავიდან ფიქრობდა.

გაზეთებში ამ ტრაგედიის კომენტარების გაცნობისა და ავარიის მოწმეთა პირველი ჩვენებების შესწავლის შემდეგ, პასარინიმ ძველი ჩვევა არ დაივიწყა და ფურცელზე მომხდარის ყველანაირი შესაძლო ვერსია ჩამოწერა. პირველი - ადამიანური ფაქტორი: ასეა თუ ისე, პილოტის შეცდომის გამორიცხვა არ შეიძლება. იქვე პროკურორმა ჩაინიშნა - აუცილებელია, რბოლის დროს სენას ფიზიკური მდგომარეობის გარკვევა. ხომ არ იყო იგი დაღლილი, გამოუძინებელი ან რაღაცით შეშფოთებული...

მეორე ვერსია - ტექნიკური გაუმართაობა. იქნებ სენას მანქანაში, გარკვეული ხარვეზები არსებობდა? ეს ვარიანტი მაურიციოს ყველაზე პერსპექტიულად ეჩვენა: შესაძლოა, მექანიკოსებს დაავიწყდათ რაღაცის შემოწმება, იქნებ რაიმე გამოეპარათ ან გამორჩათ. ამას კი, დაზიანება, სისტემის მწყობრიდან გამოსვლა და ავარია მოჰყვა.

მესამე პუნქტის ჩაწერისას პროკურორი შეიჭმუხნა - "დივერსია": დაუჯერებელია, მაგრამ მაინც... ნაცნობმა ადვოკატმა, რომელიც სპორტთან დაკავშირებულ საქმეებს წარმართავდა, მაურიციოს არაერთი საშინელი ისტორია მოუყვა იმის შესახებ, სხვადასხვა ჩემპიონატებსა თუ ოლიმპიადებზე როგორ შეგნებულად აყენებდნენ ტრავმებს ან უწყობდნენ ავტოკატასტროფებს კონკურენტებს. სენა კი, ბევრს ეჩხირებოდა თვალში: ის საუკეთესო იყო.

დაბოლოს, უკანასკნელი პუნქტი... სჯობს, ის უსახელოდ დავტოვოთ. ჯერჯერობით. პროკურორს მრავალწლიანი გამოცდილება კარნახობდა, რომ გამოძიების მსვლელობისას, შესაძლოა ისეთი დეტალები ამოტივტივდეს, რომელმაც შეიძლება სულ შეცვალოს საქმის მსვლელობა...

■ ■ ■

მეორე დღეს, იმისთვის, რომ მომხდარის რეალური სურათი ნათლად წარმოედგინა, პასარინი ავარიის ადგილას გაემგზავრა. იმოლაში იგი ერთადერთხელ იყო ნამყოფი, როცა პროკურორის თანამდებობაზე ახალი დანიშნული იყო. მაშინ ეს პატარა ქალაქი მას არაფრით დაამახსოვრდა: პატარა საკურორტო ადგილი, რამდენიმე რესტორანი, სავაჭრო რიგი... ადგილობრივი პოლიციელები მონყენილობისგან ფრიად შეწუხებულნი იყვნენ: მთვრალების ჩხუბის გარდა, მათ ტერიტორიაზე სერიოზულ ინციდენტებს ადგილი არ ჰქონდა. მაურიციომ მაშინ გაიფიქრა: იმოლასთან დაკავშირებით მას პრობლემები არ ექნებოდა: როგორც აღმოჩნდა, პროკურორი მწარედ ცდებოდა.

მას შემდეგ, რაც აქ ავტოდრომი ააშენეს, ქალაქი მნიშვნელოვნად გადასხვაფერდა. ახლა, წელიწადში ერთხელ, იმოლა მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში ექცევა - აქ პლანეტის საუკეთესო მრბოლელები, გულშემატკივრები, ჟურნალისტები და ტურისტები სან მარინოს გრან-პრიზე იკრიბებიან. გარდა ფორმულა 1-ისა, აქ იმართება სხვა რბოლებიც: ტრასის შესანახად ხომ ფულია საჭირო.

დღეს აქ სიჩუმეა: პუბლიკა და გუნდები დაიშალნენ და თავთავიანთ გზას გაუდგნენ. მხოლოდ ქარი აფრიალებს ბრაზილიის პატარა დროშებს, რომლებიც სენას გულშემატკივრებს ეჭირათ ხელში. პასარინი ერთ-ერთ ტრიბუნაზე ავიდა: მის წინ ასფალტის დაკლაკნილი ბილიკი გადაიშალა - მარცხნივ, მარჯვნივ, ისევ მარცხნივ. მაურიციომ უკვე იცოდა, რომ ყოველ მოსახვევს თავისი სახელი ჰქონდა: იმას, რომელზეც სენა დაიმტვრა, ტამბურელო ერქვა. იქ მისულმა პროკურორმა ყურადღებით მიიხედ-მოიხედა. ტელეეკრანზე მაურიციოს ეს მოსახვევი საკმაოდ ფართოდ ეჩვენებოდა, სინამდვილეში კი, ტამბურელო ძალიან ვიწრო ყოფილა და პილოტს, რომელიც ვერ მოასწრებს სიჩქარის დაგდებასა და მარცხნივ მკვეთრად მოხვევას, წინ ბეტონის კედელი ელოდება. საქმის მასალებში ზუსტი ციფრები ფიგურირებდა: ტამბურელოში სენა 310 კმ/სთ სიჩქარით შევიდა. დარტყმა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ბეტონის კედელზე ასხლეტილი ბოლიდი ტრასის მოპირდაპირე მხარეს გადავარდა. პროკურორი შეეცადა წარმოედგინა ეს სიჩქარე, მაგრამ არაფერი გამოუვიდა: მისი "ფიატი" 200 კმ/სთ სიჩქარეზე აუცილებლად დაიშლებოდა ნაწილებად. პასარინიმ კედელს მიაპყრო მზერა: მასზე ორი ღრმა ნაჭდევი დარჩა. მათ ქვევით კი, ფერადი ცარცით ეწერა: "სენა ყოველთვის". "და მართლაც, ყოველთვის - გაიფიქრა პასარინიმ და გააჟრჟოლა...

შემდეგ პროკურორი ბოქსებისკენ გაემართა, საიდანაც ბოლიდები ტრასაზე გადიან ხოლმე. რბოლის დროს, აქ გახურებული მუშაობა მიდის: მექანიკოსები მანქანების გარშემო ფუსფუსებენ; პილოტები მონიტორებზე სწავლობენ წინა გარბენის შედეგებს; ბოქსებში შეღწევას ცდილობენ ჟურნალისტები... დღეს აქ სიჩუმეა, მაგრამ ბოქსში, სადაც ცოტა ხნის წინათ სენას ბოლიდი ეყენა, პასარინიმ ადამიანი შეამჩნია. ის სენას გუნდის - "უილიამსის" მექანიკოსი აღმოჩნდა, რომელიც წასასვლელად ემზადებოდა. პროკურორის საბუთის გაცნობის შემდეგ, უცნობი მოულოდნელად დაიძაბა (ეს მომენტი არ გამოპარვია გამოცდილ გამომძიებელს) და უცებ მოეშვა, როცა გაიგო, რომ ზორბა იტალიელს ტექნიკური წვრილმანები არ აინტერესებდა - მას მხოლოდ იმის გაგება სურდა, რა ადამიანი იყო სენა. უყვარდა თუ არა რისკი? ადვილად შედიოდა თუ არა კონტაქტში თუ პირიქით, უხმაურო იყო? როგორ იქცეოდა სტარტის წინ?

მექანიკოსი ჩაფიქრდა და გაურკვევლად გაშალა ხელები.

- რა გითხრათ? დიახ, მას დიდი ხანია ვიცნობდი. ფორმულა 1 - ეს დიდი კლუბია: ყველა ერთმანეთს იცნობს, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, ერთმანეთი არ უყვართ ხოლმე. არა, სენა არ იყო მხიარული პიროვნება და არ უყვარდა ხმაურიანი შეკრებები. მას ერთგვარად სახელიც ჰქონდა გატეხილი: ამბობდნენ, რომ სნობია, ხალხი ეზიზღება, ქედმაღალია და გარშემო ვერავის ამჩნევს. მაგრამ მე ვმუშაობდი მის გვერდით და ერთს გეტყვით: უბრალოდ, მას მანქანები უფრო აინტერესებდა, ვიდრე ხალხი. ეს იყო და ეს. ბოლიდებში მას უფრო მეტი ესმოდა, ვიდრე მე - არადა, მე ხომ პროფესიონალი მექანიკოსი ვარ. აირტონმა იცოდა ყველა მანქანის მაქსიმალური სიჩქარის ზღვარი, როგორ მოიქცეოდა ბოლიდი ამა თუ იმ მოსახვევში, სად როგორი მოჭიდება ჰქონდა ტრასასთან... შეეძლო ჩამჯდარიყო აბსოლუტურად უცნობ ბოლიდში, გაეარა მასზე ერთი წრე და ეთქვა, რა უჭირს მანქანას და სად რა არის დასახვენი... იგი მხოლოდ ამით ცხოვრობდა. თუ ვინმე ხელს შეუშლიდა, სენა საშინლად ბრაზდებოდა. საერთოდ კი, ბოროტი და უხეში ადამიანი არ ეთქმოდა - მშვიდი და ზრდილობანი ბიჭი იყო. მაგრამ როგორც კი საჭეს მიუჯდებოდა, მთლიანად იცვლებოდა.

სენა ჩემპიონობისთვის დაიბადა და მთელი ცხოვრება ამას მიუძღვნა. ტრასის მიღმა აირტონი ერთგვარად დაკარგული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა - როგორც ლოკოკინა, რომელიც ნიჟარიდან გამოიყვანეს. მაგრამ ბოლიდის გვერდით ის მშვიდდებოდა. ყველაფერს ეხებოდა, ამოწმებდა და მე მგონი, ყნოსავდა კიდეც. შეეძლო ისეთი წვრილმანი დაენახა, რომელსაც მე ვერასდროს მივხვდებოდი: ერთხელ, მახსოვს, თვალით განსაზღვრა, რომ ერთი ბორბალი მეორეზე ფართო იყო. იგი მართალი აღმოჩნდა - განსხვავება ერთ მილიმეტრში იყო!

- გამოდის, რომ სენას მანქანა ტრასაზე რაიმე ხარვეზით ვერ გავიდოდა? - მოჩვენებითი გულგრილობით იკითხა პასარინიმ.

მექანიკოსს ეს შეკითხვა არ მოეწონა, მაგრამ მაინც უპასუხა.

- საერთოდ, რბოლის წინ ყველა მანქანა დაწვრილებით მოწმდება. პირადად მე, ყველაფერს ვაკონტროლებდი. ასეთ სიჩქარეზე რაიმე დაზიანება - საუკეთესო შემთხვევაში სერიოზული ავარიით სრულდება, უარეს შემთხვევაში... და თუ მაინც ვივარაუდებთ რაიმე ხარვეზს ან უყურადღებობას - ასეთი ვარაუდი კი, ძალიან ცუდად ჟღერს ბატონო პროკურორო - მაშინ სენას მანქანაზე ეს აბსოლუტურად გამორიცხული იყო. ის პირველივე წრის გავლისთანავე მიხვდებოდა, რომ რაღაც არ იყო წესრიგში.

- და არავინ გვერდიდან... დაიწყო პასარინიმ, მაგრამ მექანიკოსმა მკვახედ შეაწყვეტინა.

- მომისმინეთ, საით მიგყავთ საუბარი?! რბოლის დროს მუშაობს უსაფრთხოების სამსახური, ბოქსები - განსაკუთრებული ყურადღების საგანია და იქ უცხოს არავის უშვებენ. თქვენ როგორ ფიქრობთ, ვიღაცა მოვიდა ქანჩით ხელში და ბორბალი მოუშვა?! როგორ წარმოგიდგენიათ ეს პროცესი. აი, რას გეტყვით: სენა საუკეთესო პილოტი იყო, ვინც კი ოდესმე მინახავს და თუ თქვენ ფიქრობთ, რომ ჩვენ ის დავლუპეთ (და თქვენ სწორედ აქეთკენ მიგყავთ საუბარი), მაშინ მე აღარ მსურს საუბრის გაგრძელება. თქვენი უფლებაა, გამომიძახოთ დაკითხვაზე, ახლა კი, მომიტევეთ.

მექანიკოსი ადგა და გასასვლელისკენ გაემართა. ამ დროს პასარინიმ ძველი ილეთი გამოიყენა - მან ხმამაღლა მიაძახა მოსაუბრეს:

- ე.ი. თქვენ ამბობთ, რომ არაფერი შეგიცვლიათ მანქანაში?

ზურგი შეინძრა. მექანიკოსი მობრუნდა და მაურიციომ მომენტალურად იცნო სახის ეს გამომეტყველება: ასეთი სახე აქვს ადამიანს, რომელიც ფიქრობს - მოიტყუოს თუ სიმართლე სანახევროდ თქვას. საკმაოდ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, მექანიკოსმა თითქოს რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა და გაიმეორა: *"არ მსურს ამ საუბრის გაგრძელება"* - თუმცა, ამჯერად გაცილებით არადამაჯერებელი ტონით.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



NHL. ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ ᲬᲘᲜ. ᲬᲧᲜᲐᲠᲘ ᲝᲙᲔᲐᲜᲘᲡ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

ᲖᲕᲘᲒᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲒᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ

ᲡᲐᲜ ᲮᲝᲡᲔᲡ ᲓᲐᲛᲠᲢᲧᲛᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲣᲚᲘ - ᲢᲝᲠᲜᲢᲝᲜᲘ, ᲛᲐᲠᲚᲝ ᲓᲐ ᲩᲘᲩᲣ

ᲐᲜᲐᲰᲔᲘᲛᲘ

თამაშის სტილი: უკომპრომისო დაცვა და ჩეკერების შეტევაში ნაყოფიერად ჩართვა. ამან გუნდს შარშან სტენლის თასი მოუტანა

ძლიერი მხარე: სკოტ ნიდერმაიერის არყოფნაშიც, "ანაჰაიმს" ლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო დაცვა ჰყავს, სადაც ვარსკვლავი კრის პრონგერია

სუსტი მხარე: ტეემუ სელიანეს გარეშე, გუნდის შეტევა უკბილოდ გვეჩვენება. ტოდ ბერტუცი პირველ სამეულში? სასაცილოა...

MVP: რაიან გეტცლაფი

ვერ გაამართლებს: ტოდ ბერტუცი

იმედი: ბობი რაინი

მოქმედი ჩემპიონი სეზონს ორი მეგავარსკვლავის (ფორვარდი **ტეემუ სელიანესა** და მცველი **სკოტ ნიდერმაიერის**) გარეშე ხვდება და თუ სასწაული არ მოხდა, მათ გარეშე მოუწევს ჩემპიონატის ჩატარება. ამ ორი მონსტრის შეცვლა შეუძლებელია და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ გუნდმა "ედმონტონში" გაუშვა უდიდესი პერსპექტივის მქონე ფორვარდი **დასტინ პენერი**, "დაქსს" ტიტულის დაცვა გაუჭირდება. მართალია, ჯერაც გუნდშია **კრის პრონგერი**, რომელიც **ნიკლას ლიდსტრიომთან** ერთად ლიგის უძლიერესი მცველია, თუმცა დანაკარგი მაინც საკმაოდ დიდია. "დეტროიტიდან" აყვანილი მცველი, კარგი მექუსე **მატიო შნაიდერი** სეზონს ტრავმირებული ხვდება, პრონგერის შემდეგ კი ყველაზე საიმედო მცველი **ფრანსუა ბოშემენია.**

ᲡᲐᲜ ᲮᲝᲡᲔ

თამაშის სტილი: გუნდი დიდებულად ინარჩუნებს შაიბას და ძალიან ცოტა შეცდომას უშვებს

ძლიერი მხარე: ჯო ტორნტონისა და პატრიკ მარლოს დუეტი, თავკაცი რონ უილსონი

სუსტი მხარე: უმცირესობაში თამაში გუნდისთვის შარშან დიდი პრობლემა იყო

MVP: ჯო ტორნტონი

ვერ გაამართლებს: ჯერემი რენიკი

იმედი: მილან მიხალეკი

მთავარი დილემა - რატომ არ უყვარს კარში დარტყმა **ჯო ტორნტონს**? მისივე თქმით, ზუსტი პასის გაკეთება ბევრად სასიამოვნოა, ვიდრე გოლის გატანა, მაგრამ რა ქნას "შარქსმა", როცა ჯოს 90-100 პასის გარდა, მისი გოლებიც ჰაერივით სჭირდება?

ტორნტონი "პინგვინ" **სიდნი კროსბის** რეგულარულში მთავარი მექულის ტიტულს შეეცილება, **პატრიკ მარლო** უმრავლესობაში კვლავ "სან ხოსეს" მთავარი ძალა იქნება, **მილან მიხალეკის** სახით კი, კალიფორნიელებს მომავალი ლიდერი და უსაზღვრო ნიჭის მქონე უნივერსალი ჰყავთ. ჩემპიონობის რეალური კანდიდატი.

ᲓᲐᲚᲐᲡᲘ

თამაშის სტილი: დაცვითი "ხაფანგებით" გუნდი მთელი მატჩის განმავლობაში მჭიდრო პრესინგს თამაშობს

ძლიერი მხარე: ლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო დაცვა

სუსტი მხარე: 217 შაიბით "დალასი" ლიგაში ოდენ 21-ე იყო, ანუ შეტევა

MVP: მარტი ტურკო

ვერ გაამართლებს: მაიკ მოდანო

იმედი: მაიკ სმიტი

1998-99 წლების სეზონში, "სთარზმა" არაჩვეულებრივი დაცვით სტენლის თასი მოიპოვა და მას მერე, ვინც არ უნდა ედგას ტეხასელებს სათავეში, გუნდის თამაშის სტილი არ შეცვლილა. უდიდესი ძალაა შესანიშნავი მეკარე **მარტი ტურკო**, რომელსაც 2002-03 წლებიდან მოყოლებული, 147 გამარჯვება აქვს მოპოვებული, რაც **მარტინ ბროდოს** (170) შემდეგ, ლიგაში საუკეთესო შედეგია. **იერე ლეჰტინენი** და **ბრენდენ მოროუ** დღესაც საუკეთესო დამცველ ფორვარდებში შედიან, ხოლო მცველი **სერგეი ზუბოვი** კი, შეტევაში ბევრ თავდამსხმელზე პროდუქტიულია. გუნდი ვერა და ვერ შეელია ორგანიზაციის სიმბოლოდ ქცეულ **მაიკ მოდანოს**. ძვირადღირებული და რეგრესირებადი ფორვარდის ნაცვლად, მინიმუმ ორი კარგი შემტევის აყვანაა შესაძლებელი. 37 წლის მოდანომ, შარშან, ტრავმების გამო მხოლოდ 58 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა.

ᲚᲘᲒᲘᲡ ᲐᲜᲯᲔᲚᲔᲡᲘ

თამაშის სტილი: შემადგენლობა რადიკალურად შეიცვალა და რთულია ამის თქმა

ძლიერი მხარე: დაცვაში კარგადაა შეზავებული ახალგაზრდული ფინი და ვეტერანების გამოცდილება

სუსტი მხარე: მეკარეები და არასტაბილური თავდასხმა

MVP: მაიკლ კამალერი

ვერ გაამართლებს: ლადისლავ ნადი

იმედი: ანჟე კოპიტარი

მაიკლ კამალერიმ თავის მეორე სრულ სეზონში გატანილი შაიბებითა (34), შედეგიანი გადაცემებითა (46) და ქულებით (80) პირადი რეკორდები დაამყარა. თუ იგი ჯანმრთელობას შეინარჩუნებს, მაშინ მინიმუმ 85-90 ქულასაც შესწვდება. **ალექს ფროლოვი** "მეფეების" მეორე საუკეთესო შემტევია და სპეცბრიგადებში **ანჟე კოპიტართან** და **მიხალ ჰანძუშთან** ერთად, ძალიან სახიფათო ტრიოს შექმნის. 20 წლის კოპიტარს შარშან ტრავმა რომ არ მიეღო, შესაძლოა საუკეთესო დებიუტანტის ჯილდოს მფლობელიც გამხდარიყო. უკლო **ლადისლავ ნადიმ**. ვინ ჩადგება კარში: **ჯეისონ ლაბარბერა** თუ 19 წლის **ჯონათან ბერნიე**?

ᲤᲘᲜᲘᲥᲘᲡᲘ

თამაშის სტილი: აგრესიული დაცვა, რადგან შარშან გუნდს სხვა არაფერი გამოსდიოდა.

ძლიერი მხარე: დაცვა. კიტ ბალარდისა და ზბინეკ მიხალეკის დუეტი

სუსტი მხარე: სპეცბრიგადები და მეკარეები

MVP: შეინ დოუნი

ვერ გაამართლებს: ნიკო კაპანენი

იმედი: კიტ ბალარდი.

უეინ გრეცკის გუნდს აკლია ყველაფერი, რაც კი საპლეიოფოდაა საჭირო - გამოცდილება, ძლიერი შეტევა და პირველი მეკარის საიმედო შემცვლელი. სავარაუდოდ, "ფინიქსი" წელსაც 40 და მეტი წაგებით დაასრულებს რეგულარულს, თუმცა **კიტ ბალარდის** სახით, "კოიოტსს" ერთ-ერთი საუკეთესო მცველი ჰყავს. **კერტის ჯოზეფი** ჯერაც გუნდის საუკეთესო მეკარეა, მაგრამ **მარტინ ბროდოსგან** განსხვავებით, "კუჯოს" ასაკის მატება ეტყობა და მთელ ჩემპიონატს მაღალ დონეზე ვეღარ ატარებს.

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ

NHL. ᲠᲔᲒᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

ᲙᲐᲠᲝᲚᲘᲜᲐ-ᲛᲝᲜᲠᲔᲐᲚᲘ 2:3 (Ო)

1:1, 0:0, 1:1, 0:1

გოლები: 1:0 ე. კოული-1 (ე. სტაალი-1, ს. უოკერი-1), 1:1 შმრაიტი-1 (კოვალიოვი-1, მარკოვი-1), 1:2 ს. კოივუ-1 (მარკოვი-2), 2:2 ჰედიკანი-1 (ჯას. უილიამსი-1, ბრინდამორი-1), 2:3 ს. კოივუ-2 (ჰიგინსი-1, რაიდერი-1).

ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘ-ᲐᲜᲐᲰᲔᲘᲛᲘ 3:2 (Გ)

1:0, 0:2, 1:0, 0:0

გოლები: 1:0 ზეტერბერგი-1 (დაციუკი-1, ლიდსტრიომი-1), 1:1 ბერტუცი-1 (პერი-2, ე. მაკდონალდი-3), 1:2 გეტცლაფი-1 (ბერტუცი-1), 2:2 ჰოლმსტრიომი-1 (ზეტერბერგი-1, რაფალსკი-1).

ბულიტები გაიტანეს: ჰუდლერი (დეტროიტი).

ᲢᲝᲠᲝᲜᲢᲝ-ᲝᲢᲐᲕᲐ 3:4 (Ო)

2:2, 1:0, 0:1, 0:1

გოლები: 0:1 ვერმეტი-1, 1:1 ანტროპოვი-1 (ჯ. ბლეიკი-1, სუნდინი-1), 2:1 ანტროპოვი-2 (სუნდინი-2, ვოჟნიევსკი-1), 2:2 ალფრედსონი-1 (ჰიტლი-1, სპეცა-1), 3:2 სტაიანი-1 (გილი-1, ვოჟნიევსკი-2), 3:3 ჰიტლი-1 (მეზაროში-1, ფილიპსი-1), 3:4 ჰიტლი-2 (მ. ფიშერი-1).

ᲙᲝᲚᲝᲠᲐᲓᲝ-ᲓᲐᲚᲐᲡᲘ 4:3

1:0, 3:1, 0:2

გოლები: 1:0 პ. შჩასტნი-1 (ბრუნეტი-1, ბ. კლარკი-1), 2:0 პ. შჩასტნი-2 (ბრუნეტი-2, ჰლინკა-1), 2:1 ჰალპერნი-1 (დელეი-1, ერიქსონი-1), 3:1 პ. შჩასტნი-3 (ჰლინკა-2, ბრუნეტი-3), 4:1 ვოლსკი-1 (ლაპერიერი-1, არნასონი-1), 4:2 ი. იოკინენი-1 (ჰაგმანი-1, ზუბოვი-1), 4:3 ჰაგმანი-1 (ბუშე-1, ი. ლეჰტინენი-1).

ᲤᲐᲥᲢᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ

- "მონრეალმა" გახსნის მატჩში, სამივე გოლი რიცხობრივი უპირატესობისას გაიტანა.

- "კაროლინამ" ზედიზედ მეხუთედ წააგო რეგულარულის პირველი მატჩი.

- "მონრეალის" ჩეხმა ლეგიონერმა **რომან ჰამრლიკმა** NHL-ში მე-1000 მატჩი ჩაატარა. ის მეოთხე ჩეხი ჰოკეისტია, ვინც ამ ზღვარს გადააბიჯა.

■ ■ ■

- "დეტროიტის" 42 წლის მეკარემ **დომინიკ ჰაშეკმა**, ძირითად დროსა და ოვერტაიმში მხოლოდ 15 დარტყმა მოიგერია, სამაგიეროდ, ბულიტების სერიაში "ანაჰაიმს" სამი პენალტი აუღო.

- ჰაშეკის ვიზავიმ, **ილია ბრიზგალოვმა** 40 დარტმა მოიგერია.

■ ■ ■

- "ოტავას" ლიდერ **დენი ჰიტლის** განსაკუთრებით კარგად გამოსდის "ტორონტოს" წინააღმდეგ თამაში - ამ გუნდის წინააღმდეგ 25 მატჩში, ჰიტლის 22 გოლი და 19 შედეგიანი პასი დაუგროვდა.

- "ტორონტოს" ვეტერანმა **მატს სუნდინმა** ორი შედეგიანი პასი გააკეთა და კარიერაში 911 გადაცემა დაუგროვდა. ეს ხუთით ნაკლებია "მეიპლ ლიფზის" ყველა დროის რეკორდზე, რომელიც **დერილ სიტლერს** ეკუთვნის.

■ ■ ■

- ახალ სეზონში პირველი ჰეთ-თრიკის ავტორი, "კოლორადოს" ფორვარდი **პოლ შჩასტნი** გახდა. მან კარიერაში პირველად გაიტანა ერთ მატჩში სამი გოლი.

- "კოლორადოს" რიგებში დებიუტი ჰქონდა ჩეხ **იაროსლავ ჰლინკას**, რომელმაც ორი საგოლე გადაცემა გააკეთა. შარშან, ეს ჰოკეისტი პრაღის "სპარტაში" თამაშობდა და ჩეხეთის ლიგაში, 48 მატჩში 19 გოლი და 38 პასი მიითვალა.

- დალასელმა **ნიკლას ჰაგმანმა** NHL-ში მე-400 მატჩი ჩაატარა.

ᲞᲝᲚ ᲨᲩᲐᲡᲢᲜᲘ

ᲐᲠᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲰᲝᲙᲔᲘ

ᲰᲘᲢᲚᲘ ᲝᲢᲐᲕᲐᲨᲘ ᲓᲐᲠᲩᲐ

ᲒᲣᲨᲘᲜᲓᲔᲚ ნომერში ვწერდით იმის შესახებ, რომ "ოტავა სენატორზი" ვერ ახერხებდა თავის ლიდერთან, **დენი ჰიტლისთან** ახალი კონტრაქტის გაფორმებას. მხარეები მომავალი ხელშეკრულების ფინანსურ დეტალებზე ვერ თანხმდებოდნენ.

მაგრამ რეგულარული ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე, "ოტავასთვის" ყველაფერი კარგად დასრულდა. კლუბმა ჰიტლისთან ახალი, ექვსწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის მიხედვითაც, ჰოკეისტი ჯამში 45 მილიონ დოლარს მიიღებს.

"ბედნიერი ვარ, რომ ასეთი მაღალი დონის ფორვარდის შენარჩუნება შევძელით. დენი უკვე რამდენიმე წელიწადია NHL-ის ერთ-ერთი კაშკაშა ვარსკვლავი გახლავთ", - განაცხადა "სენატორზის" გენერალურმა მენეჯერმა **ბრაიან მიურეიმ**.

ჰიტლი "ოტავაში" 2005 წელს "ატლანტადან" გადავიდა. კანადის დედაქალაქში გატარებული ორი წლის განმავლობაში, მან 50 გოლი გაიტანა და 100-ზე მეტი ქულა დააგროვა.

ᲤᲐᲕᲝᲠᲘᲢᲘ ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘᲐ

ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ საბუკმეიკერო კანტორის, Betfair-ის აზრით, ახალი სეზონის მთავარი ფავორიტი "დეტროიტ რედ უინგზია". სტენლის თასის მოგებაზე ამ გუნდის კოეფიციენტი 11-ს უტოლდება.

"რედ უინგზის" შემდეგ მოდიან სტენლის თასის შარშანდელი ფინალისტები - "ოტავა სენატორზი" (12.0) და "ანაჰაიმი" (15.0).

Betfair-მა ახალი სეზონის აუტსაიდერებად "ვაშინგტონი", "ჩიკაგო" და "ბოსტონი" მონათლა. თუ ამ გუნდების საბოლოო გამარჯვებაზე 1 დოლარს ჩახვალთ და ფსონი გაგიმართლებთ, თქვენი მოგება 740 დოლარის ტოლი იქნება.

ᲞᲝᲚᲘᲙᲘ ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲐᲡ ᲣᲙᲐᲞᲘᲢᲜᲔᲑᲡ

2007-08 ᲬᲚᲔᲑᲘᲡ სეზონში "ატლანტა ტრეშერზს" ახალი კაპიტანი ეყოლება. ამ პოსტზე ჰოკეიდან წასული **სკოტ მელანბი** ცენტრალურმა თავდამსხმელმა **ბობი ჰოლიკმა** შეცვალა.

ახალ კაპიტანს ოთხი თანაშემწე ეყოლება. სხვათა შორის, ვიცე-კაპიტნები ლეგიონერები არიან: **მარიან ჰოსა, ილია კოვალჩუკი, ნიკლას ჰაველიდი** და **ვიაჩესლავ კოზლოვი**.

ᲣᲙᲐᲞᲘᲢᲜᲝ ᲔᲨᲛᲐᲙᲔᲑᲘ

"ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲐᲡᲗᲐᲜ" განსხვავებით, რეგულარულ ჩემპიონატში კაპიტნის გარეშე ითამაშებს "ნიუ ჯერსი ნეტსი". აი, ასეთი უცნაური გადაწყვეტილება მიიღო "ეშმაკების" მწვრთნელმა **ბრენტ სატერმა**.

"ნიუ ჯერსი" იმით კმაყოფილდება, რომ არარსებულ კაპიტანს სამი ასისტენტი ეყოლება: **პატრიკ ელიაში, დაინიუს ზუბრუსი** და **ბრაიან ჯონტა**.

ᲑᲝᲡᲢᲝᲜᲛᲐ ᲗᲐᲕᲓᲐᲛᲡᲮᲛᲔᲚᲘ ᲓᲐᲘᲛᲐᲢᲐ

ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ დაწყებამდე ერთი დღით ადრე, "ბოსტონ ბრუინზმა" კონტრაქტი გააფორმა თავისუფალ აგენტ **გლენ მეტროპოლიტთან**.

გასულ რეგულარულში, 33 წლის ცენტრალური თავდამსხმელი "ატლანტასა" და "სენტ ლუისში" თამაშობდა. საერთოდ, მეტროპოლიტს ჰოკეის ეროვნულ ლიგაში მოკრძალებული კარიერა აქვს. მის ანგარიშზე სულ 180 მატჩია, რომლის დროსაც 24 შაიბა გაიტანა და 56 შედეგიანი პასი გააკეთა.

ᲞᲠᲔᲓᲐᲢᲝᲠᲗᲐᲜ ᲡᲮᲕᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲓᲘᲡ?

ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝᲓ, ჰოკეის ეროვნული ლიგის კლუბ "ნეშვილ პრედატორზს" სხვა ქალაქში მოუწევს გადაბარგება. ბოლო ინფორმაციით, გუნდის შეძენას აპირებდა ქალაქ ნეშვილის ინვესტორთა ჯგუფის ლიდერი **დევიდ ფრიმენი**, მაგრამ ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა და სავარაუდოდ, გარიგება არ შედგება. ინვერსტორებმა ქალაქის მთავრობას "ნეშვილის" სტადიონის რეკონსტრუქცია თხოვეს, მაგრამ მერიამ მის შესრულებაზე უარი განაცხადა.

ინვესტორების ჯგუფსა და კლუბის მფლობელ **კრეიგ ლოპოლდს** შორის საბოლოო მოლაპარაკება 31 ოქტომბრისთვის არის დანიშნული. სავარაუდოდ, სწორედ აქ გადაწყდება "ტრეშერზის" ბედი.

ᲞᲘᲢᲡᲑᲣᲠᲒᲛᲐ ᲒᲐᲣᲨᲕᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲛᲐᲢᲐ

"ᲕᲐᲜᲙᲣᲕᲔᲠ ᲙᲘᲜᲐᲰᲡᲛᲐ" "პიტსბურგ პინგვინზის" მიერ ტრანსფერზე დაყენებული მცველი **მაიკ უივერი** გაიფორმა. 29 წლის ჰოკეისტმა შარშანდელი სეზონი "ლოს ანჯელესში" დაიწყო, ამ ზაფხულს კი, თავისუფალი აგენტის სტატუსით "პიტსბურგში" გადავიდა, მაგრამ ამ გუნდში დამკვიდრება ვერ შეძლო.

ჯარიერის განმავლობაში, უივერმა 149 მატჩი ჩაატარა და 24 ქულა (3 გოლი+21 პასი) დააგროვა.

"პიტსბურგ პინგვინზმა" ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა მარჯვენა გარემარბ **ადამ ჰოლთან**. წინა რეგალურად ჩემპიონატში 27 წლის ფორვარდი "მინესოტასა" და "რეინჯერსში" ირიცხებოდა, თუმცა 72 მატჩში საკმაოდ მოკრძალებული სტატისტიკური მაჩვენებლები ჰქონდა: 6 გოლი და 11 შედეგიანი პასი.

ᲛᲫᲚᲔᲝᲡᲜᲝᲑᲐ

ᲠᲔᲓᲙᲚᲘᲤᲘ ᲜᲘᲣ ᲘᲝᲠᲙᲘᲡ ᲛᲐᲠᲐᲗᲝᲜᲡ ᲒᲐᲘᲠᲑᲔᲜᲡ

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ბრიტანელი მძლეოსნის, **პოლა რედკლიფის** თაყვანისმცემლებმა სასიამოვნო ინფორმაცია შეიტყვეს. როგორც ნიუ იორკის მარათონის ორგანიზატორები აცხადებენ, ქალთა შორის მარათონში მსოფლიო რეკორდსმენი წლევანდელ გარბენში მონაწილეობის მიღებას აპირებს.

როგორც იცით, რედკლიფი წლეულს, 17 იანვარს დედა გახდა და ამის გამო, დიდი ხანი არ გამოდიოდა საერთაშორისო შეჯიბრებებზე. ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, რედკლიფი პირველად მაყურებელების წინაშე გასულ კვირას გამოჩნდა, როცა ნიუკასლში ნახევარმარათონში მიიღო მონაწილეობა.

უკანასკნელად, ბრიტანელმა მარათონში მონაწილეობა 2005 წელს მიიღო - ჰელსინკიში მსოფლიო ჩემპიონატზე იასპარეზა. მსოფლიო რეკორდი კი, მან 2003 წელს დაამყარა, როცა დისტანცია 2 საათში, 15 წუთსა და 25 წამში გაირბინა.

ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ 1

ᲒᲝᲠᲝ ᲠᲝᲡᲝᲡ ᲑᲝᲚᲘᲓᲡ ᲣᲒᲕᲘᲐᲜᲔᲑᲔᲜ

ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ 1-ᲘᲡ გუნდ "ტორო როსოს" ინჟინრები არ გამორიცხავენ, რომ 2008 წლის სეზონს პილოტები ძველი მანქანით დაიწყებენ.

კომპანია Red Bull Technologies, რომელიც გუნდისთვის ბოლიდებს ამზადებს, ჯერჯერობით, ახალი მანქანის პროექტირებითა და ტესტირებით არის დაკავებული. ამიტომაც, 2008 წლის ჩემპიონატის სტარტისთვის ახალი მოდელი, ალბათ, ვერ მოესწრება.

პრობლემა

როგორ კვებავს ჩინეთი ამერიკას დოპინგით

ჩვენ უკვე ვწერდით იმის შესახებ, აშშ-ის იუსტიციის სამინისტროსთან არსებულმა ნარკოტიკებთან ბრძოლის სამმართველომ მასშტაბური ოპერაცია ჩაატარა, რომლის კოდური სახელწოდება იყო Raw Deal. ამ ოპერაციით, სამმართველომ დიდი დარტყმა მიაყენა იმ იატაკქვეშა ლაბორატორიებს, რომლებშიც სპორტში აკრძალული პრეპარატები მზადდება.

ოპერაცია ოთხი დღე გაგრძელდა. ფედერალურმა აგენტებმა 26 ლაბორატორიას ერთდროულად შეუტიეს, დააპატიმრეს 50 ადამიანი და სტეროიდების წარმოებისთვის საჭირო დაახლოებით ნახევარი ცენტნერი ნედლეული ამოიღეს. და ეს მხოლოდ ოთხი დღის განმავლობაში. სინამდვილეში კი, ეს ოპერაცია დაახლოებით წელინადი გრძელდებოდა და მისი შედეგები გაცილებით მასშტაბურია - 56 დალუქული ლაბორატორია და 124 დაპატიმრებული ადამიანი. ეს ციფრები პრობლემის მასშტაბურობაზე უფრო მიუთითებს, ვიდრე მის მოახლოებულ ლიკვიდაციაზე.

ჩუმი ამერიკელები

ამ ისტორიაში ყველაზე უცნაური ის არის, რომ დაპატიმრებული "ქიმიკოსები", რომლებიც 27 შტატში იყვნენ მიმოფანტულნი, ჩვეულებრივი ამერიკელები აღმოჩნდნენ - გარეუბნებში მცხოვრები საშუალო ფენის წარმომადგენლები, რომლებიც უძრავ ქონებას ფლობენ და სპორტიც უყვართ. უმეტესმა მათგანმა საკუთარი საქციელი შემდეგნაირად ახსნა - თავისუფალ დროს ზედმეტი ფულის შოვნა სურდათ. და შოულობდნენ - აკრძალული პრეპარატების დამზადებით, დაფასოებითა და გასაღებით.

მათი კლიენტები იყვნენ პროფესიონალი სპორტსმენები, მოსწავლეები, მსახიობები, იმპოტენციით დაავადებული მამაკაცები... მოკლედ, მომხმარებელთა წრე საკმაოდ ფართოა. იატაკქვეშა ლაბორატორიებში სხვადასხვა სახის პრეპარატები იწარმოებოდა, მაგრამ ძირითად ნაწილს ანაბოლიკები და ზრდის ჰორმონები წარმოადგენდა. ეს ჰორმონი, სხვათა შორის, დღეს დოპინგის ყველაზე პოპულარული ფორმაა, რადგან სულ ცოტა ხნის წინ, ვერანაირი ანალიზით ვერ ახერხებდნენ მის ორგანიზმში აღმოჩენას და დღეისთვის შემუშავებული მეთოდებიც, ჯერჯერობით ნაკლებად ეფექტურია.

მსოფლიოს ანტი-სადოპინგო სააგენტოს (WADA) ინფორმაციით, ზრდის ჰორმონების სავაჭრო ბრუნვა (ლეგალური და არალეგალური), წელინადში დაახლოებით 2 მილიარდ დოლარს შეადგენს, თანაც ამ თანხის დაახლოებით 40 პროცენტი ჰორმონების შავ ბაზარზე (სადაც, მთავარი მყიდველები სპორტსმენები არიან) გასაღების შედეგია. იმავე WADA-ს ცნობით, მთელს მსოფლიოში ჰორმონის მოხმარების მეოთხედი წილი ამერიკაზე მოდის. ოპერაცია Raw Deal-ის დროს ამოღებული ნივთიერებების საერთო ღირებულება დაახლოებით 7 მილიონ დოლარს შეადგენს. დაგვეთანხმეთ, რომ ეს ზღვაში წვეთია!

37 კომპანია

ახლა, დროა დავსვათ კითხვა: საიდან წარმოიშობა ეს ზღვა? შესაძლოა, პასუხმა შოკში ჩაგაგდოთ. ის ჩნდება იმ ქვეყნიდან, სადაც წელინადში ოლიმპიური თამაშები უნდა გაიმართოს.

ისევ WADA-ს მონაცემებს მივუბრუნდეთ: შავ ბაზარზე რეალიზებადი ზრდის ჰორმონების 80 პროცენტი ჩინეთში მზადდება. იქვე იყო წარმოებული ის ინგრედიენტები, რომელიც ზემოთნახსენები ოპერაციის დროს იქნა ამოღებული. ფედერალურმა აგენტებმა იმ 37 კომპანიის მისამართი გამოაქვეყნეს, რომლებიც ამერიკელ "ქიმიკოსებს" ნედლეულს აწვდიდნენ. ყველა ეს კომპანია ჩინურია!

სახალხო რესპუბლიკის ფარმაკოლოგიური წარმოება აყვავების გზაზეა (ზოგიერთი წყაროს ცნობით, ის ყოველწლიურად 70 მილიარდი დოლარის ოდენობის პრეპარატებს უშვებს) და ის ლიდერი გახდა მსოფლიო სადოპინგო ინდუსტრიაშიც. თანაც, მისი მოქმედების არეალი ყოველდღიურად იზრდება.

ახლო წარსულში, ამერიკაში დოპინგი ძირითადად მექსიკიდან შედიოდა. ამ ქვეყანაში არსებობდა სტეროიდების დამამზადებელი უამრავი ლაბორატორია, საიდანაც უკვე მზა პროდუქტი საზღვარზე გადაჰქონდათ და ამერიკულ ბაზარს ამდიდრებდნენ. დოპინგი ღიად იყიდებოდა ინტერნეტ-გვერდებზე და ამერიკის საზღვართან ახლოს მდებარე აფთიაქებში. მაგრამ გასულ წელს, ნარკოტიკებთან ბრძოლის სამმართველომ მექსიკის ტერიტორიამდე მიაღწია და იქ სასწრაფოდ დაამყარა წესრიგი. რვა ქიმიური კომპანია დახურეს, რამდენიმე ვებ-გვერდი გათიშეს და ათეულობით ადამიანი დააპატიმრეს. მექსიკური სტეროიდული "ფარდული" დაიხურა, მაგრამ ამერიკას დოპინგი არ მოკლებია.

როგორც აღმოჩნდა, ნედლეულს მექსიკელები ჩინეთიდან იღებდნენ და როცა შუამავალი დაკარგეს, აზიელებმა სასწრაფოდ გაუკეთეს ორგანიზება ამერიკაში ქიმიური ნივთიერებების პირდაპირ მიწოდებას. ახლა, ჩინური "შხამი" პირდაპირი სვლით ამერიკაში შედის. ამას სპეციალური "ბროკერები" აკეთებენ, რომლებიც "საქონელს" წარმოების წერტილებში ანაწილებენ.

კვალი იატაკზე

ამ წერტილების მონახულებისას, რბილად რომ ვთქვათ, ტანში ჟრუანტელი დაგივლით. როგორც უკვე ვთქვით, სტეროიდებისა და ჰორმონების დამამზადებლები დილეტანტები იყვნენ, რომლებიც ინგრედიენტებს საშინაო პირობებში აზავებდნენ - ხშირად საკუთარ აბაზანებსა და პირსაბანებში. სამმართველოს აგენტებმა პრესას აცნობეს, რომ ერთ-ერთი დაკავებული, ჩინურ პრეპარატებს გარაჟში, ხელსაწყოების გვერდით ინახავდა. მეორე იატაკქვეშა ლაბორატორიაში წარმოების პირობები ისეთი იყო, რომ ქიმიური მტვერი მთლიანად ფარავდა ოთახის იატაკსა და კედლებს. როცა იქ სამმართველოს აგენტები შევიდნენ, იატაკზე მათი ფეხსაცმელების კვალი მკაფიოდ ეტყობოდა.

ასეთი ხერხით დამზადებული "ჩემპიონთა საუზმე" გასაყიდად გადის და მას ბეისბოლისა და ამერიკული ფეხბურთის მოთამაშე სკოლის მოსწავლეებიც ყიდულობენ. სხვათა შორის, ამერიკულ ფეხბურთში სკოლის დონეზეც კი დგას დოპინგის პრობლემა, თანაც უკვე დიდი ხანია. სხვადასხვა სათამაშო პოზიციებზე, ფეხბურთელის გაბარიტებს დიდი მნიშვნელობა აქვს. ბევრისთვის, ეს არის შანსი, რომელიმე პრესტიჟული უნივერსიტეტის სკაუტმა შეამჩნიოს. ამიტომაც, კუნთების მასის გასაზრდელად, მოსწავლეები მზად არიან ნებისმიერი სისაძაგლე გადაყლაპონ.

"გვინდა, რომ 17 წლის ბიჭებმა იცოდნენ: ის, რაც მათ საკუთარ ორგანიზმში შეყავთ, სავარაუდოდ, ვიღაცის ბინძურ საპირფარეშოში ან სააბაზანოშია დამზადებული", - გააფრთხილა ზედმეტად მიმნდობი ახალგაზრდობა სამმართველოს ოფიცერმა **რასტი პეინმა**.

ბავშვებზე ზრუნვა კარგია, მაგრამ გაზეთების პირველ გვერდებზე არა ისინი, არამედ მოზრდილები მოხვდებიან, რომლებიც "ქიმიურ" მაქინაციებს ოლიმპიური მიზნებისთვის იყენებენ. და ის ფაქტი, რომ მათ ამაში ეხმარება ქვეყანა, რომელმაც ოლიმპიურ თამაშებს უნდა უმასპინძლოს, რბილად რომ ვთქვათ, ამერიკელების გაოგნებას იწვევს.

კანონი პროგლემა არ არის

ჩინეთში ზრდის ჰორმონის რეალიზაცია კანონით არის დაშვებული, ოღონდ ერთი გამონაკლისით: პრეპარატს ვერ შეიძენს სპორტსმენი ან სპორტული ორგანიზაცია. მაგრამ ამ აკრძალვისთვის გვერდის ავლა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ექსპორტს ეხება.

ESPN-ის კორესპონდენტმა **შონ ასაელმა** ჟურნალისტური გამოძიება წამოიწყო იმის დასადგენად, რამდენად იოლია უცხოელი გადამყიდველებისთვის ჩინეთში დოპინგის დასამზადებელი ნედლეულის შეძენა. აღმოჩნდა, რომ ამის გაკეთება ძალიან მარტივად შეიძლება.

რამდენიმე რეპორტიორი ჩინეთში გაემგზავრა. მათ წინასწარ თავი ამერიკელ დოპინგ-საქმოსნებად გაასაღეს. ამ მიზნით, ინტერნეტში ყალბი ვებ-გვერდი შექმნეს და რედაქციისგან სტეროიდების შესაძენი ფულიც მიიღეს.

ჩინეთში ზრდის ჰორმონების ყიდვა ნებისმიერ აფთიაქში შეიძლება, თუ პოლიკლინიკიდან შესაბამისი რეცეპტი გაგაჩნია. ამასთან, პოლიკლინიკაში ამ რეცეპტის მიღება რამდენიმე წუთში შეიძლება, რაშიც ჟურნალისტები თავად დარწმუნდნენ: იქ მათ ერთი კითხვაც კი არ დაუსვეს. და კიდევ: ჩინეთში პრეპარატის ფასი გაცილებით დაბალია, ვიდრე დასავლეთში.

რაც შეეხება ტრანსპორტირებას, ჩინელებს შესანიშნავად შეუძლიათ ამ საკითხთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება. თანაც, ისინი ღიად თამაშობენ, არ მალავენ იმას, რომ მათთვის ცნობილია მყიდველის მოტივები და მიზნები.

ჩინეთში ამერიკულ საბაჟო კანონებს კარგად იცნობენ, ისიც იციან, როგორ აუარონ მათ გვერდი და ამიტომაც, მშვიდად სთავაზობენ კლიენტებს თავიანთ სამსახურს. კერძოდ, ურჩევენ ბარგის ოპტიმალურ ზომას, რათა საბაჟო სამსახურს ეჭვი არ ეღეძრას. *"თქვენ გჭირდებათ საქონელზე ნეიტრალური ეტიკეტი. ხომ არ დავაწეროთ, რომ ეს არის "საზამთროს წვენის" ექსტრატი?"* - განუცხადა ამერიკელ კორესპონდენტებს ერთ-ერთმა ჩინურმა ფირმამ.

მხოლოდ ვარაუდებით შეგვიძლია იმაზე საუბარი, თუ რა მასშტაბებით მუშაობს ჩინური ინდუსტრიის ეს მიმართულება საკუთარი სპორტის "ასაღორძინებლად". მაგრამ, ამერიკელებს ამაზე ფიქრის დრო არ აქვთ - მათ თავსატეხად ჩინელების მიერ მინოდებული საკუთარი "საზამთროებიც" ყოფნით. არადა გვარწმუნებენ, რომ პეკინის თამაშები, "ყველაზე სუფთა" იქნება ოლიმპიადების ისტორიაში.

კონკურენტებს არ სძინავთ

საგანგაშოა ის ფაქტი, რომ ამერიკის დოპინგთან ბრძოლის სამმართველო ჩინელ კოლეგებთან თანამშრომლობას არ ჩქარობს. იმ 37 კომპანიიდან, რომელიც აშშ-ში დოპინგის მინოდებით არის დაკავებული, მხოლოდ ერთი დახურეს. ჩინეთში არალეგალური სპორტული ფარმაკოლოგია ძალიან დიდი რაოდენობით ადამიანებს ძალიან დიდი ფულით ამარაგებს და აი ასე, ხელის ერთი მოსმით ამ სენის თავიდან მოცილება შეუძლებელია. თანაც, კონკურენტებსაც არ სძინავთ. თუ მინოდების ჩინური არხი გადაიკეტა, მაშინვე გაიხსნება ახალი არხები, მათ შორის რუსეთიდან.

მოკლედ, რაც უფრო ღრმად იქექები, მით უფრო საშიში ხდება. სხვათა შორის, ამერიკაში უკვე რამდენიმე ცნობილი ბეისბოლისტი და ფეხბურთელი გამოიჭირეს და ქვეყნის მთავრობას განგაში აქვს ატეხილი.

5 ოქტომბერი. პარასკევი

HTB-პლუსი (ფეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:15 უიქენდის მატჩების ანონსი.
12:20 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ლიონი-რეინჯერსი.
14:10 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ლივერპული-მარსელი.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:15 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტურის მიმოხილვა.
18:15 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:15 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:30 ჩვენი ფეხბურთი.
20:30 საფეხბურთო კლუბი.
21:25 FUTBOL MUNDIAL საერთაშორისო ტელეჟურნალი.
21:55 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
22:25 გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ბოხუმი (LIVE).
00:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
00:40 რუსეთის ჩემპიონატი.
01:40 საფეხბურთო კლუბი.
02:30 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.

SPORT 1 (უკრაინა)

07:35 სპორტდოსიე. კრიკეტი.
08:02 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ლივერპული-მარსელი.
09:50 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. კაროლინა-მონრეალი.
11:33 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
12:00 ფეხბურთი. სუდამერიკანას თასი. ამერიკა-პაჩუკა.
13:45 ფეხბურთი. Barca TV.
13:53 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ტაილანდის ღია პირველობა. 1/2 ფინალი.
15:26 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი.
17:11 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ედმონტონი-სან ხოსე.
18:45 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:22 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
19:50 ფეხბურთი. MLS. აშშ-ის ჩემპიონატი. კანზასი-ლოს ანჯელესი.
21:34 სპორტკლუბი.
21:43 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:06 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურიბ წინ.
22:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ბოხუმი (LIVE).
00:27 სპორტკლუბი.
00:58 კრივი. რინგ-საიდი.
01:38 ჰოკეი.
02:02 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
02:54 ფეხბურთი. Barca TV.
03:03 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
03:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ატლანტა-ვაშინგტონი (LIVE).
06:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ტაილანდის ღია პირველობა. 1/2 ფინალი.

EUROSPORT

10:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ესპანეთი.
11:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტურის მიმოხილვა.
12:00 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. საპასუხო მატჩი. გალათასარაი-სიონი.
12:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტურის მიმოხილვა.
13:00 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. საპასუხო მატჩი. ერჩიესი-ატლეტიკო.
14:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტურის მიმოხილვა.
15:00 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. საპასუხო მატჩი. ჰამბურგი-ლიტექსი.
16:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/4 ფინალი. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
19:30 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. საპასუხო მატჩი. გალათასარაი-სიონი.
20:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
20:30 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. საპასუხო მატჩი. ბელენენსეში-ბაიერნი.
21:15 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. საპასუხო მატჩი. ერჩიესი-ატლეტიკო.
21:45 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/4 ფინალი. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
23:30 ტომბერსპორტი.
00:00 რესტლინგი.
01:30 ექსტრემალური სპორტი.
02:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ესპანეთი.
02:30 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
03:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ესპანეთი.

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 სუპერკროსი. იტალია.
13:00 ექსტრემალური სპორტი.
14:00 ახალი ამბები.
16:00 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. საპასუხო მატჩი. ბელენენსეში-ბაიერნი.
16:45 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. საპასუხო მატჩი. გალათასარაი-სიონი.
17:15 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. საპასუხო მატჩი. ერჩიესი-ატლეტიკო.
17:45 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. საპასუხო მატჩი. ჰამბურგი-ლიტექსი.
18:30 მულტისპორტი.
19:00 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. მსოფლიო თასი. მოსკოვი. რუსეთი.
19:30 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/4 ფინალი. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
21:15 მულტისპორტი.
21:45 ახალი ამბები.
22:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
22:30 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. საპასუხო მატჩი. ჰამბურგი-ლიტექსი.
23:15 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. საპასუხო მატჩი. ბელენენსეში-ბაიერნი.
00:00 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. საპასუხო მატჩი. გალათასარაი-სიონი.
00:30 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. საპასუხო მატჩი. ერჩიესი-ატლეტიკო.
01:00 ახალი ამბები.
01:15 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. საპასუხო მატჩების მომიხილვა.
01:15 ახალი ამბები.

სხელი ხეზი

ფეხბურთი

ინგლისი

კონფერენსი

უოკინგი-უარსლი	2:0

საფრანგეთი

II დივიზიონი

ნანგი-გენიონი	0:0
ლიბერნი-ბრენოელ	1:2

შვეიცარია

II დივიზიონი

სილვია-მიალბუ	1:3

შვეიცარია

ჩელენჯლიგა

ლუგანო-ვინი	2:3

კალათბურთი

მსოფლიო ჩემპიონატი

ქალები

საფრანგეთი-ლატვია	62:66
ჩეხეთი-ბელარუსი	46:52

იტალია

ტერამო-რომა	83:69

პოკერი

ფინეთი

კიეკო-ბაზ	6:2
პელიკანი-ესპეზი	5:1
პიფა-ილვესი	3:3
ასკ-ოლოკერიგი	4:2

ჩეხეთი

ზლინეზო-ლიბერეცი	1:1

შვედეთი

ალა-ბორა	6:1
ბოდო-ლულეა	6:4
სოლიერგალე-ლინდოპინგი	4:3
ფერიესტადი-ბრინანა	4:2
ეგ 71-ბიგრე	2:1
ოურგორდენი-ფრიოლუნდა	6:0

ჩოგბურთი

ATP. ტოკიო

ლი-კარლოვიჩი	6:7, 7:6, 6:7
ვერდასკო-ტ. იოჰანსონი	7:6, 5:7, 6:3
ჰიუიტი-ნავარო პასტორი	7:5, 6:3
რასელი-ბერდიჩი	4:6, 2:6
პაშანსკი-სელა	2:6, 0:4 (შარი)
ფ. ლოპესი-ტურსუნოვი	7:6, 6:4
ფერერი-სპეიდი	6:1, 7:6
გასკე-შუტლერი	6:2, 6:2

ATP. ფუჩი

ანდრეევი-ლაპენტი	6:3, 6:3
გროსჟანი-კუბეკი	7:5, 6:7, 6:4
მაუ-ბენეტო	6:3, 3:6, 6:3
კანიასი-მელცერი	7:6, 7:6
მარეი-ლოდრა	6:4, 6:3

WTA. ტოკიო

რაზანო-პინი	6:2, 6:2
ვ. უილიამსი-მოლიკი	7:6, 6:3
ვოზნიაჩკი-ზაკოპალოვა	6:3, 2:6, 7:6
პენეტა-მირზა	6:4, 6:4

WTA. შტუტგარტი

პეტროვა-კრაიჩეკი	6:1, 6:3
ივანოვიჩი-ე. ბონდარენკო	2:6, 6:1, 3:6
იანკოვიჩი-პეერი	4:6, 6:1, 6:3
ანენი-საფინა	6:4, 6:1
დემენტიევა-ჰანტუხოვა	6:4, 6:4

WTA. ტაშკენტი

იაკიმოვა-ო'ბრაიენი	3:6, 6:7
კრემერი-გოვორცოვა	6:2, 3:6, 2:6
აზარენკა-როდინა	6:4, 6:3

კალათბურთი

პარკერი საფრანგეთის ნაკრებს განუდგა

საფრანგეთის ნაკრების ლიდერმა **ტონი პარკერმა** თავის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განაცხადა, რომ უახლოესი ორი წლის განმავლობაში არ ითამაშებს ეროვნულ გუნდში. "სან ანტონიო სპურსის" გამთამაშებლის სიტყვებით, ის მონაწილეობას არ მიიღებს ევროპის 2009 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში, ვინაიდან ამის წინააღმდეგია "სპურსის" მთავარი მწვრთნელი **გრეგ პოპოვიჩი**.

შეგახსენებთ, რომ 2007 წლის ევრობასკეტზე საფრანგეთის ნაკრებმა მერვე ადგილი დაიკავა და პეკინის ოლიმპიადაზე მოხვედრის ყველა შანსი დაკარგა. ფრანგებისთვის მორიგი დიდი ტურნირი 2009 წელს, პოლონეთში გასამართი ევროპის ჩემპიონატი იქნება, მაგრამ გუნდმა იქ მოსახვედრად საკვალიფიკაციო ეტაპი უნდა გაიაროს. თუ ფრანგები ამ ამოცანას წარმატებით გადაწყვეტენ, პარკერი გუნდს ფინალურ ტურნირზე შეუერთდება.

დენვერი ოგმონით შეივსო

"დენვერ ნაგეტსმა" ვეტერან ფორვარდთან, **სტეისი ოგმონთან** გააფორმა კონტრაქტი. ხელშეკრულების ფინანსური დეტალები ცნობილი არ არის.

ოგმონს ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში 15 სეზონი აქვს გატარებული. მის ანგარიშზეა 1001 მატჩი და კარიერაში საშუალოდ მოპოვებული 8.0 ქულა და 3.2 მოხსნა.

უკანასკნელად, 39 წლის კალათბურთელმა NBA-ში 2005-06 წლების სეზონში ითამაშა, როცა "ორლანდო მეჯიქის" ღირსებას იცავდა.

დიკაუ კლიპერსმა აიყვანა

ორი დღის წინათ, "ნიუ იორკ ნიქსმა" ტრანსფერზე დააყენა მცველი **დენ დიკაუ**. ეს კალათბურთელი დიდხანს არ დარჩენილა უმუშევარი და მასთან კონტრაქტი "ლოს ანჯელეს" კლიპერსმა" გააფორმა.

დიკაუ შარშან "პორტლენდში" თამაშობდა და "ნიქსში" ივნისის ბოლოს გადავიდა. გასულ რეგულარულში მისი მონაგარი იყო 3.3 ქულა და 1.4 პასი (50 მატჩში).

ოდომმა ვარჯიში დაიწყო

"ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ერთ-ერთმა ლიდერმა, **ლამარ ოდომმა** მარცხენა მხარზე გაკეთებული ოპერაციის შემდეგ, პირველი ვარჯიში ჩაატარა.

ოდომი უკვე შეუერთდა "ლეიკერსის" სანვრონელ ბანაკს და სავარაუდოდ, ის სრულ მზადყოფნაში შეხვდება რეგულარული ჩემპიონატის სტარტს.

სნოუ საოპერაციოა

"კლივლენდ კავალიერზის" 34 წლის გამთამაშებელს, **ერიკ სნოუს** მარცხენა მუხლზე ოპერაციას გაუკეთებენ. ამის გამო, კალათბურთელი დაახლოებით 4-6 ექვსი კვირა ვერ შეძლებს თამაშს.

შარშან, სნოუმ რეგულარული ჩემპიონატის ყველა 82 მატჩი ჩაატარა, მათ შორის 45 - სასტარტო შემადგენლობაში.

აივერსონს ჯარიმით ემუქრებიან

"დენვერ ნაგეტსის" ერთ-ერთი ლიდერ, **ალან აივერსონს** სასამართლომ შესაძლოა ჯარიმის გადახდა დააკისროს. როგორც სააგენტო "როიტერი" იტყობინება, აივერსონი არ გამოცხადდა გულშემატკივრებთან შეხვედრაზე, რის გამოც ამ აქციის ორგანიზატორებმა გვარიანი ზარალი ნახეს.

იმ შემთხვევაში, თუ კალათბურთელის ბრალეულობა დამტკიცდება, აივერსონს 44 ათასი დოლარის გადახდა მოუწევს.

ჩოგბურთი

გაუდიომ სეზონი დაასრულა

სავალალოდ დასრულდა გასულ კვირას, Naples-ის ჩელენჯერის ტურნირში მონაწილეობა არგენტინელი **გასტონ გაუდიოსთვის**. როლან გაროსის ყოფილმა ჩემპიონმა ფეხის მძიმე ტრავმა მიიღო და როგორც ექიმები აცხადებენ, ჩოგბურთელი თვეზე მეტი ვერ შეძლებს კორტზე გასვლას.

ასე რომ, გაუდიოსთვის ეს სეზონი შეიძლება დასრულებულად ჩაითვალოს.

ავსტრალიის ღიაზე სიახლეებია

მომავალ სეზონში, ავსტრალიის ღია პირველობა ახალ კორტებზე ჩატარდება. ეს გახლავთ Plexicushion-ის საფარი, რომელიც ლურჯი ფერის იქნება. ახალი საფარის არჩევისას, სეზონში "დიდი სლემის" პირველი ტურნირის ორგანიზატორებმა ავსტრალიელი ჩოგბურთელების, **სამანტა სტოსურისა** და **ლეიტონ ჰიუიტის** რჩევები გაითვალისწინეს.

შეიცვალა მოძრავი სახურავის გამოყენების წესებიც. ადრე, აუტანელი სიცხის გამო, ცენტრალურ კორტს მატჩის წინ ხურავდნენ, მაგრამ ახლა, ჩოგბურთელს უფლება აქვს, ყოველი სეტის დასრულების შემდეგ მოითხოვოს კორტის გადახურვა.

ქრიკი

იბრაჰიმოვი ისევ ამერიკელს შეხვდება

მაირკუს WBO-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის, რუსი მძიმეწონოსნის **სულთან იბრაჰიმოვის** მორიგი მეტოქე. ეს იქნება ამერიკელი **ტონი ტომპსონი**. მაგრამ ეს ბრძოლა იმ შემთხვევაში გაიმართება, თუ იბრაჰიმოვი 13 ოქტომბერს, მოსკოვში ლეგენდარული **ევანდერ ჰოლიფილდის** დამარცხებას შეძლებს.

13 ოქტომბერს, იბრაჰიმოვი საჩემპიონო ქამრის საკუთარი სურვილით დაცვას შეეცდება, ამის შემდეგ კი, რუს მოკრივეს, WBO-ს ვერსიით, ნომერ პირველ პრეტენდენტთან ტიტულის აუცილებელი დაცვა მოუწევს. ტომპსონმა ეს სტატუსი ჯერ კიდევ ივლისში მიიღო, როცა ალბანელი **ლუან კრასნიკი** დაამარცხა. გარდა ამისა, გასულ კვირას ამერიკელმა კიდევ ერთი სარეიტინგო ბრძოლა ჩაატარა და ტექნიკური ნოკაუტით მოუგო თანამემამულე **კლიფ კაუზერს**.

ესპანეთი

კონტადორი ასტანაში მიდის

თითქმის გადაწყვეტილია, რომ წლევანდელი ტურ დე ფრანსის ტრიუმფატორი, ესპანელი **ალბერტო კონდტადორი** (გუნდი "დისკავერი ჩენელი") მომავალ სეზონში ყაზახური ველოსაჯინიბოს, "ასტანას" ნევრი გახდება.

"ამ მომენტისთვის, მოლაპარაკებები გადამწყვეტ სტადიაშია შესული. "ასტანაში" გადასვლით სერიოზულად ვარ დაინტერესებული და დარწმუნებული ვარ, რომ კონტრაქტი აუცილებლად გაფორმდება", - ამბობს 24 წლის ველომრბოლი.

UEFA CUP

უეფას თასი. პირველი რაუნდი. საპასუხო მატჩები

რაპიდი (რუმინეთი)-ნიურნბერგი (გერმანია) 2:2 (0:0)

გოლები: 1:0 სეზინია (15), 1:1 კლუგე (22), 1:2 მისიმოვიჩი (55), 2:2 ლაზარი (90)

ანორთოსისი (კვიპროსი)-ტოტენჰემი (ინგლისი) 1:1 (1:6)

გოლები: 1:0 ფაბინიო (54), 1:1 კინი (78)

ლოკომოტივი (რუსეთი)-მიდჯიულანდი (დანია) 2:0 (3:1)

გოლები: 1:0 ბილიალეტდინოვი (10), 2:0 მამინოვი (15)

ერჩიესფორი (თურქეთი)-ატლეტიკო (ესპანეთი) 0:5 (0:4)

გოლები: 0:1 აგუერო (6), 0:2 მარინი (14), 0:3 აგუერო (43), 0:4 მაქსი როდრიგესი (52-პენ), 0:5 ფორლანი (78)

პელსინგბორგი (შვედეთი)-პეერენვეენი (პოლანდია) 5:1 (3:5)

გოლები: 1:0 ლარსონი (20), 2:0 დალი (37), 3:0 ომოტოიოსი (45), 4:0 მაკოლენდე (52), 5:0 ომოტოიოსი (80), 5:1 სიბონი (89)

პამბურგი (გერმანია)-ლიტექსი (ბულგარეთი) 3:1 (1:0)

გოლები: 0:1 პოპოვი (38), 1:1 გერერო (40), 2:1 გერერო (52), 3:1 ვან დერ ვაარტი (72)

ციურიხი (შვეიცარია)-ემპოლი (იტალია) 3:0 (1:2)

გოლები: 1:0 კოლარი (37), 2:0 აბდი (78), 3:0 ალფონსი (82)
გაძევება: რინკონი (85. ემპოლი)

ოლბორგი (დანია)-სამპდორია (იტალია) 0:0 (2:2)

ცსკა (ბულგარეთი)-ჭულუზი (საფრანგეთი) 1:1 (0:0)

გოლი: 1:0 ნეი (64), 1:1 ჟინიაკი (90)
გაძევება: შიგოზიე (85. ცსკა)

დნიპრო (უკრაინა)-აბერდინი (შოტლანდია) 1:1 (0:0)

გოლები: 0:1 მაკკი (28), 1:1 ვორობეი (74)

პაკენი (შვედეთი)-სპარტაკი (რუსეთი) 1:3 (0:5)

გოლები: 0:1 ტიტოვი (8), 0:2 ბაჟენოვი (81), 1:2 ჰენრიკსონი (87), 1:3 ძიუბა (90)

ელფსბორგი (შვედეთი)-დინამო (რუმინეთი) 0:1 (2:1)

გოლი: 0:1 დანჩულესკუ (31-პენ)

ვოლერენგა (ნორვეგია)-აუსტრია (ავსტრია) 2:2 (0:2)

გოლები: 0:1 კულიჩი (22), 1:1 სანტოსი (51), 2:1 ბაკი (87-საკ. კარში), 2:2 აჩიმოვიჩი (90)

ბაზელი (შვეიცარია)-სარაევო (ბოსნია) 6:0 (2:1)

გოლები: 1:0 კარლიტუში (9), 2:0 კარლიტუში (11), 3:0 შტრელერი (20), 4:0 შტრელერი (30), 5:0 ჰუგელი (75), 6:0 ფელიპე (90)

ოდენსე (დანია)-სპარტა (ჩეხეთი) 0:0, პენ. 3:4 (0:0)

ბატე (ბელარუსი)-ვილიარეალი (ესპანეთი) 0:2 (1:4)

გოლები: 0:1 კანი (24), 0:2 ანხელი (77)

აიაქსი (პოლანდია)-დინამო (ხორვატია) 2:3, დდ (1:0)

გოლები: 0:1 მოდრიჩი (34-პენ), 0:2 მანძუკიჩი (94), 0:3 მანძუკიჩი (96), 1:3 ჰუნტელაარი (101), 2:3 ჰუნტელაარი (120)

პანიონიოსი (საბერძნეთი)-სოშო (საფრანგეთი) 0:1 (2:0)

გოლი: 0:1 კუმორეი (53-საკ. კარში)

სტანდარდი (ბელგია)-ზენიტი (რუსეთი) 1:1 (0:3)

გოლები: 1:0 ჩონტოფალსკი (36-საკ. კარში), 1:1 პოგრებნიაკი (80)
გაძევება: ონიეკუ (40. სტანდარდი), პოგრებნიაკი (82. ზენიტი)

აიკ (შვედეთი)-პაპოელი (თ-ა. ისრაელი) 0:1 (0:0)

გოლი: 0:1 ოვედი (63)

ბელენენსეში (პორტუგალია)-ბაიერნი (გერმანია) 0:2 (0:1)

გოლები: 0:1 ტონი (60), 0:2 ჰამით ალთინთოფი (77)

ბრიუგე (ბელგია)-ბრანი (ნორვეგია) 1:2 (1:0)

გოლები: 0:1 ჰელსტადი (4), 0:2 ვინტერსი (39), 1:2 კლემანი (76)
გაძევება: სიმაეისი (81. ბრიუგე)

გალათასარაი (თურქეთი)-სიონი (შვეიცარია) 5:1 (2:3)

გოლები: 1:0 უმით ქარანი (22), 2:0 უმით ქარანი (28), 3:0 ლინკოლნი (36), 4:0 თურანი (68), 4:1 ნვანერი (89), 5:1 ბუზიდი (90)

ზალცბურგი (ავსტრია)-აეკ (საბერძნეთი) 1:0 (0:3)

გოლი: 1:0 ლოკვენცი (19)

მეტალისტი (უკრაინა)-ევერტონი (ინგლისი) 2:3 (1:1)

გოლები: 1:0 ედმარი (21), 1:1 ლესკოტი (48), 2:1 მადუფი (52), 2:2 მაკფადენი (72), 2:3 ანიჩებე (88)

კოპენჰაგენი (დანია)-ლანსი (საფრანგეთი) 2:1, დდ (1:1)

გოლები: 0:1 კარიერი (14), 1:1 ოლბაკი (76), 2:1 გრონკიაერი (112)
გაძევება: გრავგაარდი (95. კოპენჰაგენი)

რაპიდი (ავსტრია)-ანდერლეხტი (ბელგია) 0:1 (1:1)

გოლი: 0:1 სერჰათი (23)

ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)-გროცლინი (პოლონეთი) 1:0 (1:0)

გოლი: 1:0 კასტილიო (44)

რენი (საფრანგეთი)-ლოკომოტივი (ბულგარეთი) 1:2 (3:1)

გოლები: 1:0 მავრო (24), 1:1 ანტუნოვიჩი (37), 1:2 ანტუნოვიჩი (40)

ტვენტე (პოლანდია)-ხეტაფე (ესპანეთი) 3:2, დდ (0:1)

გოლები: 1:0 ველერტი (30), 1:1 ბელენგერი (100), 1:2 გრანერო (113), 2:2 ენგელაარი (118), 3:2 არნაუტოვიჩი (119)
გაძევება: ნკუფო (72. ტვენტე)

ბლექბერნი (ინგლისი)-ლარისა (საბერძნეთი) 2:1 (0:2)

გოლები: 0:1 კლეიტონი (17), 1:1 დერბიშირი (45-პენ), 2:1 უორნოკი (51)

ბორდო (საფრანგეთი)-ტამპერე (ფინეთი) 1:1 (3:2)

გოლები: 1:0 შამახი (50), 1:1 ოიანპერე (51)

ბოლტონი (ინგლისი)-რაბოტნიჩი (მაკედონია) 1:0 (1:1)

გოლი: 1:0 ანელკა (68)

სარაგოსა (ესპანეთი)-არისი (საბერძნეთი) 2:1 (0:1)

გოლები: 1:0 ოლივერა (20), 1:1 ხავიტო (62), 2:1 სერხიო გარსია (72)

პალერმო (იტალია)-ბოლესლავი (ჩეხეთი) 0:1, პენ. 2:4 (1:0)

გოლი: 0:1 სედლაჩეკი (90)

ალკმაარი (პოლანდია)-პაკუშ ფერეირა (პორტუგალია) 0:0 (1:0)

ფიორენტინა (იტალია)-ბრონინგენი (პოლანდია) 1:1, პენ. 4:3 (1:1)

გოლები: 0:1 ნევლანდი (55), 1:1 მუტუ (59)

ბრაგა (პორტუგალია)-პამარბიუ (შვედეთი) 4:0 (1:2)

გოლები: 1:0 ვენდერი (47), 2:0 ჟორჟინიო (68), 3:0 ლინეი (79-პენ), 4:0 ჰუსაინი (90)

უნიაო ლეირია (პორტუგალია)-ლევერკუზენი (გერმანია) 3:2 (1:3)

გოლები: 1:0 კადუ (4), 1:1 პაპადოპულოსი (11), 2:1 ჟოაო პაულო (13), 2:2 კისლინგი (86), 3:2 ლარანჟეირუ (90)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი

განახლებულია
ბადრი პატარკაციშვილის
ინიციატივითა და
ხელშეწყობით

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
გესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა გიგილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ გალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტორა
ლელა ხომასურიძე
ლევან გიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), **გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდგერიძე**

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა
2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასლია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართი
ახმეტელის 10³,
0159 თბილისი
(დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ტელეფონი: 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი). 53-39-11
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა